K 224786 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბონდო კუპატაძე

# საქართველო და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „არტანუჯის“ ბიბლიოთეკა – № 2

ბონდო კუპატაძე

# საქართველო და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო

## (1912)

თბილისი
1997

328(c)Ⴑ1912-17"+ 329(47922) +9(47922)Ⴑ1912
რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო
პოლიტიკური ძალები საქართველოში
საქართველოს ისტორია მე 20 საუკ. I ნახევარი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშრომში შესწავლილია საქართველოში მიმდინარე რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების პროცესი 1912 წელს. გაანალიზებულია პოლიტიკური პარტიების და ჯგუფების, საზოგადო მოღვაწეთა არჩევნებისადმი დამოკიდებულება, მათი არჩევნებში მონაწილეობის ხარისხი. შესწავლილია „საქართველოს საკითხის" აქტუალობა IV სახელმწიფო სათათბიროში, ქართველი დეპუტატების მოღვაწეობა საწყის ეტაპზე. განსაზღვრულია საქართველოს პოლიტიკური სპექტრი XX საუკუნის 10-იან წლებში, რამაც დამოუკიდებლობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა.

წიგნი გათვალისწინებულია საქართველოს უახლესი ისტორიით, პოლიტიკური პარტიების ისტორიით დაინტერესებულთა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: აკადემიკოსი როინ მეტრეველი

რეცენზენტები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ გრძელიძე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი დიმიტრი შველიძე

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი მალხაზ მაცაბერიძე

საებ-2000
შემოწმებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წიგნს ვუძღვნი
დედის — ია ლომიძის
ძვირფას ხსოვნას

## შესავალი

ამ წიგნის მიზანია შეავსოს ის ხარვეზი, რაც აღნიშნულ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს.

1801 წელს რუსეთის იმპერიამ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების დარღვევით მოახდინა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია. საუკუნის პირველ მესამედში თანდათანობით სხვა ქართული სამეფო-სამთავროებიც შეიერთა, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს კი საბოლოოდ დაასრულა ისტორიული ქართული მიწა-წყლის „ათვისება“.

საქართველოს გაერთიანების პროცესს რუსეთის ცარიზმის უღელქვეშ ბუნებრივია თან სდევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება და განვითარება. თუ 1804 წლის მთიულეთის, 1812 წლის კახეთის, 1810 წლის იმერეთის, 1819-20 წლების აჯანყებები სტიქიური და ერთჯერადი ხასიათის მოვლენა იყო, 1832 წლის შეთქმულებამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში ახალი ეტაპი შექმნა. შეთქმულება წარმოადგენდა კარგად ორგანიზებულ, გამიზნულ და დაგეგმილ მოქმედებას, რომელსაც შესაძლოა წარმატებაც მოყოლოდა, რომ არა გარეშე ფაქტორების ზემოქმედება.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთში ისახება დემოკრატიულ-ნაროდნიკული იდეოლოგია, რომელსაც ლოზუნგად თვითმპყრობელობის დამხობა და სოციალური რევოლუცია ეპყრა ხელთ. თავისუფლების სიომ საქართველოშიც დაბერა და ეროვნული მოძრაობის მედროშენი მჭიდროდ დააკავშირა რუსულ დემოკრატიულ ინტელიგენციას. რუსეთის უნივერსიტეტებში განათლებამიღებულმა ახალგაზრდობამ (ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი) რუსეთის დემოკრატიული იდეები ჩვენში შემოიტანა და პრესის თუ საზოგადო დაწესებულებების საშუალებით ხალხში პოპულარიზაცია გაუწია.

1864 წელს ანტიბატონყმურმა რეფორმებმა, რომელსაც შემდეგში საქალაქო, სასამართლო და სხვა რეფორმებიც მოჰყვა აქტუალური გახადა სოციალური საკითხი. მთავრობისაგან „ორთქლის ნაწილობრივ გამოშვებას“ ხალხის უფრო მეტი გაღიზიანება მოჰყვა, დროებითვალდებულების სისტემამ კიდევ ნახევარი საუკუნე იარსება საქართველოში, საერობო სასამართლო

რეფორმების ნაწილობრივი, „შეკრეჭილი“ სახით განხორციელებამ კი ახალი მუხტი მოამზადა „დენთის კასრზე მსხდომი“ რუსეთის ცარიზმისა და ბიუროკრატიისათვის.

საქართველოში იმთავითვე გამოიკვეთა ანტისამთავრობო მოძრაობის ორი ტალღა. პირველი, დიდი ტრადიციების და იდეოლოგიის მატარებელი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ეყრდნობოდა თავადაზნაურობას, ინტელექტუალურ ფენებს, მაგრამ ხალხის მასაში საწყის ეტაპზე ნაკლები დასაყრდენი ქონდა, ვინაიდან სოციალური პრობლემებით შეწუხებული გლეხობა ნაკლებად ფიქრობდა ეროვნულ სატკივარზე და საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი „ერის ნაღების“ საზრუნავად მიაჩნდა. თუმცა კი მეფის იდეალი და ქართული სახელმწიფოებრიობის ხსოვნა დაბალ ფენებში უფრო მტკიცედ იყო გამჯდარი, ვიდრე ხშირ შემთხვევაში რუსეთის იმპერატორის ჩინ-მედლებს დახარბებულ ქართველ თავადაზნაურობაში. მეორე კატეგორია სოციალური ხასიათის მოძრაობა იყო, რომლის საფუძველი ქართულ იდეოლოგიურ აზროვნებაში ანტიბატონყმურმა კამპანიამ შექმნა. ამას მოჰყვა ქართულ მწერლობაში ე. წ. „ტეტიათა მოტრფიალეების“ და პოლიტიკურ მოძრაობაში ხალხოსნური ჯგუფების გაჩენა, რომელთა გასამართლებამ კიდევ 10 წლით გადასწია რევოლუციური მოძრაობის განვითარება ჩვენში.

XIX საუკუნის 90-იანი წლები განსაკუთრებულად ღირსშესანიშნავია საქართველოს ისტორიაში. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა ეროვნული ინტერესებით და ენერგიით დამუხტული ახალგაზრდა თაობა, რომელსაც მოგვიანებით მათმა ბელადმა არჩილ ჯორჯაძემ „მეოთხმოცდაათიანელნი“ უწოდა. სწორედ ამ თაობამ იტვირთა თავის თავზე ეროვნული იდეის აღმასრულებელი ფუნქცია და 30 წლის მანძილზე ჰკვალავდა მას საქართველოში. „ივერიის“, „ცნობის ფურცლის“ და სხვა ორგანოების გარშემო შემოკრებილმა თაობამ 900-იან წლებში უფრო გააფართოვა სამოღვაწეო ასპარეზი. საფრანგეთში დაიწყო ქართული გაზეთის გამოცემა, რომელმაც პირველად საქართველოს კოლონიური მდგომარეობის პერიოდში ღიად და ერთმნიშვნელოვნად დასვა ქართული ეროვნული პრობლემა, საქართველოს ავტონომიის და დამოუკიდებლობის საკითხი.

მოგვიანებით ამ ჯგუფს გამოეყო მცირე ნაწილი, რომელმაც 1904 წელს შექმნილი პირველი ქართული ეროვნული პარტიის (სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) პარალელურად საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ-დემოკრატიის რადიკალურ ნაციონალიზმს, რომელიც თავის განვითარების ზენიტში XX საუკუნის 10-იანი წლებიდან შედის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

90-იან წლებში განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა რევოლუციური მოძრაობის მეორე ტალღა. საქართველოში დავიწყებას მიცემული ნაროდნიკული იდეებიდან თანდათანობით წარმოიქმნა მარქსისტული დაჯგუფება, რომელმაც გაზეთი „კვალი" გაიხადა თავისი იდეების რუპორად და იმთავითვე ნაციონალისტურ ბანაკთან ბრძოლაში მიიღო პოლიტიკური წრთობა.

XX საუკუნის დასაწყისში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე საქართველოში პოლიტიკური ასპარეზი ამ ორი იდეის, პარტიის, საკითხის გარშემო იკვრებოდა. სოციალ-დემოკრატია და ნაციონალიზმი, სოციალური საკითხი და ეროვნული საკითხი. ამასთან სოციალ-დემოკრატების განსაკუთრებული ეროვნული ნიჰილიზმი ნაციონალისტთა წინააღმდეგ მძაფრ ბრძოლას და შეურიგებლობას განაპირობებდა.

1905 წლის რევოლუციურ პროცესებს მეფის ხელისუფლებამ უკანდახევით და 17 ოქტომბრის მანიფესტით უპასუხა, რომელიც სხვა თავისუფლებებთან და უფლებებთან ერთად საარჩევნო უფლებასაც აძლევდა მოსახლეობას. კანონი I სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ იმდენად დემოკრატიული იყო, რომ იმპერიის მოსახლეობამ თითქმის „ბუნტარული" პარლამენტი შექმნა, რომელიც თვითმპყრობელობამ ბუნებრივია დიდხანს ვერ აიტანა. ანალოგიური ბედი ეწია II სათათბიროსაც, რომელიც სპეციალური რესკრიპტით 1907 წლის 3 ივნისს დაითხოვეს და გაცილებით მკაცრი, შეზღუდული საარჩევნო კანონი მიიღეს. თუკი პირველ ორ სათათბიროში, რეაქციის დაწყებამდე მემარცხენეთა ბანაკი სჭარბობდა და საქართველოშიც პოლიტიკური კონფრონტაცია ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის ნაკლებად იგრძნობოდა (ამ შემთხვევაში გადამწყვეტი საერთო მტრის არსებობა იყო), უკვე III სათათბიროში, რომელიც გაცილებით მემარჯვენე შემადგენლობისა იყო, ეროვნული და სოციალური საკითხების დაპირისპირებამ გაცილებით სერიოზული ხასიათი მიიღო. წინასაარჩევნო ბრძოლებიც სწორედ ამ ნიშნით წარიმართა.

III სათათბიროს ხუთწლიანი არსებობის მანძილზე, არაერთი საკითხი დაისვა საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე. ერთი შეკითხვა პირდაპირ შეეხებოდა კავკასიას, მაგრამ რეალური ცვლილებები III სათათბიროს, თავისი რეაქციულობიდან გამომდინარე, საქართველოსთვის არ მოუტანია.

1907-1912 წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, ეროვნული ძალები გაცილებით თამამად გამოდიან ასპარეზზე და მიუხედავად რეაქციის მძვინვარებისა სულ უფრო აფართოებენ მოთხოვნათა წრეს. ფაქტობრივად 1912 წელს დაიწყო მნიშვნელოვანი ეტაპი ეროვნულ – გამათავისუფლებელ ბრძოლაში. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ეროვნულ-დემოკრატიულმა იდეებმა რეალური ხორცშესხმა დაიწყო ჟურნალ „კლდის" ჩამოყალიბებით, ხოლო სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შედეგად (რომელმაც ნათლად აჩვენა მოსახლეობაში ეროვნული პრობლემის მეტნაკლებად შეღწევა)

1912 წლის 13 დეკემბერს სათათბიროს ტრიბუნაზე ვარლამ გელოვანმა მთელი იმპერიის გასაგონად დააყენა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა, რაც ფინეთის და პოლონეთის ავტონომისტთა „მომაბეზრებელი“ და მიჩვეული რეპლიკების ფონზე უდაოდ ახალი სიტყვა იყო რუსეთის პოლიტიკურ სცენაზე.

1912 წლის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებმა ჩვენი ყურადღება მიიქცია იმიტომ, რომ ამ პროცესმა ყველაზე ნათლად გამოავლინა იმდროინდელი პოლიტიკური სპექტრი საქართველოში, აზრთა და პოზიციათა ჭიდილი, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების დამოკიდებულება ქართული პოლიტიკური მოძრაობებისადმი. არჩევნები იმითაც იყო საინტერესო, რომ ამ დროს ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა ფენამ მიიღო აქტიური მონაწილეობა 1917-1921 წლების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1912 წლის არჩევნებმა დაგვანახა არა მარტო ქართული პოლიტიკური „სამზარეულო“, არამედ სამთავრობო პოლიტიკის და ჩვენი მეზობლების ინტერესთა რეალური ნიუანსები, დამოკიდებულება ქართულ სინამდვილესთან. აჩვენა ის ფსიქოლოგია და სულიერი განწყობილება გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების და ერებისა ჩვენს მიმართ, რომელმაც დამოუკიდებლობის წლებში სავალალო როლი შეასრულა საქართველოსთვის.

მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, 1912 წლის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები სათანადო ყურადღებით გარემოსილი არ ყოფილა და დღემდე ქართული ისტორიოგრაფიის, საქართველოს უახლესი ისტორიის თეთრ ლაქად რჩებოდა. ამდენად ჩვენ ფაქტიურად ყამირის გაკვალვა მოგვიხდა, როდესაც ამ თემაზე მუშაობას შევუდექით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ექვსი წლის წინ გაზეთ „ერში“ გამოქვეყნებულ ალექსანდრე ბენდიანიშვილის და ლეილა ნანიტაშვილის ერთობლივ წერილს, სადაც IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების პროცესი გაკვრით არის დახასიათებული. სიღრმისეული კვლევა ამ პრობლემის ირგვლივ ჯერ არ ჩატარებულა. აღვნიშნავთ აგრეთვე ჩვენი კვლევის საწყის ეტაპზე, სამი წლის წინ გამოქვეყნებულ სტატიას ჟურნალ „არტანუჯში“, სადაც მოცემული გვაქვს საარჩევნო ფონის მიმოხილვა და ის ძირითადი შტრიხები, რაც ამ პროცესს თან ახლდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ პრობლემატიკაზე უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მონოგრაფია შექმნილა (სამაგალითოდ დავასახელებთ: უ. სიდამონიძის „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია“. თბ. 1970. ალ. ბენდიანიშვილის „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ.“ თბ. 1980. ე. ახობაძის „ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში 1900-1917 წწ. თბ. 1965), გარკვეული მიზეზებით 1912 წლის არჩევნებმა

და საერთოდ ამ წელს მომხდარმა მნიშვნელოვანმა პროცესებმა მათში ასახვა ვერ ჰპოვა. გვერდი აქვს ავლილი ამ საკითხს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მრავალტომეულსა და საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში.

ჩვენი კვლევის ძირითად ბაზას ქმნიდა იმდროინდელი პერიოდული პრესა (ჟურნალები, გაზეთები, ალმანახები), საარქივო მასალები და მემუარული ლიტერატურა. არჩევნების პროცესში აქტიურად მონაწილე პირთა და დამკვირვებელთა მოგონებები.

პერიოდული პრესიდან ინტენსიური ცნობების მოწოდებით განსაკუთრებით ღირებულებას ქართული ისტორიოგრაფიისთვის წარმოადგენენ ეროვნულ-რადიკალური ჯგუფის ორგანოები: „კოლხიდა" – „იმერეთი" (გამოდიოდა ქუთაისში), „სახალხო გაზეთი", ჟურნალი „კლდე". ცენტრალურ-კონსერვატული და კადეტური მიმართულების „თემი", „ზაკავკაზსკაია რეჩ", „ზაკავკაზიე", მემარცხენე, სოციალ-დემოკრატიული „მერცხალი", ერთჯერადი ალმანახები, აგრეთვე ოფიციალური სამთავრობო გაზეთები, ამიერკავკასიის თუ რუსეთის მასშტაბით.

ძვირფას ცნობებს იძლევა ისეთ საზოგადო მოღვაწეთა მოგონებები და პუბლიცისტური წერილები, როგორებიცაა: არჩილ ჯორჯაძე, ნოე ჟორდანია, რევაზ გაბაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, დავით ვაჩნაძე, ნიკო ნიკოლაძე. აღვნიშნავთ აგრეთვე დ. ონიკაძის სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც ასევე გაკვრით ეხება ჩვენი კვლევის საგანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I თავი

## არჩევნებისწინა პოლიტიკური ვითარება საქართველოში

1907 წლის 3 ივნისს ნიკოლოზ II-ის რესკრიპტით დაითხოვეს მემარცხენე განწყობილების II სახელმწიფო სათათბირო, გადაასახლეს რადიკალი დეპუტატები, ახალმა საარჩევნო კანონმა უზრუნველყო III სახელმწიფო სათათბიროს რეაქციულობა, მემარჯვენე მიმართულება (6; 53). მეფის ხელისუფლებამ განსაკუთრებით გაამკაცრა ნაციონალური პოლიტიკა განაპირა გუბერნიებში (პოლონეთი, საქართველო...), ახალი საარჩევნო კანონით გათვალისწინებულმა მაღალმა ქონებრივმა საარჩევნო ცენზმა კი განაპირობა მოსახლეობის დემოკრატიული ფენების ინტერესების უგულვებელყოფა, ჯერ კიდევ საქალაქო არჩევნებმა აჩვენა თუ რამდენად რეაქციული შეიძლებოდა ყოფილიყო არჩევითი ორგანო. ტფილისის გუბერნიაში, სადაც სომხური ბურჟუაზიის ფინანსური ოლიგარქია ბატონობდა (ე. წ. „სოლოლაკელი კრეზები“) საქალაქო სათათბიროები მთლიანად მათ ხელში იყო (11; 71).

III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს ეროვნულმა ძალებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან მხოლოდ კიტა აბაშიძე და მცირერიცხოვანი ჯგუფი უჭერდა მხარს ეროვნული ძალების მხრიდან კანდიდატის წამოყენების იდეას. ვ. ჩერქეზიშვილიც ენერგიულად არწმუნებდა სფპ-ს, მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, რათა სოციალ-დემოკრატები არ გასულიყვნენ კვლავ. (11; 95).

III სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს 3 სადეპუტატო ადგილი ეთმობოდა. ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში წარმატებას მიაღწია სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც 2 თვალსაჩინო წარმომადგენელი: კარლო ჩხეიძე და ევგენი გეგეჭკორი გააგზავნა სათათბიროში, ბათუმის, სოხუმის ოკრუგებიდან და ყარსის ოლქიდან კი პროგრესისტი პროკოფი შერვაშიძე გავიდა. ცალკე ადგილი ჰქონდა გამოყოფილი ამიერკავკასიის რუსულ მოსახლეობას, რომელიც საარჩევნო კანონის რეაქციულობის წყალობით თავისი შავრაზმელობით და შოვინისტობით განთქმულ თევდორე ტიმოშკინს ერგო (19; 225), რომელმაც იმითაც გაითქვა სახელი, რომ III სათათბიროში ყველაზე ხშირად 374-ჯერ გამოვიდა სიტყვით. (27; 89). ამასთან მისი ინიციატივით იქნა სათათბიროზე გატანილი ე. წ.

„კავკაზსკი ზაპროს“, რომელიც უკიდურეს მემარჯვენეთა ბანაკიდან მომდინარეობდა და სათათბიროს რუსულ ნაციონალიზმის ფსიქოლოგიაზე იყო გათვლილი. მათი აზრით ამიერკავკასია სეპარატიზმის იდეით იყო გაჟღენთილი და რუსული ადმინისტრაციის გულგრილობის წყალობით თანდათანობით გამოდიოდა პეტერბურგის დაქვემდებარებიდან, რასაც საერთაშორისო გართულებების შემთხვევაში შეიძლება კავკასიის არასაიმედო რეგიონად გადაქცევა მოჰყოლოდა.

ტიმოშკინის აზრით „ტუზემცებში“ ძლიერია დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის სურვილი, რევოლუციური მოძრაობაც კი ნაციონალიზმის საფარველშია გახვეული. „დაშნაკცუთიუნის“ საპროგრამო დებულებას წარმოადგენს რუსეთიდან კოლონისტური ნაკადის შეჩერება, რასაც ლეგალური გზით ე. წ. „სომხური კულტურის კავშირი“ ახორციელებს, ამიტომ ეს ორივე ორგანიზაცია უნდა აიკრძალოს. (19; 194).

საქართველოში სეპარატიზმის დამამტკიცებელ მაგალითებად ულტრაშოვინისტ ტიმოშკინს ღიმილის მომგვრელი ფაქტები მოჰყავს. იგი ბრალს სდებს „ნოვოსტი ზაკავკაზიას“, რომელმაც გაბედა და შეშფოთება გამოთქვა არხიპოვის მიწათმოწყობის მთავარ გამგებლად დანიშვნის გამო, ვაითუ მან მხარი დაუჭიროს რუსი კოლონისტების მოძალებას კავკასიაშიო. ტიმოშკინს თვალში მოხვდა აგრეთვე ის ფაქტი (თუმცა დამადასტურებელი საბუთი ვერ მოიყვანა), რომ ბათუმში საახალწლო სუფრაზე ისმება „კავკასიელთა ერთიანობის სადღეგრძელო, მხოლოდ რუსების გარეშე“ და მას ტაშით ესალმებიან ქალაქის თავი ივანე ანდრონიკაშვილი, ხმოსნები: ჟურული, მესხი, ქიქოძე და 2 ოფიცერი.

საერთოდ ტიმოშკინის აზრით, რუსებს კავკასიაში მძიმე ცხოვრება აქვთ, მათ არ ღებულობენ ა/კ. რკინიგზის მთავარ სახელოსნოში, ყველა ქალაქში მოსამართლე, ადვოკატი და პრისტავი ქართველი ან სომეხია. თავისი ღვარძლიანი სიტყვის დასასრულს ტიმოშკინმა ააფრიალა „კავკასიაში დახოცილ რუსთა სია“, თუმცა მათი უმრავლესობა ადგილობრივი გვარების მატარებელი იყო. (19; 196).

ტიმოშკინის გამოსვლას მთელი სათათბირო უკმაყოფილებით ან გაურკვევლობის დუმილით შეხვდა, ყველა კავკასიელმა დეპუტატმა (ისინი 9 იყვნენ, ტიმოშკინის გამოკლებით) საჭიროდ ჩათვალა სათათბიროს ტრიბუნაზე გამოსულიყო და თავისი პოზიცია საჯაროდ გამოეხატა. ქართველი დეპუტატებიდან პირველი პროგრესისტი

შერვაშიძე გამოვიდა, რომელიც მოკლედ შეეხო ტიმოშკინის პრე-ტენზიებს და ყველაფერი ახსნა იმპერიის უმოქმედობით, რომელმაც 100 წლის მანძილზე არაფერი გაუკეთა ხალხს და ეს ყველაზე ლოიალური ერიც კი გადაიმტერა“. (19; 198).

ყველაზე ფართოდ „ზაპროსზე“ ისაუბრა ჩხეიძემ, მან ზუსტი შეფასება მისცა ტიმოშკინის ქმედებას („მისი მიზანია ა/კ-ში შავრაზმელების მოქმედებას მეტი გასაქანი მიეცეს“), თუმცა უარყო ყოველგვარი სეპარატიზმი, ვინაიდან „კავკასიელები გამათა-ვისუფლებელ ბრძოლაში რუსი ძმების გვერდით დგანან“.

ჩხეიძემ პუნქტობრივად დაახასიათა ის მიზეზები, რაც საფუძველს აძლევდა რევოლუციურ მოძრაობას ამიერკავკასიაში: 1. მიწის სიმცირე (ამ დროს კი საქართველოს სახნავ-სათესი სავარგულების 36,5% ირიცხებოდა საუფლისწულო მეურნეობაში (6, 53), „დროებით ვალდებულება“ (ე. წ. „მესამედი“), ხიზნები ქმნიან უკმაყოფილების საფუძველს გლეხობაში, ფაქტიურად საქართველოში შენარჩუნებულია ბატონყმობა ყველაზე მძიმე ფორმებით. 2. კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის არქონა. „შეკრეჭილი“ სასამართლო რეფორმა, რომლის შედეგადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა კავკასიაში ფეხი ვერ მოიკიდა. მექრთამეებითა და პროვოკატორებითაა დაკომპლექტებული კავკასიის ადმინისტრაცია, რომელსაც ცენტრში დაწუნებული და შერისხული მოხელეებით ავსებენ. 3. კავკასიაში პოლიციის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა პარალელური ხელისუფლება, „შავრაზმელთა პატრიოტული საზოგადოება“, რომელიც ყოველმხრივ არბევს და ავიწროებს მოსახლეობას.

კარლო ჩხეიძის აზრით სწორედ ეს სამი მიზეზია ძირითადი გამომწვევი რევოლუციური მღელვარებისა ამიერკავკასიაში. რაც შეეხება სეპარატიზმს, კარლო ჩხეიძე დაბეჯითებით აცხადებდა, რომ „ჩვენ მშრომელთა ერთობლივი ბრძოლის იდეა მტკიცედ დავამკვიდრეთ და მას ამიერკავკასიაში ვერავითარი პურიშკევიჩები ვერ ამოშლიან“. (19; 205).

III სათათბირომ „კავკასიის საკითხი“, როგორც უსაფუძვლო, უკუაგდო, მაგრამ თვით პრობლემის ამგვარმა დასმამ ნათლად აჩვენა, რომ რუსეთის ხელისუფლება და მისი ფარული არმია ვერ შეეგუებოდა პროგრესულ ცვლილებებს განაპირა, ე. წ. „ტუზემცურ“ გუბერნიებში და რომ ეროვნული საკითხის მთელი სიმწვავით დაყენება იმპერიას გაცილებით შემზარავად მიაჩნდა, ვიდრე ყოველგვარი სოციალური ბიძგები და რევოლუციები, ვინაიდან ეს

უკანასკნელნი, თვით იმპერიის „წმიდათაწმიდა“ ერთობას და ურღვევობას საფრთხეს არ უქმნიდნენ და შეიძლება ნიკოლოზ II-ზე მეტი თავგამოდებითაც კი იცავდნენ „რუსული სახელმწიფოებრიობის იდეას“.

კავკასიის მეფისნაცვალმა ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვმა (1837-1916) თავისი „სახელოვანი მოგვარის“ მსგავსად კავკასიაში ახლებური პოლიტიკის გამომუშავება დაიწყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ მიხეილ ვორონცოვი „პროქართული“ ორიენტაციის იყო და ქართველებისათვის თავზე ხელის გადასმით და დაყვავებით აკეთებდა რუსულ საქმეს, იგი უფრო „სომხოფილობას“ იჩენდა და ყველა პრობლემას მათ სასარგებლოდ აგვარებდა. ამასთან ვორონცოვ-დაშკოვი, რომელსაც ყველაზე რთულ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა, საქართველოში ნაციონალისტური მოძრაობის შესაკავებლად ყველაზე უფრო დაუჯერებელ გარიგებებზე და ალიანსზეც კი მიდიოდა ანტიიმპერიულ და რევოლუციურ ძალებთან. (3; 145).

თვით ტიმოშკინი მეფისნაცვალს პირდაპირ დებდა ბრალს სოციალ-დემოკრატებთან კავშირში, განსაკუთრებით დიდ დანაშაულად უთვლიდა მას 1905 წელს, რევოლუციის ქარცეცხლში სოციალ-დემოკრატებისთვის 500 შაშხანის გადაცემას (19; 195). როგორც ჩანს სოციალ-დემოკრატების მიმართ პროტექციონისტური პოლიტიკა მეფისნაცვალს შემდგომშიც მეთოდურად გაუგრძელებია და იმდენად აქტიურადაც, რომ ნიკოლოზ II-ის შეკითხვაც გამოუწვევია ამის თაობაზე.

1907 წლის „უქვეშევრდომილეს მოხსენებაში“ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიმართ გრაფი ვორონცოვი ახასიათებს კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია „ეს არის ერთადერთი პარტია, რომელიც იცავს რუსეთის მთლიანობას და ებრძვის ქართველ თავად-აზნაურობაში დამკვიდრებულ ნაციონალიზმსა და სეპარატიზმს“ (4; 36).

მაგრამ ვორონცოვს მხოლოდ ერთი პარტია არ ეგულებოდა დასაყრდენად ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აი რას აცხადებდა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან დეპუტატი ჰოვანეს საგატელიანი: „სომხეთში არ არსებობს არავითარი სეპარატიზმი და ჩვენ ამაში თვალნათლივ დაგვარწმუნებს კავკასიის რუკის შესწავლა. სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა მხოლოდ მესამედია სომეხი, რაც გამორიცხავს სახელმწიფოს შექმნის

სურვილს. ისტორია მოწმობს, რომ პეტრე I-დან მოკიდებული სომხები რუსეთის მხარეზე იდგნენ, აღფრთოვანებით ეგებებოდნენ მათ მსვლელობას ამიერკავკასიაში. 1904-1905 წლებში, როდესაც საყოველთაო გამოკითხვა მოეწყო რეფორმებთან დაკავშირებით სომეხმა მოსახლეობამ ერთხმად უარი განაცხადა ავტონომიაზე“ (19; 201).

რომანოვთა მონარქიისადმი ამგვარი ერთგულების და ქვეშევრდომული თავდადების საპასუხოდ  კავკასიის მეფისნაცვალი მადლობასაც კი უხდის მათ და საგანგებოდ აღნიშნავს მთელი ერის „კეთილ თვისებებს“: „სომხები მშვიდობიანი, სარწმუნოების ერთგული, ზნეობიანი, გონიერი და ფხიზელი ხალხია. რუსეთის ძალა კავკასიაში იცავს მათ საკუთრებას და შრომას, ხელს უწყობს მათს ეროვნულ ძალის გაფართოებას. სომხებს კარგად აქვთ შეგნებული თუ რა მნიშვნელოვანია მათთვის ძლიერი რუსეთის მთავრობა კავკასიაში“. (32; 732)

ამასთან დაკავშირებით სომხური ბურჟუაზიის ლიდერი ალექსანდრე ხატისოვი აღნიშნავდა, რომ „სომხისთვის მთელი კავკასიაა სამშობლო, მხოლოდ ღირსშესანიშნავ დღეებში აგონდება მას კონკრეტული სამშობლო – სომხეთი.  ამიტომაც დაშნაკების პოლიტიკური იდეალი იყო „შვეიცარიის“ ტიპის კავკასიის ფედერაცია და არა სომხეთის დამოუკიდებლობა (20; 770).

იგივე ხატისოვის აზრით ვორონცოვ-დაშკოვის „სომხოფილობა“ გამოწვეული იყო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან პეტრე სტოლიპინთან ცუდი ურთიერთობებით, ეს უკანასკნელი მისი პირადი მოწინააღმდეგე იყო, როდესაც სტოლიპინმა ათასობით სომეხი ჩაყარა ციხეებში და „დაშნაკცაკანს“ სასამართლო პროცესი მოუწყო, მან მიმართა მეფეს: „ეს პარტია დიდი ძალაა სომხებში, რომელიც ჩვენდამი კარგად არის განწყობილი, იგი მომართულია ოსმალეთის სომხების განთავისუფლებაზე, რაც ჩვენს ინტერესებშიც არის. სომხებს 3 რამ უყვართ: „ეკლესია, სკოლა და მატერიალური კეთილდღეობა“, რაც გამორიცხავს მათი და „დაშნაკცაკანის“ ანტისახელმწიფოებრიობას. იგივე აზრი ვორონცოვმა გამოთქვა 1914 წელს ოსმალეთის სომხების მისაშველებელი მოხალისე რაზმების შექმნისას. (20; 770).

მეფისნაცვლის მიერ ქართველი ერის დახასიათება ლამის სოციალ-დემოკრატებისგან მიწოდებულ დირექტივას მიაგავს: „ქართველი ხალხი ჩვენი ისტორიულად ნაწრთობი მეგობარია. მტრობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სოციალ-დემოკრატიის შეჭრა გურია-იმერეთის გლეხობაში კი ეკონომიკური მიზეზით – მიწის სიმცირით

აიხსნება, ამასთან ქუთაისის გუბერნია დიდი ხნის მანძილზე პოლიტიკურად არაკეთილსაიმედოთა გადასახლების ადგილი იყო... მაინც და მაინც ქართველი სოციალ-დემოკრატები სეპარატისტები არ არიან, არამედ იმ პარტიის წარმომადგენლები, რომელსაც დირექტივები ცენტრიდან მოსდის“. (32; 732).

როგორც განცხადებიდან ჩანს ვორონცოვი ხაზგასმით ლაპარაკობს „ისტორიულად ნაწრთობ მეგობრობაზე“, რაც ეტყობა თვითონაც არ სჯერა და თითიდან გამოწოვილს მიაგავს. ამასთან ისიც ყურადსაღებია, რომ ქართველი ერის ისტორიულ სამოსახლო ტერიტორიად მეფისნაცვალი მხოლოდ ქუთაისის გუბერნიას ცნობს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ქართლს იგი სომეხი ბურჟუაზიის და ოსი ხიზნების საცხოვრისად აცხადებს. (3; 119-129).

აღნიშნული დამოკიდებულება და შეხედულება მემკვიდრეობითად გადასცა ვორონცოვმა დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, რომელმაც, როდესაც უკვე კავკასიიდან მისი გაქცევის დროც დადგა 1917 წელს ქვეყანა საპატრონოდ ყველაზე სანდო ხალხს: ნოე ჟორდანიას და სომხური ბურჟუაზიის ლიდერს ტფილისის ქალაქისთავს ალექსანდრე ხატისოვს დაუტოვა, „დროებით მმართველობის წესრიგის დასაცავად“ (3; 115).

ტფილისის გუბერნიაში ნაკლები გავლენა ჰქონდათ პატრიოტულ ძალებს და ეროვნულ იდეებს. ეს ერთი მხრივ მოსახლეობის სიჭრელით, მეორე მხრივ კი სოციალ-დემოკრატთა გავლენით და ტფილისის, როგორც სამხარეო-კავკასიური ცენტრის სტატუსით აიხსნება. IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებმაც ნათლად აჩვენა ეს ვითარება. ქართული პოლიტიკური ძალების გაფანტულობა, უხერხემლობა და სოციალ-დემოკრატთა ჰეგემონია გამოხატა ჟურნალმა „კლდემ“, როდესაც სტატიაში „ჩვენ და ისინი“ წერდა:

„ისინი ამბობენ – კარგი სომეხი, ჩინებული ვაჭარი, განათლებული კომერსანტი, მდიდარი მრეწველი, ვექილი, სარგებელი, ბანკი, ხატისოვი, ეჩმიაძინი.

ჩვენ ვამბობთ – კარგი სოციალისტი, იდეური ფედერალისტი, დიდებული კრიტიკოსი, ვალი, ნედოიმკები, ვექსილის პროტესტები, რუსული გაზეთები, ფ. მახარაძე, ფ. მახარაძე, ფ. მახარაძე.

ისინი სწერენ – სომხის საკითხი, სომხის საკითხზე, სომხის საკითხით.

ჩვენ ვსწერთ: განხეთქილება ს.-დ. ფრაქციაში, ს.-დ. ფრაქციის განხეთქილება, განხეთქილება სოციალისტურ ფრაქციისა.

ისინი ქადაგებენ – ააშენეთ ბანკები, აქციონერული საზოგადოებანი, სავაჭრო სახლები და სჭამეთ თქვენი მტრები.

ჩვენ ვქადაგებთ – ააშენეთ ახალი კლუბები, სჭამეთ ერთმანეთი და თქვენი თავი.

ისინი ყიდულობენ – ჩვენ ვყიდით.

ისინი აშენებენ – ჩვენ ვანგრევთ.

ისინი მდიდრდებიან – ჩვენ ვღატაკდებით.

ისინი ხარხარებენ – ჩვენ ვტირით". (14; 225).

1912 წლის 29 აგვისტოს უმაღლესი ბრძანების თანახმად ნიკოლოზ II-მ დაითხოვა III სახელმწიფო სათათბირო და დანიშნა IV სათათბიროს არჩევნები 10 სექტემბრიდან იმპერიის მასშტაბით, 15 ნოემბერს კი ახალი შემადგენლობის სათათბიროს პირველი სხდომა უნდა გამართულიყო.

როგორც ვხედავთ ვადები მეტისმეტად შემჭიდროებულია და ნორმალური წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვა ასეთ პირობებში საკმაოდ გაძნელებულია. ალბათ სწორედ ამიტომ მოუწოდებდა გაზეთი „თემი" ყველა ოპოზიციურ ძალას, ერთიანად „აეფრიალებინათ" დემოკრატიული დროშა, ვინაიდან „დღევანდელი რეაქციის ხანაში ოპოზიციას ცალ-ცალკე ბრძოლა გაუჭირდება".

IV სათათბიროც, ისევე როგორც III სათათბირო 1907 წლის 3 ივნისის საარჩევნო კანონით ირჩეოდა, გარკვეული ცვლილებებით და დამატებებით. სათათბიროში აირჩეოდა 440 დეპუტატი, მათგან კავკასიას ეთმობოდა 10 ადგილი: 1) ქუთაისის გუბერნია. 2) ტფილისის გუბერნია. 3) ყარსის ოლქი, ქუთაისის გუბერნიის სოხუმის, ართვინის და ბათუმის ოკრუგები. 4) ბაქოს, ერევნის და ელიზავეტპოლის გუბერნიების სომეხი მოსახლეობა. 5) ბაქოს, ერევნის და ელიზავეტპოლის გუბერნიების მაჰმადიანი მოსახლეობა. 6) დაღესტნის ოლქი. 7) თერგის ოლქის კაზაკობა. 8) ყუბანის ოლქის კაზაკობა. 9) შავიზღვისპირეთის ოკრუგის, თერგის და ყუბანის აბორიგენი მოსახლეობა. 10) ამიერკავკასიის რუსული მოსახლეობა.

როგორც ვხედავთ 10 სადეპუტატო ადგილიდან 3 იმთავითვე განსაზღვრული იყო კავკასიის რუსი მოსახლეობისთვის. დანარჩენი 7 დეპუტატი კი განაწილებული იყო ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად და არა რეალური მოთხოვნის პრინციპით. 2 დეპუტატი მიკუთვნებული იყო იმიერკავკასიის ადგილობრივ მოსახლეობას, ხოლო 5 ადგილი კი ამიერკავკასიას (3 დეპუტატი – საქართველოს ტერიტორიიდან, 1-1 კი სომეხი და მაჰმადიანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. ა. სტოლიპინისგან შემუშავებული 3 ივნისის საარჩევნო კანონით საარჩევნო უფლება საერთოდ წაერთვა ამიერკავკასიას და თურქესტანს. შემდგომში ეს უფლება ამიერკავკასიას დაუბრუნეს, მაგრამ IV სახელმწიფო სათათბიროში საარჩევნო კვოტა 9-დან 6 დეპუტატამდე შეუმცირეს (36; 249).

საარჩევნო კანონის საბოლოო ვარიანტსაც ბევრი ხარვეზი გააჩნდა. სომეხ-თათართა დაპირისპირების ფონზე განგებ შექმნილი იყო საერთო კურია, როგორც სომეხი, ისე მაჰმადიანი მოსახლეობისთვის ელიზავეტპოლის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში, სადაც მოსახლეობა ერთმანეთთან დაპირისპირებაში (რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც რთულ ურთიერთობებს) ირჩევდა დეპუტატის ამომრჩევლებს, საბოლოოდ კი იკრიბებოდნენ ე. წ. ნეიტრალურ ტერიტორიაზე (ელიზავეტპოლში) და მიუხედავად იმისა თუ რამდენი სომეხი ან თათარი ამომრჩეველი იყო, იყოფოდნენ ორ ნაწილად: სომხები ირჩევდნენ სომეხ დეპუტატს, მაჰმადიანები კი მაჰმადიანს.

ამით თითქოს დაცული იყო რუსეთის იმპერიის კანონმდებლობისგან „ტუზემცების" თანასწორობის პრინციპი, რეალურად კი ამგვარმა კანონმა კინაღამ სისხლისღვრამდე მიიყვანა ორი ერი (მაგ: სამსონ არუთინოვის გაშავებამ მაჰმადიანი ამომრჩევლის უმრავლესობის წყალობით სომხეთში დიდი მღელვარება გამოიწვია. ს. არუთინოვი სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე, ნაფიცი მსაჯული კენჭს იყრიდა ყაზახის მაზრაში).

საარჩევნო კანონის აბსურდულობა იმაშიც გამოიხატა, რომ მუშათა კურიის 4 ამომრჩეველს, მცირერიცხოვნობის გამო სხვა ვერაფერი მოუხერხეს და ხელოვნურად მიუერთეს: 2 მათგანი სომეხთა ნაციონალურ კურიას, 2 კი ტფილისის გუბერნიის ამომრჩეველთა სიას.

უნდა აღინიშნოს, რომ გაისმოდა უკმაყოფილო ხმებიც. რატომ იყო, რომ მუსლიმანები და სომხები ნაციონალურ კურიებში ირჩევდნენ დეპუტატს, ქართველები კი კონგლომერატულ კურიებში (36; 249). ჩვენი აზრით ეს ორი მიზეზით იყო განპირობებული: 1. ნიკოლოზ II-ის ქართველებისადმი შედარებით ლიბერალური დამოკიდებულებით, რაზეც ჩვენ ნაშრომის ბოლოს გვექნება საუბარი. 2. ვინაიდან ქართველ თავად-აზნაურობას ხმების გადამწყვეტი წილი ჰქონდა დათმობილი და ტფილისის გუბერნიაში სომხური ელემენტი სჭარბობდა, ამიტომ ეს ფაქტი კანონის ავტორებმა, როგორც ჩანს, უსაფრთხოების მყარ არგუმენტად მიიჩნიეს (თუმცა ამას ხელი არ

შეუშლია დასავლეთ საქართველოში – ნაციონალისტის და აღმოსავლეთ საქართველოში – სოციალ-დემოკრატის გამარჯვებისთვის. საერთოდაც ოთხივე სათათბიროში კავკასიის დეპუტაცია ყველაზე მეტი მემარცხენეობით გამოირჩეოდა).

საარჩევნო კანონის ნაკლად მიჩნეულ იქნა ისიც, რომ გეოგრაფიული, ეკონომიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავებული ყარსის ოლქი, ბათუმის და სოხუმის ოკრუგები (ამასთან, 2 უკანასკნელი ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა ადმინისტრაციულად) ხელოვნურად გააერთიანეს ერთ საარჩევნო ოლქად, ფაქტიურად აქაური დეპუტატი ვერაფრით იქნებოდა სამივე მხარის ინტერესების თანაბრად დამაკმაყოფილებელი.

საარჩევნო კანონის თანახმად შექმნილი იყო 4 საარჩევნო კურია: 1. მემამულეთა, მიწისმფლობელთა და თავად-აზნაურთა. 2. გლეხობის და სასოფლო თემების. 3. ქალაქების მოსახლეობის. 4. მუშათა.

საქართველოს ტერიტორიაზე რეალურად არსებობდა სამივე კურია, მეოთხე კურიის შესახებ კი ზემოთ ვისაუბრეთ. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 25 წლის ზემოთ ასაკის მქონე პირს, რომელსაც გააჩნდა ცენზი. ცენზი კი კურიების შესაბამისად შეიძლებოდა ყოფილიყო ქონებრივი, საცხოვრებელი (ბინის ცენზი – ქალაქის მოსახლეობისთვის) და ა. შ. ამის გარდა სახელმწიფო მოხელეებს და მოსამსახურეებს ე. წ. გონებრივ ცენზს თვით დაწესებულება – ორგანიზაციის ადმინისტრაცია უსაზღვრავდა.

I კურიაში ამომრჩევლის უშუალო არჩევის უფლება ჰქონდათ იმ მემამულეებს, რომელთა საერობო გადასახადი აღემატებოდა წელიწადში 30 მანეთს, ნაკლები გადასახადის გადამხდელი მონაწილეობას იღებდა დეპუტატის ამომრჩევლის რწმუნებულთა ასარჩევ კრებაში. თუ მაგალითად დამსწრეთა საერთო საერობო გადასახადი შეადგენდა 600 მანეთს, ისინი მიუხედავად რაოდენობისა ირჩევდნენ 20 რწმუნებულს თავიანთი რიგებიდან (600; 30). მათ უკვე მაზრის სათავადაზნაურო კრებაზე უშუალოდ შეეძლოთ დეპუტატის ამომრჩევლის არჩევა. უკანონო ან წესების დარღვევით წარმოებული არჩევნების გასაჩივრება შეიძლებოდა 3 დღის ვადაში.

II კურიაში ათი კომლი ირჩევდა საწყის ეტაპზე ერთ წარმომადგენელს, რომელიც მონაწილეობდა სოფლების გაერთიანებულ ყრილობაზე, სადაც ირჩევდნენ 2 რწმუნებულს, რომლებიც შემდგომ მაზრის კრებაზე ასახელებდნენ დეპუტატის ამომრჩეველს.

III კურიაში ქალაქელ ამომრჩევლად ითვლებოდა პირი, ვისაც: ა) უკანასკნელი 1 წლის მანძილზე გააჩნდა უძრავი ქონება, დაბეგრილი

საერობო ან საქალაქო გადასახადით. ბ) მაზრის საზღვრებში იხდიდა სამრეწველო გადასახადს. გ) პირი, რომელსაც ბოლო ერთი წლის მანძილზე ქალაქში ქონდა ნაქირავები ისეთი ბინა, რომელსაც გააჩნდა ცალკე ჰოლი, სამზარეულო და თუნდაც 1 ოთახი, ამასთან 1912 წლისთვის ბინის გადასახადი გადახდილი უნდა ყოფილიყო. დ) ბინის მფლობელი. (ამ 2 უკანასკნელი პუნქტით ცენზიან ამომრჩევლებს ევალებოდათ 1912 წლის 12 ივლისამდე ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობაში, ხოლო 1912 წლის 8 აგვისტომდე ტფილისის საქალაქო თვითმმართველოში წარედგინათ პასპორტები ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, ზემორე აღწერილი ბინის პროექტით). მოქალაქეთათვის დაწესებული იყო ვადა, რომლის გათავებამდე უნდა მოესწროთ რეგისტრაციაში გატარება არჩევნებში მონაწილეობისთვის.

IV კურია ფაქტიურად საქართველოში და მთლიანად ამიერკავკასიაში მცირერიცხოვნობის გამო არ შექმნილა, როგორც უკვე აღვნიშნეთ 4 ამომრჩეველი ხელოვნურად მიბმული იყო სხვადასხვა საარჩევნო ოლქებზე. კანონის თანახმად 50-დან 1999 მუშის ჩათვლით კოლექტივს უფლება ჰქონდა აერჩია 1 რწმუნებული, 2000-ზე მეტს კი 2 წარმომადგენელი (აქაც გამომჟღავნდა კანონის სიმახინჯე, როდესაც ერთი კაცის მეტ-ნაკლებობა წყვეტდა რწმუნებულთა რაოდენობას). მუშათა კურიაში საარჩევნო ცენზის სახე ჰქონდა ერთ ადგილზე მუდმივად მუშაობის ხანგრძლივობას, რაც განსაზღვრული იყო 6 თვით.

არჩევნები ბუნებრივია ფარული კენჭისყრით წარიმართებოდა. მხოლოდ ერთი კორექტივი იყო შეტანილი საარჩევნო კანონში არჩევნების გამარტივებისთვის. კერძოდ შემოღებული იყო არჩევის 2 ვარიანტი.

პირველი ვარიანტით არჩევნები მოხდებოდა უშუალოდ კანდიდატებისთვის საარჩევნო ყუთებში შავი და თეთრი კენჭების მიცემით (კენჭი პირობითი ცნებაა, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრაში ხმის მიცემისას გამოიყენებოდა სიმინდის და ლობიოს მარცვლები (25; 2), რასაც ხშირად გაუგებრობები და არეულობა მოჰყვებოდა ხოლმე), ეს იმ შემთხვევაში თუ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-მდე იყო. თუ 500-ზე მეტი ამომრჩეველი შეგროვდებოდა საქმის გაიოლების მიზნით ბარათებით მოხდებოდა ხმის მიცემა, შემდეგ კი 2 საუკეთესო კანდიდატი (ვისაც ბარათების

უმეტესობა მიუვიდოდა) კენჭის საყრელად ყუთს იდგამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო კანონით კავკასია ირჩევდა 471 ამომრჩეველს (10 დეპუტატის ასარჩევად), მათგან ტფილისის გუბერნია – 55, ქუთაისის – 38, ბათუმის და სოხუმის ოკრუგები – 14 ამომრჩეველს. მაზრების მიხედვით კი შემდეგნაირად: (38; 237)

| საარჩევნო უბანი | მემამულეთა კურია | საქალაქო კურია | გლეხთა კურია | სულ |
|---|---|---|---|---|
| ტფილისის მაზრა | 3 | 8 | 1 | 12 |
| ახალქალაქის მაზრა | 2 | 1 | 2 | 5 |
| ახალციხის მაზრა | 2 | 1 | 1 | 4 |
| ბორჩალოს მაზრა | 6 | – | 1 | 7 |
| გორის მაზრა | 7 | 1 | 2 | 10 |
| დუშეთის მაზრა | 2 | 1 | 1 | 4 |
| სიღნაღის მაზრა | 2 | 1 | 2 | 5 |
| თელავის მაზრა | 3 | 1 | 1 | 5 |
| თიანეთის მაზრა | 2 | – | 1 | 3 |
| **ტფილისის გუბერნია** | **29** | **14** | **12** | **55** |
| ქუთაისის მაზრა | 4 | 3 | 2 | 9 |
| ზუგდიდის მაზრა | 3 | 1 | 1 | 5 |
| ლეჩხუმის მაზრა | 2 | – | 1 | 3 |
| ოზურგეთის მაზრა | 3 | 1 | 1 | 5 |
| რაჭის მაზრა | 3 | – | 1 | 4 |
| სენაკის მაზრა | 3 | 2 | 1 | 6 |
| შორაპანის მაზრა | 4 | – | 2 | 6 |
| **ქუთაისის გუბერნია** | **22** | **7** | **9** | **38** |
| ბათუმის ოკრუგი | 2 | 3 | 1 | 6 |
| სოხუმის ოკრუგი | 2 | 1 | 2 | 5 |
| ართვინის ოკრუგი | – | 1 | 2 | 3 |
| **შავიზღვისპირეთი** | **4** | **5** | **5** | **14** |

მოსახლეობის და ამომრჩევლების დამოკიდებულება არჩევნებისადმი არაერთგვაროვანი იყო, გვხვდებოდა კურიოზებიც, როგორც იყო მაგალითად 14 ოქტომბერს ტფილისის მაზრის III უბნის არჩევნებზე ერთ-ერთი ბარათის აღმოჩენა, რომელიც შემდეგნაირად იყო შევსებული: „ჩემი კანდიდატებია: 1. ექს-შაჰი მაჰომედ ალი,

ადრესი არდებილის მახლობლად, სამხედრო ბანაკი. 2 ექს-სულთანი აბდულ ჰამიდი, ადრესი ახალგაზრდა ოსმალთ ჰკითხეთ. 3. ჩემი მზარეული მელიტონ ჩახოხბილაძე, რომელიც ვერმიშელს საუკეთესოდ ამზადებს." ანალოგიური კურიოზი მოხდა რუსთა კურიაშიც, სადაც ბარათზე ეწერა „გირჩევთ თევდორე ტიმოშკინი აირჩიოთ მოსამსახურეთ სახელმწიფო სათათბიროში, სადაც ის შეცდომით დეპუტატად იყო." (32; 725).

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე ძირითადად სამი პოლიტიკური ძალა დაუპირისპირდა ერთმანეთს საქართველოში:

1) ეროვნული ბანაკი, რომელიც არაერთგვაროვანი იყო. მის რიგებში წამყვან როლს ასრულებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომელსაც ფართო საგიტაციო საშუალებები გააჩნდა გაზეთების „სახალხო გაზეთის" (გამოდიოდა ტფილისში, არჩილ ჯორჯაძის ფაქტიური ხელმძღვანელობით) და „იმერეთის" (გამოდიოდა ქუთაისში მიხ. შევარდნაძის ფაქტიური რედაქტორობით, ყველაზე აქტიური თანამშრომლები იყვნენ ვასილ წერეთელი – „ურო" და ალექსანდრე ასათიანი) საშუალებით. სფპ-ს თავისი კანდიდატი ჰყავდა ქუთაისის გუბერნიაში, ტფილისის გუბერნიაში კი აგიტაციას უწევდა შედარებით ეროვნული ბანაკის კანდიდატს.

ეროვნული ჯგუფი შემოკრებილი იყო აგრეთვე ჟურნალ „კლდის" გარშემო. ესენი იყვნენ: ფაქტიური რედაქტორი რევაზ გაბაშვილი, კომერციული ხელმძღვანელი დათა ვაჩნაძე, შალვა ამირეჯიბი, შალვა ქარუმიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ალ. ყიფშიძე – ფრონელი და სხვები (5; 126). ამ ჯგუფმა 1917 წელს საფუძველი ჩაუყარა ქუთათურ „სამშობლოსთან" ერთად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას (3; 112) და ფაქტიურად ეროვნული მოძრაობის „ახალ ტალღას" წარმოადგენდა, რომელსაც ხშირად დაპირისპირებაც, კამათიც კი უწევდა ნაციონალისტთა უფროს თაობასთან – სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან (ა. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, კ. აბაშიძე) ვინაიდან „კლდეისტები" ფაქტიურად 1912 წელს აკეთებენ სერიოზულ განაცხადს, პოლიტიკურ ასპარეზზე, ამიტომ სათათბიროს არჩევნებში საკუთარი კანდიდატი არ ჰყოლიათ, მაგრამ აქტიურად ეწეოდნენ აგიტაციას ეროვნულ კანდიდატთა სასარგებლოდ.

2) რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თანამგრძნობი ქართული საზოგადოება, როგორც ტფილისის, ასევე ქუთაისის გუბერნიებში აქტიურად ეწეოდა წინასაარჩევნო კამპანიას

და საკუთარი კანდიდატებიც ჰყავდა წამოყენებული პროგრესისტთა პარტიის სახელით. სააგიტაციოდ იყენებდა ტფილისში გამომავალ „ზაკავკაზიე“-ს და ერთჯერად ალმანახებს. ეს პარტია საკმაოდ ჭრელი შემადგენლობით და სიმყიფით გამოირჩეოდა, თავის საპროგრამო დებულებებში იგი საკმაოდ შეზღუდული მოთხოვნებით გამოდიოდა, უარყოფდა პოლიტიკური ავტონომიის იდეას საქართველოსთვის და საერთო-კავკასიურ „ბუნდოვან“ თვითმმართველობას სჯერდებოდა. ძირითად აღსასრულებელ პირობად კი თავის პროგრამა – მინიმუმში პროგრესისტები დებდნენ: 1) სრული ერობის შექმნას. 2) ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნას. 3) ბატონყმობის ნაშთების მოსპობას, 4) ენის, ლიტერატურის, ქართული ეკლესიის და ქართველი ხალხის უფლებების დაცვას. (30, 143). პროგრესისტებს III სათათბიროში ჰყავდათ თავისი წარმომადგენელი პროკოფი შერვაშიძე, რომელიც ენერგიული სოციალ-დემოკრატების ფონზე საკმაოდ უფერულად გამოიყურებოდა.

3) ამიერკავკასიაში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალა – სოციალ-დემოკრატიული პარტია, უკვე სერიოზული პოლიტიკური გამოცდილების მქონე, ამჯერადაც მაქსიმალური წარმატების მოპოვებას ცდილობდა. წინა სათათბიროებში მათ დიდი უმრავლესობა ჰყავდათ ამიერკავკასიიდან, ამჯერადაც სამივე „ქართულ“ საარჩევნო ოლქში მათ საკმაოდ პოპულარული წარმომადგენლები ჰყავდათ წამოყენებული კანდიდატებად: III სათათბიროს დეპუტატები კარლო ჩხეიძე და ევგენი გეგეჭკორი, აგრეთვე აკაკი ჩხენკელი.

სოციალ-დემოკრატიამ ეროვნულ საკითხში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, მის რიგებში ჩამოყალიბდა ავტონომისტთა ფრაქცია ლადო დარჩიაშვილის მეთაურობით და ა/კ-ის საოლქო თვითმმართველობის მომხრე ნაწილი აკაკი ჩხენკელის სახით. არჩილ ჯორჯაძის აზრით „მათ აზროვნებაში ღრმა ცვლილებები ხდება თანდათანობით, ნ. ჟორდანიას წერილები ეროვნულ საკითხზე ამ ათიოდე წლის წინათ „ცნობის ფურცელში“ რომ დაბეჭდილიყო, მას სასტიკად შეებრძოლებოდნენ „კვალელები“, დღეს ეს წერილები სწორედ „კვალში“ იბეჭდება. (32; 723) მიუხედავად ამისა პარტიის ძირითადი ნაწილი და „გენერალური ხაზი“ ყოველგვარი ავტონომიების წინააღმდეგი რჩებოდა, რაც III სათათბიროში მათმა მოღვაწეობამაც აჩვენა.

გარდა ამისა არსებობდა საარჩევნო კამპანიაში არ მონაწილე, მაგრამ აქტიური მეთვალყურე ჯგუფი გრიგოლ დიასამიძის „თემის“

(იგი აპოლიტიკურობის ლოზუნგით გამოდიოდა) და დ. დუმბაძის „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ის სახით. გარეგნული ნეიტრალობის მიუხედავად „თემი“ მაინც აქტიურად ერეოდა შეხლა-შემოხლაში. მისი აზრით „თუ რომელიმე დამონავებული ერის დემოკრატიული ნაწილი ააფრიალებს ულტრანაციონალისტურ დროშას, იგი უსათუოდ ძლიერ გაახარებს ახლანდელ მთავარ პოლიტიკის შემქმნელთ. საჭიროა სიფრთხილე და ტაქტიკა, მაგალითად „პოლონეთის კოლოს“ მსგავსი ჯგუფი ჩვენთვის სრულიად მიუღებელია, რომელიც დღეს თუ მთავრობის ოპოზიციაშია, რომელიმე საკითხის განხილვისას, ხვალ მთავრობის გულის მოსაგებად მას უჭერს მხარს და ეროვნული იდეალით ხნის ამგვარ რეაქციონერობას. ამიტომ ჩვენმა დეპუტატებმა უნდა მონახონ გავლენიანი დემოკრატიული პარტია, მას მიეკედლონ და სათათბიროში ერთად იმოქმედონ საჭირო ჟამს“. (27; 87).

„თემი“ წინააღმდეგობაში ექცევა უკვე 3 ნომრის შემდეგ როდესაც ამტკიცებს, რომ უმჯობესია ჩვენი დეპუტატი დამოუკიდებელი იყოს და ვითარების შესაბამისად „იქ, სადაც ერთი ჯგუფი თავს სუსტად იგრძნობს, მან უნდა ძლიერს დაუთმოს თავისი ხმები, რომ უკუღმართს ვისმე არ გაამარჯვებიოს“ (27; 90).

განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა ქართველი დეპუტატის ფუნქციისადმი „სახალხო გაზეთს“. არჩილ ჯორჯაძის აზრით, ვინაიდან „რუსეთის პირობებში საარჩევნო ბრძოლა გართულებულია, ამიტომ ჩვენგან წასულმა დეპუტატმა სათათბიროში ვაჭრობა კი არ უნდა დაიწყოს – იქნებ რაიმე დავცინცლოო (IV სათათბიროზე, ისევე, როგორც III-ზე რაიმე პოლიტიკური ხასიათის იმედების დამყარება პოლიტიკური სიბეცეა), მან თავისი დამოუკიდებელი სიტყვა უნდა თქვას და რუსეთის საზოგადოებასაც ამცნოს, რომ სულისკვეთება ქართველი ხალხისა ენის დაცვიდან არ იწყება და ქუჩების მოკირწყლვით არ თავდება“. (32; 688).

ანალოგიური აზრი აქვს გატარებული თავის სტატიაში გ. მ.-ს (30; 150), რასაც „თემი“ აღფრთოვანებით ეგებება. გ. მ. პირველი იძლევა არჩევნებში პოლიტიკურ ძალთა განლაგებას და გამოყოფს „3 მიმართულებას“, მისი წერილი ღრმა ანალიზით გამოირჩევა და ტენდენციურობისგანაც თავისუფალია. (ჩვენი აზრით ამ ფსევდონიმს მიღმა შეიძლება მიხეილ გაჩეჩილაძე იფარებოდეს (8; 69). განსხვავებულად ფიქრობდნენ სოციალ-დემოკრატები, მათი აზრით არჩევნებში ერთმანეთს ებრძოდა დემოკრატია და თავად-აზნაურობა.

გაზეთმა „იმერეთმა“ კ. ჩხეიძეს და ევგ. გეგეჭკორს ბრალი

დასდო იმაში, რომ მათ სათათბიროს ტრიბუნა არ გამოიყენეს ქართველი ერის ინტერესების დასაცავად და არ დააყენეს იქ შემდეგი საკითხები: 1. სოხუმის ოლქის გლეხების უმძიმესი მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფო მოხელეებისგან უდაბურ და ხრიოკ ადგილებზე მათი ჩასახლებით, ხოლო, როდესაც სამოთხედ გადააქციეს გლეხებმა ეს მხარე, ისინი დაუყოვნებლივ აყარეს. „ჩვენმა დეპუტატებმა“ კი მათი უბედურება „ფეხებზე დაიკიდეს“ და შეკითხვაც კი არ დასვეს სათათბიროში. 2. ქართველი ჯარისკაცისგან სამხედრო სამსახურის საქართველოში მოხდის შესახებ. 3. ქართველი გლეხების უმიწობის და მცირემიწიანობის პრობლემა. 4. საშუალო და უმაღლესი განათლების ქართულ ენაზე სწავლების დაწესება. (28; 13).

დეპუტატის პიროვნების გარშემო კამათი ფედერალისტებსა და გორში გამომავალ „ქართლს“ შორისაც გაიმართა, ამ უკანასკნელის აზრით ეროვნულ კუთვნილებაზე ყურადღების გამახვილება არასწორი იქნებოდა, რადგან ამოსავალი პრინციპი უნდა ყოფილიყო „უხეირო ქართველს ყველა ჯურის ხეირიანი სჯობია“, რასაც „სახალხოელთა“ უკმაყოფილება მოჰყვა, ეროვნული ნიჰილიზმის ბრალდებით და განცხადებით „ე. ი. თქვენი აზრით ქართველებში ხეირიანი არ მოიძებნებაო“. (32; 706).

ა. ჯორჯაძე და „სახალხო გაზეთი“ ილაშქრებდა „თემის“ ცენტრისტულ და ინერტული პოზიციის წინააღმდეგაც, „იგი წუნია პატარძალივით იქცევა, რომელსაც ვერ გამოურკვევია თუ რომელი საქმრო სჯობია“. „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ის საყვედურებზე, თქვენი კანდიდატი თქვენვე გააშავეთ ანტისომხური აგიტაციითო, ა. ჯორჯაძე იხსენებს 1911 წლის საქალაქო არჩევნებს, როდესაც ზემოხსენებული რედაქცია გვერდში დაუდგა შავრაზმელ რუს-ხულიგნებს და ხმოსნის 2 სავარძლის გულისთვის ძირფესვიანად იკლებდნენ და უსისინებდნენ ერთმანეთს. (32; 721).

მნიშვნელოვანია თვით ა. ჯორჯაძის დამოკიდებულება მომავალი დეპუტატისადმი, მისი აზრით ქართული საკითხი სათათბიროში ინტეგრალურად და გადაჭრით უნდა დაისვას და არა ნაკუწ-ნაკუწ. სწორედ ამის გამო „სახალხო გაზეთი“ თავდაპირველად ლ. ანდრონიკაშვილის კანდიდატურას სიფრთხილით და თავშეკავებით ეკიდებოდა, მაგრამ შემდეგ „ნაკლები ბოროტების“ პრინციპით მხარი მას დაუჭირა კ. ჩხეიძის საწინააღმდეგოდ. ა. ჯორჯაძე ამავე მოსაზრებით ამჯობინებდა, რომ თუ კი ეროვნული ინტერესების

დამცველი დეპუტატი ვერ გავიდოდა სათათბიროში, სხვებს ისევ ცენტრალისტი დემოკრატი ემჯობინებათ, ვინაიდან ის საერთო-სარუსეთო დემოკრატიის ინტერესებს მაინც დაიცავდა. (32; 691-92).

რუსული ცენტრალური პრესა საქართველოში არჩევნებს საკმაოდ ზერელედ უყურებდა, მაგალითად „რუსსკოე სლოვო" წერდა: „ჩხეიძის მომხრენი, რომლებმაც წარსულ არჩევნებში დიდი მხნეობა და დისციპლინა გამოიჩინეს ახლა მიიმალნენ, ჩხეიძე და გეგეჭკორი რეპრესიებით შეშინებულნი სტამბოლს წავიდნენ. მეორე ძლიერი პარტია ქუთაისსა და ტფილისში თავად-აზნაურული პარტიაა". როგორც ვხედავთ აქაც 2 ძირითადი მიმართულებაა ხაზგასმული, რაც მოწმობს აღნიშნული ორგანოს საქმეში ჩაუხედაობას. (32; 697).

არჩევნები ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში არაერთგვაროვანი იყო. თუკი ქუთაისის გუბერნია მთლიანად არჩევნების ჰაერითაა გაჟღენთილი, ტფილისში წინასწარი საარჩევნო კრებებიც კი არ გამართულა (32; 710, 722). ამასთან ქუთაისში არჩევნების გასაჩივრების და განმეორებითი არჩევნების შემთხვევები გაცილებით მეტი იყო.

საარჩევნო ციებ-ცხელების უმეტესი დრამატულობა დასავლეთ საქართველოში აიხსნება: 1) უფრო ეროვნული – ქართული მოსახლეობის მონაწილეობით ვიდრე აღმ. საქართველოში, სადაც სომხური ფაქტორი მნიშვნელოვანი იყო. 2) დასავლეთ საქართველოში დეპუტატობის კანდიდატები გაცილებით პოლარულ პოზიციებზე იდგნენ და მათ შორის საკამათოც მეტი იყო ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, ამასთან მოსახლეობის გულგრილობას ტფილისის გუბერნიაში ადმინისტრაციის გამიზნული დაუდევრობაც ერთვოდა. აი რას წერდა თავის გასამართლებლად ცნობილი ქართველი მწერალი თედო რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველას ძმა): „გლეხთა კურიიდან მე და გლურჯიძე ვიყავით არჩეულნი ამომრჩევლად მაგრამ ჩვენ არ გაგვიგია, არც გვიპროპაგანდია, პოლიციამ დაპირების მიუხედავად არ შეგვატყობინა სამაზრო კრების დრო, არც გაზეთებში ეწერა და ვერ გავიგეთ სამწუხაროდ. ამდენად ხმები, თითქოს მე სიზარმაცის გამო არ მომენდომებინოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, არასწორია" (33; 45).

საბოლოო შედეგებით IV სახელმწიფო სათათბირო უფრო მემარჯვენე აღმოჩნდა, ვიდრე III სათათბირო. ძირითადი სხვაობა იყო ოქტიაბრისტთა მარცხი და საპარლამენტო ცენტრის დაკარგვა, რაც შემდგომ ნაძალადევად იქნა შეკოწიწებული. არსებულ ვითარებას აჩვენებს ჩვენს მიერ შედგენილი დიაგრამები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| პარტიები | III | % | IV | % | ორივე | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მემარჯვენე | 52 | 10, 8 | 142 | 29, 6 | 14 | 194 |
| რუსი ნაციონალისტი | 77 | 16, 0 | 74 | 16, 8 | 26 | 151 |
| დამოუკ. ნაციონალისტი | 16 | 3, 3 | – | – | – | 16 |
| მემარჯვენე-ოქტიაბრისტი | 11 | 2, 3 | – | – | – | 11 |
| პროგრესისტი | 39 | 8, 2 | 33 | 7, 5 | 6 | 72 |
| კადეტი | 53 | 11, 0 | 62 | 14, 1 | 21 | 115 |
| ტრუდოვიკი | 14 | 3, 0 | 12 | 2, 7 | 2 | 26 |
| ნაროდოსტი | 14 | 3, 0 | – | – | – | 14 |
| სოციალ-დემოკრატი | 14 | 3, 0 | 14 | 3, 2 | 1 | 28 |
| „პოლონელ-ლიტველ-ბელარ“ | 6 | 1, 2 | – | – | – | 6 |
| პოლონეთის „კოლო“ | 11 | 2, 3 | 14 | 3, 2 | 9 | 25 |
| მუსულმანთა ფრაქცია | 9 | 1, 9 | 5 | 1, 1 | 5 | 14 |
| ნაციონალისტები | 26 | 5,4 | – | – | – | 26 |
| უპარტიონი | 16 | 3, 3 | 7 | 1, 6 | – | 23 |
| ოქტიაბრისტი | 122 | 25, 5 | 79 | 18 | 36 | 201 |
| სულ | 480 | 100 | 440 | 100 | 120 | 920 |

### ამიერკავკასიელი დეპუტატები

| III სათათბირო | IV სათათბირო |
|---|---|
| *1. ქუთაისის გუბერნია* | |
| ევგენი გეგეჭკორი (ს. დ.) | ვარლამ გელოვანი (ტრუდოვიკი) |
| *2. ტფილისის გუბერნია* | |
| კარლო ჩხეიძე (ს. დ.) | კარლო ჩხეიძე (ს. დ.) |
| *3. სოხუმის, ბათუმის, ართვინის ოკრუგები, ყარსის ოლქი* | |
| პროკოფი შერვაშიძე (პროგ.) | აკაკი ჩხენკელი (ს.დ.) |
| *5. ა/კ. სომეხი მოსახლეობა* | |
| ჰოვანეს საგატელიანი (ტრუდოვიკი) | მიხეილ პაპაჯანოვი (კადეტი) |
| *6. ა/კ. მაჰმადიანი მოსახლეობა* | |
| ხალილ-ბეგ ხას-მამედოვი (მუსლ. ფრაქ.) | მამედ ჯაფაროვი (ს. დ.) |

# II თავი

## IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნები აღმოსავლეთ საქართველოში

ტფილისის გუბერნია გამოყოფილი იყო ცალკე საარჩევნო ოლქად, აქვე ირჩეოდა ამიერკავკასიის რუსი მოსახლეობის დეპუტატი. არჩევნების ბოლო დღედ განსაზღვრული იყო 20 ოქტომბერი. ამ დღეს საერთო კურიის ამომრჩევლები შეიკრიბებოდნენ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს შენობაში, რუსთა კურიის ამომრჩევლები კი საქალაქო თვითმმართველობის შენობაში, სადაც პარტიების და ჯგუფების მიერ წამოყენებულ კანდიდატებს (ამასთან ეს კანდიდატი ცხადია ამომრჩეველთა რიგებიდან უნდა ყოფილიყო) ჯერ ბარათებით მისცემდნენ ხმას, ხოლო შემდეგ მაქსიმალური მაჩვენებლის მქონე კანდიდატებს (მათი რაოდენობა შეიძლება 2-ზე მეტიც ყოფილიყო) კენჭს უყრიდნენ.

წინასაარჩევნო კამპანია ფაქტიურად III სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო, 1912 წლის 24 მარტს ტფილისში შეიკრიბნენ გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატები და სამაზრო წინამძღოლები, შემდეგი შემადგენლობით: გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი გ. ა. ბაგრატიონ-დავიდოვი, ტფილისის – პ. ი. თუმანოვი, თელავის – მ. ზ. ჭავჭავაძე, სიღნაღის – მ. ა. ანდრონიკოვი, დუშეთის – დ. ა. გურამოვი, ბორჩალოს – ნ. ი. საგინოვი. დეპუტატები: გ. ი. ტულაევი, ა. ლ. მაგალოვი, გ. ზ. ტერიევი, კ. ზ. მაყაევი. (42; 1).

მარშალ გიორგი ბაგრატიონის განცხადებით, ახალი საარჩევნო კანონი მიწათმფლობელებს აძლევს არჩევნების შედეგებზე დომინირების და განსაზღვრის საშუალებას, „ამდენად ჩვენ აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ეს ფაქტორი წინა არჩევნებისგან განსხვავებით, როდესაც ინერტულნი ვიყავით“.

მარშალმა პ. ი. თუმანოვის და ზოგიერთი დაახლოებული პირის აზრის გათვალისწინებით სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა გიორგი დურმიშხანის ძე ჟურული, ტფილისის საქალაქო მმართველობის წევრი, რომელიც მარშლის აზრით სიმპატიურია მაღალ წრეებშიც და მისაღები საზოგადოებისთვის. თავადაზნაურობის საკრებულომ ერთხმად დაუჭირა მხარი გ. ჟურულის კანდიდატურას და დაადგინა მასთან მოლაპარაკება, შემდგომ კი არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მის გასაყვანად (42; 2).



ეროვნული ბიბლიოთეკა

25 ივნისს ტფილისის ქალაქის თავმა ალექსანდრე ხატისოვმა წერილი გაუგზავნა თავადაზნაურობის საკრებულოს, რომელშიც ითხოვდა საკრებულოდან, ტფილისის მაზრის ტერიტორიაზე მცხოვრებ, არჩევნებში ხმის უფლების მქონე იმ პირთა სიის გამოგზავნას, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 25 წელი, მისამართის, ეროვნული და სარწმუნოებრივი კუთვნილების აღნიშვნით. წერილში ხატისოვს მოყვანილი ჰქონდა კანონის ის მუხლები, რომელთა ძალით უცხოეთის ქვეშევრდომებს, სამხედრო პირებს და მათ, ვისაც არ გააჩნდა მუდმივი, დანიშვნითი ხელფასი ხაზინიდან და გამომუშავებით შემოსავალზე იყვნენ, ეკრძალებოდათ არჩევნებში მონაწილეობა.

საქალაქო ამომრჩეველთა ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად საკრებულომ განსაზღვრა 8 კაცი, მათგან: ა) ტფილისის I უბანში: საკრებულოს მდივანი ი. ე. ზურაბოვი, მისი თანაშემწე კ. ნ. შათიროვი, კანცელარიის მოხელენი: ი. რ. შატბეროვი, გ. ა. იორდანოვი, ი. გ. ტაზიევი. ბ) ტფილისის II უბანში: საკრებულოს მამულების მმართველი პ. გ. მამრაძე, გ) ტფილისის III უბანში: მისი თანაშემწე გ. რ. კორინთელი და ელექტროსადგურის კანტორისტი დ. დ. კიკნაძე. (42; 5).

გაზეთი „ქართლი“ სექტემბერში აცხადებდა, რომ ტფილისის გუბერნიიდან დეპუტატობის შესაძლო კანდიდატებად ასახელებენ: კარლო ჩხეიძეს, ალექსანდრე ხატისოვს, ალექსანდრე ქალანთარს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს და გიორგი ჟურულს. (33; 30).

გიორგი ჟურულმა, როგორც კი დაიწყო საარჩევნო კამპანია და „სახალხო გაზეთმა“ იგი ვლადიმერ მიქელაძესთან ერთად რეაქციული მიმართულების კანდიდატად გამოაცხადა (32; 689), მაშინვე მოხსნა თავისი კანდიდატურა და ბოდიშიც მოიხადა დროულად ვერ გავიგე ჩემი კანდიდატად წამოყენება, საქართველოში არ ვიმყოფებოდიო.

სომხური გაზეთის „მშაკის“ რედაქტორმა ალ. ქალანთარმა (იგი პროგრესისტთა პარტიას ეკუთვნოდა და მათი სიით მონაწილეობდა არჩევნებში) განაცხადა, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავიდგამ ყუთს, თუკი ტფილისის გუბერნიაში ხმას ქართველებიც მომცემენო. (32; 693). ძნელი სათქმელია ეს გულწრფელი სიტყვები იყო, თუ მას ხატისოვის სასარგებლოდ ქართველთა ხმების მოკრება სურდა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ტფილისის I საქალაქო საარჩევნო უბანში მან მარცხი განიცადა, როგორც სოციალ-დემოკრატებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირებაში, ასევე „სახალხო გაზეთის“ ეროვნული ჯგუფის კანდიდატებთან. (36; 226). საბოლოო შედეგი ასეთი იყო: ნ. ს. ჩხეიძე და ა. ს. ბაბოვი (647 ხმა), ალ. მდივანი (231 ხმა), მ. გედევანოვი (159 ხმა), ა. ქალანთარი (74 ხმა). სულ ამ უბანში 1115 რწმუნებულმა მოიყარა თავი.

გორის მაზრის ამომრჩევლებს როგორც ჩანს სურდათ ეპისკოპოს კირიონის კანდიდატურის წამოყენება, მაგრამ ამ იდეამ საყოველთაო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და არ განხორციელებულა. (37; 217).

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი (1872-1939) – დაიბადა თელავის მაზრის ს. ოჟიოში, თავადი, დაამთავრა თბილისის I გიმნაზია და პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის II კურსიდან გერმანიაში გაემგზავრა განათლების მისაღებად. ჰაიდელბერგში იგი ისმენდა კუნო ფიშერის, ხოლო სტრასბურგში – ვინდელბანდის ლექციებს. რუსეთში დაბრუნებისას მუშაობა დაიწყო ნაფიც მსაჯულად და პეტერბურგის ნაფიც მსაჯულთა საბჭოს წევრიც გახდა. იგი მოღვაწეობდა ბათუმის და ბაქოს საქალაქო თვითმმართველობებში. ადვოკატი იყო სომეხ-თათართა შეტაკების და „დაშნაკცაკანის“ თაობაზე გამართულ პროცესზე, სადაც სომეხთათვის საკმაოდ სასიამოვნო პოზიცია ეჭირა. I და II სახელმწიფო სათათბიროებში ტრუდოვიკთა კომისიაში მუშაობდა. III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისას იყო დეპუტატობის კანდიდატი ტფილისის გუბერნიიდან, მაგრამ კარლო ჩხეიძესთან დამარცხდა. (37; 235) ლ. ანდრონიკაშვილის კანდიდატურა, როგორც პროგრესისტთა პარტიის მხარდამჭერისა პირველად წამოაყენა გაზ. „ზაკავკაზიე“-მ, (37; 219), რომლის აზრით იგი „ამიერკავკასიელთა რეალური ინტერესების დამცველი იქნებოდა“.

ლ. ანდრონიკაშვილს თავდაპირველად უარყოფითად ეკიდებოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები, მაგრამ ვინაიდან ტფილისის გუბერნიაში მათ კანდიდატის შერჩევა ვერ მოახერხეს (ანდა უფრო სავარაუდოა, რომ მათი „ინკოგნიტო“ კანდიდატურა საწყის ეტაპზევე გამოეთიშა საარჩევნო ბრძოლას), 4 ოქტომბრის სამაზრო არჩევნების დამთავრებისთანავე მათ ღიად დაუჭირეს მხარი ანდრონიკაშვილს (32; 716).

ფედერალისტებს ტფილისში, II საარჩევნო უბანში წამოყენებული ჰყავდათ ვახტანგ მუსხელიშვილი, ნიკოლოზ მელიქიშვილი და შალვა მიქელაძე. აქ „ჩხეიძისტების“ უპირატესობა თვალნათლივი იყო, მათმა კანდიდატებმა 1381 ბარათიდან 836 მიიღეს, პროგრესისტების

სიამ – 229, ხოლო „სახალხო გაზეთის“ სამეულმა 154 ხმა. საბოლოოდ ამ უბნიდან ამომრჩევლად გავიდნენ: ა. გ. ბებურიშვილი, დ. გ. გაგლოევი, ა. ჯ. არუთუნიანცი. III საარჩევნო უბანში სოციალ-დემოკრატებმა 547 ხმა მიიღეს, პროგრესისტებმა კი – 531, ამიტომ არჩევნები ხელმეორედ გაიმართა. სოციალ-დემოკრატებმა თავდაპირველი კანდიდატები (კაფიევი, ბასტიანოვი, ჰასან-ზადე) შეცვალეს და ამგვარად მიაღწიეს წარმატებას. (გ. თუმანოვი – 399, გ. სტეპანოვი – 396, ი. ხუნუნცი – 402).

კარლო (ნიკოლოზ) სიმონის ძე ჩხეიძე (1864-1926) – დაიბ. შორაპნის მაზრის ს. ფუთში. ქუთაისის გიმნაზიას VIII კლასიდან დაანება თავი. იყო ოდესის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი, შემდეგ ხარკოვის ვეტერინარულ ინსტიტუტში სწავლობდა. 1898-1902 წწ-ში იყო ბათუმის საქალაქო მმართველობის ხმოსანი, ბათუმის საავადმყოფოს ზედამხედველი. 1907 წ. აირჩიეს ტფილისის საბჭოს ხმოსნად (თუმცა უკანონოდ, ვინაიდან არავითარ მეურვეობას არ ეწეოდა, არჩევა კი მეურვის ცენზით მოხდა), 1907 წ. 14 ოქტომბერს გახდა III სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან (ფრაქციის თავმჯდომარე).

ისე მოხდა, რომ III და IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები საერთო სცენარით წარიმართა. გადამწყვეტ ეტაპზე ერთმანეთის წინაშე წარსდგნენ ჩხეიძე და ანდრონიკაშვილი და ორივე შემთხვევაში კანდიდატის ბედი უპარტიო სომეხმა ამომრჩევლებმა გადაწყვიტეს.

აი რას წერდა ნ. ჟორდანია III სათათბიროს არჩევნებზე: „გუბერნიაში უმრავლესობა ამომრჩევლებისა გავიდა არასოციალ-დემოკრატები, რასაკვირველია, უმთავრესად ლიბერალები და დემოკრატები. ამათ წამოაყენეს კანდიდატათ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ჩვენებმა მას დაუპირისპირეს კარლო ჩხეიძე. საკითხს სწყვეტდნენ სომხები, რომელთაც მეთაურობდა ალ. ხატისოვი. მე გამგზავნეს მასთან მოსალაპარაკებლად ქალაქის გამგეობაში; მქონდა შეხვედრა ორჯერ. მე ვუთხარი: ჩვენ ვართ დემოკრატები, თქვენც ხართ, ჩვენ ვართ სოციალისტები, თქვენ არ ხართ, მაგრამ სოციალიზმისთვის დღეს არ ვიბრძვით, არც მის განხორციელებაზე ვფიქრობთ ახლო მომავალში; ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ ძირითადი პოლიტიკური, ადამიანური უფლებები. თქვენი მიზანიც ეს არის. ნაციონალურ საკითხში ჩვენი პოზიცია იცით,

ვიცავთ ყველა დაჩაგრულ ერებს თანასწორად, თქვენსას, ჩვენსას, ყველას და მათ მოთანხმებულ თავისუფალ ცხოვრებას და სხვა. ხატისოვი გულწრფელი კაცი იყო და არ დაუმალავს არაფერი. მან სავსებით დამეთანხმა, მხოლოდ ეჭვობდა ამხანაგების დაჯერებაში. ლუარსაბი კადეტი, ჩვენც კადეტები ვართ, რანაირათ შეიძლება პარტიულ ამხანაგს არ მივცეთ ხმა და თქვენ მოგცეთო. ვეცდები მაინცო. არჩევნები დამთავრდა კარლოს არჩევით. სომხებში ნაციონალურმა საკითხმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. ანდრონიკაშვილი დასახეს ქართველ ნაციონალისტად და როგორც ამნაირი – სომხების მოწინააღმდეგეთ". (13; 58-59).

სოციალ-დემოკრატების და სომხური ბურჟუაზიის საარჩევნო კავშირის დამადასტურებელია არჩევნების შედეგები, „გორში 46 გლეხთა რწმუნებულში. 1 სომეხი ერია და ზუსტად ის აირჩიეს (ვ. სტეპანოვი – ბ. კ.), თელავ-სიღნაღ-გორში ესდეკებმა სომხები წამოაყენეს კანდიდატებად. ტფილისში 8-დან მხოლოდ 2 ქართველია, 1-კარლო ჩხეიძე. მოკლედ სდპ და „დაშნაკცუთიუნი" არჩევნებში ბლოკად გამოდიან" – წერდა გ. ბარელი (32; 716).

სიღნაღის გლეხთა კურიაში სოციალ-დემოკრატების პროპაგანდისტებმა ხმები დაყარეს, ვითომ ვიღაც მინგრელსკის ნახევარი მილიონი გადაუდია თავადების ასარჩევად და დიმიტრი ოდიშელი და ნიკო ტურაშვილი (ნაციონალისტთა კანდიდატები) სწორედ მათი მომხრენი არიანო. დემაგოგიამ გასჭრა და 19 ხმით 7-ის წინააღმდეგ მამასახლისი გონაშვილი და ჭუმბურიძე აირჩიეს. სიღნაღის საქალაქო არჩევნებში ექიმ ჯანდიერის საპირისპიროდ სოციალ-დემოკრატებმა სომეხ ოგანოვს გაამარჯვებინეს. ქალაქ გორში კი ლევან ამირაგოვმა (199 თეთრი, 74 შავი) სოციალ-დემოკრატთა დახმარებით დაამარცხა კოტე ელიოზიშვილი (70 თეთრი, 203 შავი).

ნაციონალისტური პრესა „დემაგოგიას და ერის ღალატს" უწოდებდა სოციალ-დემოკრატთა მოქმედებას. პეტერბურგის „დენ" კი წერდა: „ტფილისში 2 ბლოკი ებრძვის ერთმანეთს სოციალ-დემოკრატების და პროგრესისტების, რომელთა კანდიდატები ხატისოვი და ანდრონიკოვია".

კარლო ჩხეიძე თურმე პეტერბურგშიც იყრიდა კენჭს საბინაო ცენზით (III სათათბიროს სხდომების განმავლობაში იქ ცხოვრობდა) და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის განმარ-

ტებით, რაც „ბირჟევია ვედომოსტი“-ში დაიბეჭდა, პეტერბურგში გამარჯვების შემთხვევაში ტფილისში მის კანდიდატურას მოხსნიდნენ და ასპარეზს ალ. ხატისოვს დაუთმობდნენ.

„ხედავთ, თურმე ჩხეიძესთვის სულ ერთი ყოფილა ტფილისში აირჩევენ თუ პეტერბურგში – გაკვირვებით აღნიშნავდა „ზაკავკაზიე“ და ირონიულად დასძენდა – მაგრამ იქ მარცხი განიცადა, რადგან სოლოლაკელები არ ჰყავდა“. (37; 243)

სოლოლაკი, ტფილისის სომხური ოლიგარქიის უბანი, რომელიც ქალაქის თვითმმართველობაში გაბატონებული სომეხი „მამების“ განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა მათი იდეოლოგიის და პოლიტიკური ზრახვების აღმასრულებელი ციტადელი იყო.

„სოლოლაკელმა კრეზებმა“ იოლად მოახერხეს მემამულეთა კურიაში ივ. ჯაბადარის გვერდით ალ. ხატისოვის გაყვანაც, რასაც „ისტორიაში დაუვიწყარი ღალატის ამბავი“ უწოდეს პროგრესისტებმა. ფაქტიურად ვიწრო შოვინისტური ინტერესების მქონე „სოლოლაკელთა“ პარტიის წარმომადგენელმა და ბელადმა, ვინც სრულიად უცხო უნდა ყოფილიყო ქართველი მოსახლეობისთვის, არათუ გაბედა თავისი კანდიდატურის წამოყენება, არამედ ტფილისის მაზრის ქართველი თავადაზნაურობისგან სრული მხარდაჭერაც მიიღო. (37; 220).

ჩხეიძის მომხრენი ბრალს სდებდნენ ანდრონიკაშვილს: ა) საქართველოში არ ცხოვრობს და ქართველთა ინტერესებს როგორ დაიცავსო, ბ) თავისი მოღვაწეობით ცნობილი არ არის საქართველოში, ჩხეიძეს კი ყველა იცნობსო. ამ პრეტენზიებს „კლდეისტები“ „სამაზრო პატრიოტიზმს“ უწოდებდნენ და კონტრარგუმენტებსაც სთავაზობდნენ ოპონენტებს: ა) საუკეთესო ქართველნი, ქართული აზროვნების კორიფენი: მარი, ავალიშვილი, ჯავახიშვილი, ცაგარელი იქ ცხოვრობენ და აბა გადაუდგეს წინ ჩვენებური დასელი, რომელიც „ლოტკის გორას“ არ გასცილებია და საქართველოს ჭირვარამზე ლექცია წაუკითხოს (ამასთან, კ. ჩხეიძეს პეტერბურგი უფრო „ემშობლიურება“, რადგან დეპუტატობა იქიდან მოსურვებია - ბ. კ.). ბ) ლუარსაბ ანდრონიკაშვილს ყველგან იცნობენ, განა თქვენ რომ 5-6 წლის წინ სათათბიროში წერეთელს და გეგეჭკორს აგზავნიდით, იცნობდა მათ ვინმე.

4 ოქტომბერს დასრულდა საუბნო არჩევნები და დაიწყო მსჯელობა, ამომრჩევლების გამოკითხვა, პროგნოზირება თუ რომელი

კანდიდატი რამდენ ხმას მიიღებდა. ტფილისის გუბერნიაში 55-ის ნაცვლად აირჩიეს 49 ამომრჩეველი, ვინაიდან დუშეთის, ახალციხის და თიანეთის მემამულეთა კურიებში არჩევნები არ გაიმართა დამსწრეთა არყოფნის გამო. მუშათა კურიიდან 2 ამომრჩეველი ასევე ტფილისის გუბერნიაზე იყო მიმაგრებული, ამდენად ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 51 კაცს აღწევდა. წინასწარი მონაცემებით ანდრონიკაშვილის მომხრეთა რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატებოდა ჩხეიძისას, რასაც მოწმობს პარტიული მონაცემებიც; არჩეულთა შორის 5 ფედერალისტი, 7 სოციალ-დემოკრატი, 14 პროგრესისტი, 1 ოქტიაბრისტი იყო. დანარჩენების პარტიული კუთვნილების საკითხი და მათ შორის უმეტესობა სომხები იყვნენ, გაურკვეველი დარჩა.

ამომრჩეველთა საბოლოო სია ასე გამოიყურებოდა:

## ტფილისის გუბერნიის ამომრჩევლები

### I ტფილისის მაზრა: *12 ამომრჩეველი.*

გლეხთა კურია:

1. აბრაამ ნიკოლოზის ძე ხაჯიევი (მეწისქვილე)

მემამულეთა კურია:

1. ალექსანდრე ივანეს ძე ხატისოვი (ტფილისის ქალაქის თავი)
2. ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარი (ნაფიცი მსაჯული)
3. დავით ივანეს ძე ყორღანოვი (ნაფიცი მსაჯული)

საქალაქო კურია:

1. არშაკ სერგის ძე ბაბოვი (ტფილისის სათათბიროს ხმოსანი)
2. ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე ჩხეიძე (ჟურნალისტი, ყოფილი დეპუტატი)

1. დავით გიორგის ძე გაგლოევი (სახლის მფლობელი)
2. ანდრეი გიორგის ძე ბებურიშვილი (ნაფიც მსაჯულის თანაშემწე)
3. არშაკ ჯამალის ძე არუთუნიანცი (პედაგოგი)

1. იოსებ ნიკიტას ძე ხუნუნცი (სომხური სასულიერო სემინარიის რექტორი)
2. გიორგი მიხეილის ძე თუმანოვი (საურთ-საკრედ. მმართ. დირექტორი)
3. გერასიმე ნიკიტას ძე სტეპანოვი (ტფილისის სანიტ. ინსპექტორი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ახალქალაქის მაზრა: *5 ამომრჩეველი*

გლეხთა კურია:

1. თოროს გუკასის ძე ტერ-ეზეკოვი (გლეხი, ეჩმიაძინდამთავრებული)
2. კარაპეტ სარქისის ძე ხრიმიანცი (მიწისმზომი, სომხური განათლებით)

მემამულეთა კურია:

1. გიორგი გაბრიელის ძე ქანანოვი (მემამულე)
2. მუსტაფა ფაგრამ-ბეგ ფალავანდოვი (მილიციის პრაპორშჩიკი)

საქალაქო კურია:

1. ოჰანეს კარაპეტას ძე მეცატუნოვი (ახალქალაქის „სტაროსტა“)

III. ახალციხის მაზრა: *4 ამომრჩეველი (აირჩა 2)*

გლეხთა კურია:

1. სულეიმან იბრაჰიმ-ოღლი (გაუნათლებელი გლეხი)

მემამულეთა კურია:

არ აირჩა 2 ამომრჩეველი

საქალაქო კურია:

1. არმენაკ გიორგის ძე ბუდუგოვი (პეტერბურგის ოლქის ნაფიც მსაჯულის თანაშემწე)

IV. ბორჩალოს მაზრა: *7 ამომრჩეველი.*

გლეხთა კურია:

1. გარეგინ სერგის ძე ტერ-აკოფოვი (შულავერის „სტაროსტა“)

მემამულეთა კურია:

1. ნიკოლოზ ივანეს ძე საგინოვი (ბორჩალოს თავადაზნაურობის წინამძ.)
2. ალექსანდრე მიხეილის ძე სუმბათაშვილი (მემამულე)
3. იოსებ შანშეს ძე შანშიაშვილი (მემამულე)
4. ასან-ბეგ ისრაფილ-ბეგის ძე იედიგაროვი (მემამულე)
5. ისმაილ-ბეგი ალახვერდი-ბეგის ძე იედიგაროვი(მემამულე)
6. სადიყ-ბეგ აბას-ალიბეგის ძე იედიგაროვი (მემამულე)

V გორის მაზრა: *10 ამომრჩეველი.*

გლეხთა კურია:

1. სერგო ლუარსაბის ძე ლომიძე (გლეხი)
2. ვასილ ისაკის ძე სტეპანოვი (გლეხი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულეთა კურია:

1. დავით ლუარსაბის ძე ამილახვარი (მემამულე)
2. როსებ თადეოზის ძე ამირეჯიბი (მემამულე)
3. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ამირეჯიბი (მემამულე)
4. ვასილ დარისპანის ძე ფალავანდიშვილი (მემამულე)
5. გიორგი ნიკოლოზის ძე ვეზირიშვილი. (მომრიგებელი მოსამართლე)
6. ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე-ფრონელი. (ჟურნალისტი, მწერალი)
7. გიორგი დომენტის ძე მაჭარაშვილი (თავადაზნ. მიწის ბანკის გამგე)

საქალაქო კურია:

1. ლეონ სულხანის ძე ამირაგოვი (ნაფიცი მსაჯულის თანაშემწე)

## VI. დუშეთის მაზრა: *4 ამომრჩეველი (2 არ აირჩა)*

გლეხთა კურია:

1. გიორგი სოლომონის ძე კობაიძე (ვაჭარი)

მემამულეთა კურია:

არ აირჩა 2 მემამულე.

საქალაქო კურია:

1. ვასილ გიორგის ძე თუჯიშვილი (ვაჭარი)

## VII. სიღნაღის მაზრა: *5 ამომრჩეველი*

გლეხთა კურია:

1. ბაგრატ სპირიდონის ძე ჭუმბურიძე (ს. ლელიანი, „ზინგერის" აგენტი).
2. დიმიტრი მიხეილის ძე გონაშვილი (მირზაანის სასოფლო თემის უფრ.)

მემამულეთა კურია:

1. ნიკოლოზ ლაზარეს ძე ტურაშვილი (პრაქტიკანტი ექიმი)
2. კონსტანტინე იოსეს ძე ტყავაძე (ურთ. დახ. კრედ. საზ. დირექტორი)

საქალაქო კურია:

1. გიორგი სერგის ძე ოგანოვი (პრაქტიკანტი ექიმი)

## VIII. თელავის მაზრა: *5 ამომრჩეველი.*

*(5-ვე შილდას მკვიდრი)*

გლეხთა კურია:

1 ილია ომანის ძე ხინჩაკაშვილი (მიწისმზომელი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მემამულეთა კურია:

1. ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი (ნაფიცი მსაჯული)
2 ალექსანდრე რევაზის ძე ვახვახიშვილი (მემამულე)
3. დავით გიორგის ძე ჯორჯაძე (სამთო ინჟინერი)

საქალაქო კურია:

1. ლევან რევაზის ძე ვახვახიშვილი (მიწისმზომელი)

## IX. თიანეთის მაზრა: *3 ამომრჩეველი (2 არ აირჩა)*

გლეხთა კურია:

1. წოთეშ შინდილიკას ძე დარჩიევი (მუცოელი ქისტი, მიწისმზომელი).

მემამულეთა კურია:

2 ამომრჩეველი არ აირჩა.

მუშათა რწმუნებულების ყრილობამ აირჩია:

1. პეტრე ფედოტის ძე მუჟიჩენკო (მჭედელი)
2. ბაგრატ ბადალის ძე მიკირტუმოვი (ცინკოგრაფი)

1912 წლის 20 ოქტომბერს 12 საათზე ტფილისში, თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს შენობაში მარშლის ნაცვლის პავლე თუმანოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა საარჩევნო კრება. 51 ამომრჩევლიდან გამოცხადდა 44 ამომრჩეველი (41; 23). თავმჯდომარის წინადადებით გამოცხადდა შესვენება 14 საათამდე, რომ დაგვიანებულ დეპუტატის ამომრჩევლებსაც შეძლებოდათ ხმის მიცემა, ამ ხნის მანძილზე კი დარბაზში მიმდინარეობდა მსჯელობა კანდიდატების ავკარგიანობაზე. ვინაიდან არავინ მოვიდა 14. 15.-ზე დაიწყო არჩევნები. არჩევნებში არ მონაწილეობდნენ შემდეგი ამომრჩევლები: ხაჯიევი* (I მაზრის I უბანი), მეცატუნოვი (II, V), ტერ აკოფოვი (IV, I). ასან-ბეგ იედიგაროვი (IV, V), სადიყ-ბეგ იედიგაროვი (IV, VII), სულეიმან იბრაჰიმ-ოღლი (III, I), ჭუმბურიძე (VII, I).

* *ამასთან ხაჯიევის არგამოცხადება შეიძლება ვინმეს ინტერესებშიც შედიოდა, რადგან ივი თურქეთის ქვეშევრდომი იყო (36; 239) და უკანონოდ, წესის დარღვევით იქნა არჩეული. მის მონაწილეობას კენჭისყრაში შეიძლება არჩევნების შედეგების გაუქმება გამოეწვია.*

ბარათები შევსებული იყო 3 ენაზე, შემდეგი თანმიმდევრობით: რუსულად, სომხურად და ქართულად. I ეტაპზე, ბარათების მიხედვით ყუთი დაიდგა სამმა კანდიდატმა, ხმები განაწილდა შემდეგნაირად: ლ. ანდრონიკაშვილი 23 ბარათი, კ. ჩხეიძე – 18, ალ. ხატისოვი – 1. შემდგომ გაიმართა კენჭისყრა დარჩენილ 2 კანდიდატზე: კ.ჩხეიძე –. 26 თეთრი, 18 შავი. ლ. ანდრონიკაშვილი – 21 თეთრი, 23 შავი. (41; 30-31).

ამრიგად IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ტფილისის გუბერნიიდან აირჩა ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე ჩხეიძე.

ქართული ნაციონალისტური პრესა ძლიერ უარყოფითად შეხვდა ამ ამბავს. გაზეთი „იმერეთი" ტფილისის ამბებს უკავშირებს ვარშავის საარჩევნო ოლქში მომხდარ ინციდენტს, სადაც ამომრჩეველთა 2/3 ებრაელი იყო და მოსალოდნელი იყო დეპუტატად ებრაელის გასვლა. ამის საწინააღმდეგოდ პოლონელები ფიქრობდნენ არჩევნების ბოიკოტირებას. ებრაულმა ლობმა რუსეთის კადეტთა პარტიის ლიდერის პეტრე მილიუკოვის რჩევით არ წამოაყენა თავისი კანდიდატი, მხარი დაუჭირა ავტონომისტ სოციალ-დემოკრატ იაგელოს პოლონელ ნაციონალისტთა კანდიდატის კუხარჟევსკის საპირისპიროდ და გაამარჯვებინა. პოლონელთა ნაციონალური გრძნობები ძლიერ შეურაცხყო ამგვარმა ორპირობამ და ებრაელებს საყოველთაო უნდობლობა გამოუცხადეს (6; 54), აკრძალეს ებრაელებთან ვაჭრობა პოლონელთათვის (28; 50).

მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ივ. ჯაბადარის პოზიციამ, რომელმაც ისევე როგორც III სათათბიროს არჩევნებისას ამჯერადაც თეთრი კ. ჩხეიძეს მისცა. განსხვავება ის იყო, რომ წინათ იგი ფედერალისტთა სიით გავიდა, ამჯერად კი „სოლოლაკელთა" კადეტური სიით. (27; 96).

„ზაკავკაზიე"-ს მოჰყავს არჩევნებზე კანონის დარღვევის ფაქტი, თურმე დარბაზში შესვენების პერიოდში ხატისოვი აგიტაციას ეწეოდა ქართველ ამომრჩევლებში ჩხეიძის სასარგებლოდ (კერძოდ, ყიფშიძე, კობაიძე, ამირეჯიბი, ფალავანდოვი, ვახვახიშვილი, ხინჩაკაშვილი, მაჭარაშვილი), ხოლო როდესაც ჩხეიძის არჩევა გამოცხადდა ა. ბაბოვს სიხარულის ისტერიამ დაუარა, ხუნუნცი ტიროდა, ბედნიერებისგან აცრემლებულმა ხატისოვმა კი პ. თუმანოვი თავისთან, სუფრაზე მიიპატიჟა. (37; 237)

თვით ნეიტრალური „ზ.რ."-იც კი შეეხო არჩევნების შემდგომ მომხდარს. „აბისელი" ქართულ პრესას სდებს ბრალს დამარცხებაში,

არაორგანიზებულად და უთავბოლოდ იმუშავეთო (36; 245), „რატომღაც იდეალისტები თვლიდნენ – აღნიშნავს „ერთი მარცხის შედეგების" ავტორი – რომ სომხის ბურჟუაზია გადავიდოდა თავის გეგმას და ლ. ანდრონიკოვს ერთეული დამსახურების გამო სომეხთა წინაშე, ხმას მისცემდა". ამ დამსახურებაში ავტორი გულისხმობს ბაქოს მოვლენებში და „დაშნაკცაკანის" პროცესის დროს ანდრონიკაშვილის ადვოკატობას.

„ნეიტრალთა" აზრით, სომეხმა ამომრჩეველმა იმთავითვე განაცხადა, რომ „სოციალ-დემოკრატია მათთვის ნაკლები ბოროტებაა", ამდენად თვით ანდრონიკოვის მომხრენი არიან დამნაშავენი, როდესაც არჩევნები ბედის სასწორზე მიაგდეს და სომეხთათვის გამაღიზიანებელ – დამამცირებელ წერილებს წერდნენ, ვითომც ლ. ანდრონიკოვის მხარდასაჭერად. (36; 242).

სომეხთა საქციელს შეფასება თვით სომხებმაც მისცეს. მაგალითად გ. გ. ევანგულოვი წერდა: „ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია სოციალისტი სომხების და „დაშნაკცაკანის" პოზიცია, არ მესმის მხოლოდ სომეხი ნაციონალისტებისა – ისინი ვითომც წინასწარ არჩევნებში სოციალ-დემოკრატებს ებრძოდნენ და პროგრესისტთა სიით იყვნენ არჩეულნი (მართლაც საკითხავია, რაღა საჭირო იყო ცალკე სია თუ სოციალ-დემოკრატების მომხრენი იყვნენ? – ბ. კ.). განა პაპაჯანოვის ნაცვლად ერევანში ბეკზადიანს რომ გაემარჯვნა, ეროვნული ტრაგედია არ იქნებოდა სომეხთათვის?" (37; 237). ავტორი არწმუნებს მკითხველს, რომ ანდრონიკაშვილი სულაც არ არის შოვინისტი, ის ამაღლდა „საერთო პრობლემებამდე", ბაქოს და „დაშნაკცაკანის" ამბები კი მისი „სომხოფილობის" მაუწყებელია.

სოციალ-დემოკრატები ფედერალისტთა ბრალდებებზე თავს იმართლებდნენ და კონტრარგუმენტებით იქით სდებდნენ ბრალს. „ჰოტენტოტური ლოღიკის" ავტორი აღნიშნავს: „როდესაც „სახალხოელები" იძახიან დაშნაკებს შეეკარითო, მათ რატომღაც ავიწყდებათ 1904 წლის კონფერენცია, 1905 წლის სომეხ-თათართა შეტაკება, ყოველთვის რომ სომეხთა მხარეზე იდგნენ. I დუმაშიც ფედერალისტებმა ს. ბარათაშვილი სომხების წყალობით გაიყვანეს, ხოლო სომხებმა – სომეხი, ფედერალისტთა დახმარებით. შემდეგ „რასკოლი" მოხდა, დაშნაკები მარცხნივ გადაიხარნენ. ჩვენ არავითარი ბლოკი არ გვაქვს არცერთ პარტიასთან და თვით „სახალხოელთა" დამსახურებაა, რომ სომხები ჩვენ მოგვემხრნენ, რაც სომეხ-ებრაელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაგრომებისკენ მოწოდება აქვთ, რომელი ნორმალური [illegible] დაუჭერდა მხარს. (25; 2).

კარლო ჩხეიძის არჩევამ ხელისუფლების წრეებშიც ვნებათაღელვა გამოიწვია, განსაკუთრებით იმ ხმებთან დაკავშირებით, რომლებიც ტფილისში გავრცელდა და ეხებოდა კ. ჩხეიძის კანდიდატურის წამოყენებას პეტერბურგში. ამის თაობაზე ტფილისის გუბერნატორმა წერილიც გაუგზავნა პეტერბურგის ქალაქისთავს და აღნიშნული ხმების დადასტურება სთხოვა (36; 247), პასუხი დადებითი აღმოჩნდა – ნ. ს. ჩხეიძეს მართლაც ეყარა კენჭი პეტერბურგში ბინის დამქირავებლის ცენზით, მაგრამ ამომრჩეველთა არჩევნებზე მარცხი განეცადა. ტფილისის გუბერნატორი მიუთითებდა, რომ ამით დაირღვა 1907 წლის 3 ივნისის საარჩევნო კანონის მე-12 და 57-ე მუხლი. ამიტომ გუბერნატორის აზრით არჩევნების შედეგები უნდა გაუქმდეს და გადაიდოს მომავლისთვის, ხოლო კანონის 328-ე მუხლის ძალით ჩხეიძე უნდა დაისაჯოს (36; 252).

აღნიშნულ პროტესტებს ყურადღება არ მიაქცია სათათბირომ და როგორც ჩხეიძის, ისე სკობელევის არჩევა დაამტკიცა IV განყოფილების თანხმობის შემდგომ. (31; 4)

რაც შეეხება არჩევნებს რუსთა კურიაში. აქ III სათათბიროს დეპუტატმა ტიმოშკინმა სასტიკი მარცხი განიცადა ტფილისის საარჩევნო უბანში. საკმაო წარმატებას მიაღწია ახლადშექმნილმა რუს ნაციონალისტთა პარტიამ, რომლის დეპუტატობის კანდიდატი ბალაშოვი იყო. ამ პარტიას შუალედური მდგომარეობა ეკავა პროგრესისტებსა და მემარჯვენე ნაციონალისტებს შორის, რომლის ლიდერიც ტიმოშკინი იყო. პარტიის საარჩევნო კომიტეტი შემდეგ დებულებებს უყენებდა სათათბიროს მომავალ დეპუტატს: 1) რუსეთის იმპერიის მთლიანობის განმტკიცება, ბრძოლა ყოველგვარი ავტონომიების წინააღმდეგ. 2) იმპერიის სამხედრო ძალების გაძლიერება. 3) მართლმადიდებლური ეკლესიის საჭიროებათა დაცვა, მრევლის განვითარება. 4) სარწმუნოების თავისუფლება. 5) ენათა თავისუფლება, იმ პირობით, რომ სკოლებსა და ოფიციალურ დაწესებულებებში იქნება სახელმწიფო ენა – რუსული. 6) თანასწორუფლებიანობა იმ ერების, რომელთა მოქმედება ეთანხმება სახელმწიფოებრივ ინტერესებს. 7) სკოლის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი და ეროვნულ-პატრიოტული განვითარება. 8) გლეხთა მიწათმფლობელობის ფართო გაუმჯობესება და რუსების გადმოსახლება თავისუფალ სახაზინო მიწაზე. 9) საქალაქო

თვითმმართველობის რეფორმა. ერობის შემთხვევაში რუსთა ინტერესების დაცვა. (32; 696). საბოლოოდ ტფილისში არჩევნებმა ასეთი შედეგები მოგვცა: 1) პროგრესისტები – 1130 ხმა 2) ნაციონალისტები – 599 ხმა 3) რუსთა პატრიოტული პარტია – 411 და 4) „რუსები ამიერკავკასიაში“ – 125 ხმა. (28; 4. 37; 217). მიუხედავად პროგრესისტების წარმატებისა საქართველოს ტერიტორიაზე, საბოლოო არჩევანის ბედი აღმოსავლეთ ამიერკავკასიამ გადაწყვიტა, სადაც საგრძნობი იყო სოციალ-დემოკრატების გავლენა. 1912 წლის 20 ოქტომბერს ტფილისის საქალაქო მმართველობის შენობაში კამერჰერ ბეზობრაზოვის თავმჯდომარეობით გამართულმა კრებამ, რომელსაც 68 ამომრჩევლიდან 62 ესწრებოდა, შემდეგი შედეგები აჩვენა; ბარათები: მ. ი.სკობელევი (28), ი. ს. პროხანოვი (10), ა. ტ. სნარსკი (6), ა. ა. კრასოვსკი (11). ვინაიდან ბოლო სამეულში გამოკვეთილი უპირატესობა არავის ჰქონდა. კენჭისყრაში მონაწილეობა ოთხივე კანდიდატმა მიიღო; სკობელევი 43 თეთრი, 18 შავი. ი. ს. პროხანოვი – 18 თეთრი, 43 შავი. ა. ტ. სნარსკი - 28 თ, 33 შ. ა. ა. კრასოვსკი – 15 თ, 46 შ. (38; 239).

მათე ივანეს ძე სკობელევი (1885-1938) – სათათბიროს ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატი, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი. დაამთავრა ვენის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. აღმსარებლობით მოლოკანი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. ქარის წისქვილების მფლობელი ბაქოში. IV სახელმწიფო სათათბიროში მის საარჩევნო კამპანიას ორგანიზებას უკეთებდა ინა კორენევა, ნ. ჟორდანიას ცოლი (11; 64). მოგვიანებით სკობელევი იყო კერენსკის დროებით მთავრობაში შრომის მინისტრი. შეეწირა 1937 წლის რეპრესიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# III თავი

## IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნები დასავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ორი საარჩევნო ოლქი: ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის, ბათუმის, ართვინის ოკრუგებში.

ქუთაისის გუბერნიაში, მონოეთნიკურობიდან გამომდინარე სრულყოფილად იყო წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური ძალა და მიმდინარეობა. აქ ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები (კანდიდატი კიტა აბაშიძე), სოციალ-დემოკრატები (ევგენი გეგეჭკორი) და პროგრესისტები (ვლადიმერ მიქელაძე).

განსაკუთრებული აჟიოტაჟით საარჩევნო კამპანია დაიწყო ვლადიმერ მიქელაძემ, იგი საბანკო მოღვაწე და პოლიტიკაში შემთხვევითი კაცი იყო. დეპუტატობა მას პირადი მიზნების განსახორციელებლად სჭირდებოდა, რასაც ისიც მოწმობს, რომ მის უკან არ იდგა პარტია, საარჩევნო კამპანიას ფაქტიურად თავისი ხარჯით წარმართავდა, თუმცა კი თავს პროგრესისტად აცხადებდა და გარკვეული პოლიტიკური პროგრამაც ჰქონდა. გიორგი ლასხიშვილის თქმით იგი ადრე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, თანამშრომლობდა რუსულ („ვეტერანის"ფსევდონიმით) და ქართულ („დავიწყებული მწერლის" ფსევდონიმით) პრესაში, იყო ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველი, საიდანაც აირჩიეს რუსეთის საურთიერთობო კრედიტის საზოგადოების ცენტრალური ბანკის გამგეობის წევრად. რწმენით კადეტებს განეკუთვნებოდა და ჭირის დღესავით სძულდა ყოველგვარი სოციალიზმი (7; 286).

თავისი პოლიტიკური კრედო ვლადიმერ მიქელაძემ გადმოსცა 24 – გვერდიან წიგნაკში „ვინ ხარ შენ", სადაც ის ხაზგასმით ჩამოთვლის თავის დამსახურებებს, „სახელოვან ბიოგრაფიას", რაც ხშირად კურიოზულ სახესაც ღებულობს. მაგალითად ის წერს: ბანკის დირექტორი ვარ, 15-ათასიანი ჯამაგირი მაქვს, მინისტრთან მისაუზმია და „რეჩიც" მითქვამსო.

ამ წიგნაკში აზროვნების ასეთ „მარგალიტებსაც" წააწყდება კაცი: „რუსეთის მიერ ნაყოფიერი და მდიდარი ტერიტორიების ხელთ გდება ვერც პეტრე დიდმა და ვერც მისმა მემკვიდრეებმა ვერ შეძლეს. ამ საქმის შესრულება შესაძლოდ შეიქნა მხოლოდ მაშინ, როცა საქართველომ ნებაყოფლობით მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა და რუსეთს მხარი გაუმაგრა". პატივმოყვარეობისგან დაბრმავებული კაცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებას ჰგავს შემდეგი სიტყვები: „ჩემს სამშობლოში 22 წელი გავატარე, შემდეგ კი პეტერბურგში გადავედი. ამ დიდ და მაღალ პატივზე მე უარი ვერ ვყავი, განა კი პეტერბურგში ჩემი ქვეყნისთვის უსარგებლო ვიქნები. თქვენ ერთი აბაზისთვის ეშმაკს ჯურღმულში ჩაყვებით და იქ კელაპტარს აუნთებთ და რატომ გიკვირთ ტფილისს პეტერბურგი ვამჯობინო და 5000 მანეთს 15000 მანეთი". ამ სიტყვებზე გ. ბარელი შენიშნავდა: „ამისთანა კაცი 100 000-ად საქართველოსაც გაყიდისო" (32; 697).

მიქელაძის დაქირავებული აგენტები ხალხში ავრცელებდნენ ამ წიგნაკს და ფარულ აგიტაციასაც ეწეოდნენ (32; 700), რაც ხშირად წიგნაკის თავზე გადახევით მთავრდებოდა (მაგ: შორაპანში). მიქელაძემ ქუთაისში საარჩევნო ბიუროც კი მოაწყო, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო მისვლა და მუდმივი მორიგე-მდივნის საშუალებით ყველანაირი ინფორმაციის მიღება კანდიდატზე, მის პოლიტიკურ მრწამსზე.

ფულს ამ ბიუროს შენახვისთვის, როგორც „მიქელაძისტები" ამტკიცებდნენ ე. წ. „მოწინავე ელემენტები" იღებდნენ. (32; 695). მიქელაძე არ ერიდებოდა საარჩევნო კამპანიაში ბინძური ხერხების გამოყენებასაც, თავისი წიგნაკის საშუალებით მან ხმები გაუვრცელა კიტა აბაშიძეს, თითქოს ის საზღვარგარეთ გაიქცა (სინამდვილეში კ. აბაშიძე სამკურნალოდ იყო წასული) და ჭიათურის ბანკის 100 000 მანეთი გაიტაცა, რასაც ბანკის თანამშრომლებს გადაახდევინებსო. (28; 5). ამ ბრალდებაზე „დასელებიც" კვერს უკრავდნენ – მართალია, რადგან კიტა არ პასუხობსო. ფოთში „მიქელაძისტები" დემაგოგიას ეწეოდნენ – ფედერალისტებს ხმა არ მისცეთ, თორემ კიტა სათათბიროში თუ გავიდა „საფუთო გადასახადს" მოგისპობთო. (30; 149).

მიქელაძის მოქმედებას და კანდიდატურას ყველა მოწინააღმდეგე ბანაკის პროტესტი მოჰყვა. სოციალ-დემოკრატები მას დაცინვით „პეტერბურგის ბანკიდან მოვლენილ მესიას" უწოდებდნენ (23; 1) და ისეთ პიროვნებად თვლიდნენ, რომელსაც დაჯგუფება ჰყავს არა გარკვეული პროგრამის, არამედ საკუთარი პერსონის გარშემო. სწორედ ამიტომ მოუწოდებდნენ ამომრჩევლებს, „თუ იმერული კენჭობიას" და „ნათელ-მირონობის" საზოგადო ასპარეზზე გაბატონება არ გსურთ მიქელაძე გააშავეთო". ზოგი უფრო შორს მიდიოდა არჩევნების შეფასებისას, სოციალ - დემოკრატები იმასაც კი წერდნენ:

„ქუთაისის გუბერნიაში თავადურ –ნათესაური ჭიდაობაა მიქელაძეებსა და აბაშიძეებს (ე.ი. ზემო და ქვემო იმერეთს) შორის“ (23; 1).

ვასილ წერეთელი („ურო“) ვ. მიქელაძეს „დახავსებულ, დრომოჭმულ საზოგადო მოღვაწეს“ უწოდებს (28; 5). თვით ნეიტრალური „თემიც“ კი ასე ახასიათებდა მას: „ მართალია ვ. მიქელაძემ თვით წამოაყენა თავი კანდიდატად, მაგრამ მას მხარს უჭერს ყველა რეაქციონურ-შავრაზმული ელემენტი, ისინი ელოდნენ ბელადს, რომელიც გამოჩნდა და ახლა ჩაეჭიდნენ და ცდილობენ გაათრიონ სათათბიროში. ამიტომ მასთან ბრძოლაში სიფრთხილეა საჭირო“ (27; 89).

ვლადიმერ მიქელაძე ჯერ კიდევ 1907 წლის სათათბიროს არჩევნებზე, ბათუმში აცხადებდა, არავითარი პოლიტიკური მრწამსი არ მაქვს და პოლიტიკაც სისულელედ მიმაჩნიაო. (30; 138). სასტიკად უარყოფდა ეროვნულ ავტონომიას და სრული ერობის განხორციელებით კმაყოფილდებოდა. მის სადეპუტატო მიზანდასახულობაში 4 პუნქტი შედიოდა: 1. ერობა, 2. უნივერსიტეტი, 3. ბატონყმობის ნაშთების მოსპობა, 4. ენის, ლიტერატურის, ეკლესიის და ხალხის უფლებების დაცვა. (30; 143).

ფაქტიურად ყველა ეს პუნქტი შედიოდა ადმინისტრაციის განზრახულობაში, მათზე საზოგადოებაში მიმდინარეობდა მსჯელობა, კამათი, ნაწილი აღსრულდა კიდეც. ამდენად მიქელაძის საპროგრამო დებულებები ღია კარის მტვრევა იყო. ამ პიროვნებას რომ დასაყრდენი არ გააჩნდა ქუთაისის მსხვილი მიწათმფლობელების არჩევნებმაც დაადასტურა, სადაც ვ. მიქელაძემ მარცხი 2-ჯერ განიცადა (პირველი არჩევნებისას, როცა შეატყვეს ვმარცხდებითო, მისი ძმა დიმიტრი მიქელაძე შეიჭრა ოთახში და ყუთები გადააბრუნა, რის გამოც არჩევნები გაუქმებულად გამოაცხადეს).

სასტიკი დამარცხება განიცადა ამ პარტიამ ქუთაისის საქალაქო არჩევნებზეც, 3380 ხმიდან მათ 34 მიიღეს. მხოლოდ ქუთაისის მემამულეთა კურიიდან მოხერხდა 4 კადეტურად განწყობილი ამომრჩევლის გაყვანა.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კანდიდატს კიტა აბაშიძეს, მისი საქართველოში არ ყოფნის მიუხედავად, „კოლხიდა“ – „იმერეთი“ და „სახალხო გაზეთი“ ბრწყინვალე აგიტაციას უწევდა. ვასილ წერეთელი ევგენი გეგეჭკორის ფონზე, რომელსაც პროლეტარიატის დეპუტატად თვლიდა და საყვედურობდა III სათათბიროში 5 წლის მანძილზე ავტოკეფალიის, თვითმმართველობის და გლეხთა საკითხის

დაუყენებლობას, კიტა აბაშიძეს ყველაზე ღირსეულ კანდიდატად მიიჩნევდა საქართველოში. (28; 5).

მიუხედავად ამისა კ. აბაშიძეს ხელი შეეშალა არჩევნებში გამარჯვებაში ადმინისტრაციის თვითნებობის გამო. იგი ვაჭარ-მრეწველთა ცენზით შორაპნის მაზრაში იყრიდა კენჭს და აშკარა უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ 26 სექტემბერს მეფისნაცვლის განკარგულებით შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრის ვაჭრები, მოხელენი და სამღვდელოება ქუთაისის კურიას მიუერთეს, ამიტომ არჩევნები 28 სექტემბრიდან 4 ოქტომბერს გადაიტანეს. ფაქტიურად აგიტაციისთვის დრო აღარ რჩებოდა და ქუთაისში სოციალ-დემოკრატების გავლენა უფრო იგრძნობოდა (ამასთან აქ ამომრჩევლად გადიოდა მათი დეპუტატობის კანდიდატი – ევგენი გეგეჭკორი).

ფედერალისტებს სასწრაფოდ მოუწიათ მოსე ქიქოძის ნაცვლად ქუთაისის საარჩევნო სიაში კ. აბაშიძის ჩასმა და შემდეგი სიის წარდგენა არჩევნებზე: 1. ივანე (კიტა) გიორგის ძე აბაშიძე. 2. გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი. 3. დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი. (პროფესიით – სამივე ადვოკატი).

სოციალ-დემოკრატებმა შემდეგი სია წარმოადგინეს: 1. ევგენი გეგეჭკორი, 2. ლეო ნათაძე (პედაგოგი), 3. მიხეილ მგალობლიშვილი (ექიმი) და გაიმარჯვეს კიდეც 2121 ხმით 1226 ხმის წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალ-დემოკრატები ჩვეულ დემაგოგიას მიმართავდნენ, ხმებს ავრცელებდნენ თუ ევგენის არ აირჩევთ დააპატიმრებენო და ა. შ...(32; 721).

4 ოქტომბრის არჩევნები ქუთაისის უბანში გაუქმდა და ე. გეგეჭკორი საარჩევნო სიიდან ამოიშალა. სამაზრო კომისიის გადაწყვეტილება განაპირობა იმან, რომ ე. გეგეჭკორს ქუთაისში შესაბამისი ცენზი არ ჰქონდა. იგი თავდაპირველად ემზადებოდა სენაკის მაზრაში, სადაც ის III სათათბიროში აირჩიეს, მაგრამ ვინაიდან შეატყო გამარჯვების ალბათობა თავისი თავი ქუთაისში გადაატანინა ბინის მოქირავნის ცენზით. გეგეჭკორი ბინის მოქირავნედ ითვლებოდა 5 წლის მანძილზე პეტერბურგში, III სათათბიროში მოღვაწეობის მანძილზე და ქუთაისში არჩევნების წინ ბინის დაქირავება მას კანონის თანახმად ცენზში ვერ ჩაეთვლებოდა. (30; 231). მისი მოქმედების სისწორე დაადასტურა არჩევნების შედეგებმა, როდესაც სენაკში ფედერალისტებმა გაიმარჯვეს, ხოლო ქუთაისში მისი გამოკლების მიუხედავად კვლავ სოციალ-დემოკრატებმა. იქ მათი პოლიტიკური ლობი მყარი იყო.

როგორც ვნახეთ ადმინისტრაციამ საარჩევნო ხრიკებით თავიდან ჩამოიშორა ორივე არასასურველი კანდიდატი: გეგეჭკორი – ქუთაისში და აბაშიძე – შორაპანში. განმეორებითი არჩევნებიც ქუთაისის საქალაქო კურიაში 17 ოქტომბერს ფედერალისტებმა 370 ხმით წააგეს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის გუბერნიაში, გარდა რაჭის და ზუგდიდის მაზრებისა, ყველგან 2-3 ჯერ მაინც მოეწყო არჩევნები. გასაჩივრებებით განსაკუთრებით „მიქელაძისტები“ აქტიურობდნენ.

ფედერალისტებმა კიტა აბაშიძის ნაცვლად დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ვარლამ გელოვანი (ლეჩხუმის მაზრის ამომრჩეველი). ეს მოხდა ფაქტიურად არჩევნებამდე ორი დღით ადრე, რაც ძალიან ართულებდა მის მდგომარეობას. თუმცა სოციალ-დემოკრატებსაც გამოკვეთილი ლიდერი აღარ ჰყავდათ.

ვარლამ ლევანის ძე გელოვანი (1878-1915) – დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ნაფიც მსაჯულთა კორპორაციამ თავის მდივნად აირჩია. I სახელმწიფო სათათბიროში ავტონომისტთა ფრაქციის (თავმჯდომარე: ბოდუენ დე კურტენე) მდივანი იყო.

ვიდრე მიმოვიხილავდეთ 20 ოქტომბრის არჩევნებს, წარმოვადგენთ ჩვენს მიერ შედგენილ ამომრჩეველთა პარტიული კუთვნილების სქემას და მათ ვინაობას მაზრების და კურიების მიხედვით. (39; 42).

## I. მემამულეთა კურია:

22 დეპუტატის ამომრჩეველი.

(არჩევნები გაიმართა – 16 და 19 სექტემბერს).

შორაპნის მაზრა – 400 რწმუნებული (200 ფედერალისტი) – აირჩიეს
*4 ფედერალისტი ამომრჩეველი.*

ოზურგეთის მაზრა – 40 რწმუნებული (30 სოც-დემოკრატი) –აირჩიეს
*3 სოციალ-დემოკრატი ამომრჩეველი.*

ლეჩხუმის მაზრა – 35 რწმუნებული (30 ფედერალისტი) – აირჩიეს
*2 ფედერალისტი ამომრჩეველი.*

რაჭის მაზრა – 35 რწმუნებული (ერთხმად) – აირჩიეს
*3 ფედერალისტი ამომრჩეველი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენაკის მაზრა - 280 რწმუნებული (120 ფედერალისტი) - აირჩიეს
*3 ფედერალისტი ამომრჩეველი.*

ქუთაისის მაზრა - 50 რწმუნებული (30 პროგრესისტი) - აირჩიეს
*4 პროგრესისტი ამომრჩეველი.*

ზუგდიდის მაზრა - 40 რწმუნებული (ერთხმად) -აირჩიეს
*3 ფედერალისტი ამომრჩეველი.*

II. საქალაქო კურია.

7 დეპუტატის ამომრჩეველი

(არჩევნები გაიმართა - 28 სექტემბერს. განმეორებით ქუთაისში - 17 ოქტომბერს).

ქ. ზუგდიდი - (279 ხმის უპირატესობით) - აირჩიეს
*1 ფედერალისტი ამომრჩეველი.*

ქ. ოზურგეთი - (30 ფედერალისტი, 270 ს. დ.) - აირჩიეს
*1 სოციალ-დემოკრატი ამომრჩეველი.*

ქ. ფოთი - (260 ფედერალისტი, 485 ს. დ.) - აირჩიეს
*2 სოციალ-დემოკრატი (გაუქმდა).*

ქ. ქუთაისი - (1480 ფედერალისტი, 1850 ს. დ.) - აირჩიეს
*3 სოციალ-დემოკრატი (გაუქმდა).*

III (გლეხთა) კურიაში არჩევნები 14 სექტემბერს გაიმართა. ლეჩხუმის მაზრაში გაიმარჯვა ფედერალისტმა, ზუგდიდში - „ალიონელ-ავტონომისტმა". დანარჩენი 7 ადგილი სოციალ-დემოკრატებს ხვდათ წილად.

## ქუთაისის გუბერნიის ამომრჩევლები

შორაპნის მაზრა: *6 ამომრჩეველი.*

მემამულეთა კურია:

1) პეტრე (ალექსანდრე) ალექსანდრეს ძე წერეთელი (იურისტი).
2) იოსებ ალექსანდრეს ძე გუნცაძე (აგრონომი).
3) ილია ზურაბის ძე აბაშიძე (აზნაური).
4) ალექსანდრე ხახულის ძე აბაშიძე (აზნაური).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხთა კურია:

1) არჩილ დიმიტრის ძე არაბიძე (გლეხი).
2) გრიგოლ მიხეილის ძე ფხალაძე (გლეხი).

ოზურგეთის მაზრა: *5 ამომრჩეველი.*

მემამულეთა კურია:

1) პლატონ დიონისეს ძე ტუსკია (აზნაური).
2) ივანე საყვარელას ძე ნიკოლაიშვილი (აზნაური).
3) ვალერიან პორფირეს ძე ჭყონია (აზნაური).

საქალაქო კურია:

1) იობ ამბაკოს ძე ღლონტი (ვაჭარი).

გლეხთა კურია:

1) პანტელეიმონ გიტოს ძე ჭანიშვილი (გლეხი).

ლეჩხუმის მაზრა: *3 ამომრჩეველი.*

მემამულეთა კურია:

1) ვარლამ ლევანის ძე გელოვანი (ნაფიცი მსაჯული).
2) ოთარ თენგიზის ძე დადეშქელიანი (თავადი).

გლეხთა კურია:

1) სამსონ გაბრიელის ძე ფრუიძე (გლეხი).

რაჭის მაზრა: *4 ამომრჩეველი.*

მემამულეთა კურია:

1) დიმიტრი ალექსანდრეს ძე ყიფიანი (თავადი).
2) ალექსანდრე იოსების ძე კვიტაშვილი (აზნაური).
3) სიმონ თომას ძე ჯაფარიძე (აზნაური).

გლეხთა კურია:

1) სიმონ იოსების ძე ალლაძე (გლეხი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენაკის მაზრა: *6 ამომრჩეველი.*

მემამულეთა კურია:

1) ვლადიმერ ნესტორის ძე დადიანი (თავადი).
2) ვლადიმერ (ბონდო) მიხეილის ძე მიქელაძე (თავადი).
3) ირაკლი ფილიპეს ძე თოფურიძე (აზნაური).

საქალაქო კურია (ქ. ფოთი)

(გაუქმდა):

1) ლავრენტი მაქსიმეს ძე ტულუში (ტიპოგრაფიის პატრონი).
2) დიმიტრი მათეს ძე რუსია (სახლის მფლობელი).

გლეხთა კურია:

1) ნესტორ ბესიკის ძე ქავთარაძე (გლეხი).

ქუთაისის მაზრა: *9 ამომრჩეველი.*

მემამულეთა კურია:

1) დავით ოტიას ძე ნიჟარაძე (თავადი).
2) ვარლამ ბიჭიკოს ძე მიქელაძე (თავადი).
3) ივანე ბიჭიკოს ძე მიქელაძე (თავადი).
4) ვასილ ლევანის ძე ქორქაშვილი (აზნაური).

საქალაქო კურია:

(გაუქმდა)

1) ლეო ნათაძე (მასწავლებელი).
2) მიხეილ მგალობლიშვილი (ექიმი).
3) სერაპიონ მიქაძე.

გლეხთა კურია:

1) პავლე ტარიელის ძე კოპალეიშვილი (გლეხი).
2) დიმიტრი ლაზარეს ძე ბელთაძე (გლეხი).

ზუგდიდის მაზრა: *5 ამომრჩეველი.*

მემამულეთა კურია:

1) კალისტრატე ასლანგერის ძე კობახიძე (სასამართლოს ბოქაული).
2) დეისმა მიხეილის ძე ჩიჩუა (თავადი).
3) ლევან (კიტი) ბეჟანის ძე მხეიძე (თავადი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქალაქო კურია:

1) ნიკოლოზ საველის ძე ბუკია (მასწავლებელი).

გლეხთა კურია:

1) იოსებ ანტონის ძე კვარაცხელია (გლეხი).

ამრიგად 20 ოქტომბრისთვის 38 ამომრჩევლიდან დარჩა 33, არჩევნებზე გამოცხადდა 32. მათგან ფედერალისტებს ემხრობოდა 17 კაცი, სოციალ-დემოკრატებს – 12, პროგრესისტებს – 3.

სოციალ-დემოკრატები ძალიან ცდილობდნენ არჩევნების ბედი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ და ვინაიდან ლიდერი არ ჰყავდათ, დაიწყეს აგიტაცია დავით ნიჟარაძის სასარგებლოდ, რომ იქნებ პროგრესისტები მიემხროთ და ვ. გელოვანის კანდიდატურა ჩაეგდოთ. ეს ხმები მათ დაყარეს 15 ოქტომბრამდე. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ფოთის საქალაქო კურიის არჩევნები 16 ოქტომბერს გაუქმდა და ქუთაისისა ჯერ არ იყო გამართული, ადვილი ასახსნელი იქნება სოციალ-დემოკრატთა ვარაუდი – ამ შემთხვევაში ისინი 17 იქნებოდნენ, იმდენივე, რამდენიც ფედერალისტები და თუკი დ. ნიჟარაძეს დაუჭერდნენ მხარს (რომელიც მათთვის „ნაკლები ბოროტება“ იყო) იოლად გაიმარჯვებდნენ.

მათი ზრახვები ვერ განხორციელდა. 5 გამოკლებულ სოციალ-დემოკრატ ამომრჩეველს არგამოცხადებული პროგრესისტიც დაემატა და ვარლამ გელოვანმა მარტო დაიდგა ყუთი. კენჭისყრამ მას 17 თეთრი და 15 შავი ბურთი არგუნა. (27; 96). ვარლამ გელოვანის დეპუტატობას სოციალ-დემოკრატები ლანძღვის კორიანტელით შეხვდნენ, რაც მოგვიანებით სათათბიროს ტრიბუნიდანაც გაგრძელდა.

ფოთსა და ქუთაისში რუსთა კურიის ამომრჩევლებმა (423-დან 51) 30 სექტემბერს აირჩიეს ალექსანდრე ანტონის ძე კრასოვსკი (28; 6), რომელმაც მონაწილეობა მიიღო 20 ოქტომბერს საბოლოო არჩევნებში (იხ. II თავი).

III საარჩევნო ოლქში (ქუთაისის გუბერნიის ბათუმის, ართვინის, სოხუმის ოკრუგები და ყარსის ოლქი) აირჩეოდა 25 ამომრჩეველი (მათგან 14 ქუთაისის გუბერნიიდან). ქ. ბათუმში მნიშვნელოვანი უპირატესობით გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა (სოლორაშვილი, გოგოლაძე, ქიქავა), რომლებმაც 524 ხმით 260 ხმის წინააღმდეგ დაამარცხეს ფედერალისტები (ს. მდივანი, ა. დეკანოზიშვილი, ე. გიგინეიშვილი). სოხუმის ოკრუგში ამომრჩევლის 5 ადგილი მოიპოვეს:

შერვაშიძემ და ემხუარმა (მემამულეთა კურიიდან), აკაკი ჩხენკელმა და ბერძენმა ჩაჩამ (გლეხთა კურიიდან), ივანე კოზმავამ (ქ. სოხუმი).

20 ოქტომბერს ქ. ბათუმის თვითმმართველობაში შეიკრიბნენ ამომრჩევლები დეპუტატის ასარჩევად. არჩევნების დრამატულობას მოწმობს ორი საინტერესო მოგონება, რომლებიც ემიგრაციაში მყოფ ქართველ მოღვაწეებს ვ. ჩუბინიძეს და ვ. წულაძეს ეკუთვნის. წარმოვადგენთ ამ მოგონებებს ჩვენი განმარტებებით, ვინაიდან ისინი გარკვეულ უზუსტობებს შეიცავენ.

ვ. ჩუბინიძის გადმოცემით, „გადასახლებული აკაკი ჩუმად ჩამოიყვანეს როსტოვიდან, ვექილმა გრიშა გიორგაძემ საჭირო მოწმობები მოამზადა. დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებული იყვნენ: სოხუმის ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე (შეცდომაა, იგი ამომრჩევლადაც კი ვერ გავიდა და პირველსავე ეტაპზე დამარცხდა. იხ: 27; 91 - ბ. კ.), ალექსანდრე შერვაშიძე, გაზეთ „ბატუმსკი ვესტნიკის" რედაქტორი გიორგი ვოლსკი (იგი არ ყოფილა დეპუტატობის კანდიდატი – ბ. კ.) და აკაკი ჩხენკელი. სულ ორივე საარჩევნო ოლქიდან იყო 16 (უნდა იყოს 14 – ბ. კ.) დიდი ამომრჩეველი. პირველმა ორმა სულ ცოტა ხმები მიიღეს, ვოლსკიმ – 7, ხოლო აკაკიმ – 11 ხმა. როცა ბათუმის პოლიცმეისტერმა გაიგო არჩევნების შედეგები, თვითონ მივიდა ოტელში, სადაც აკაკი ცხოვრობდა, ჩაისვა ფაიტონში და დიდი ამბით მიიყვანა ქალაქის თვითმართველობაში, მიულოცა და გადასცა დეპუტატობის მანდატი. აკაკიმ მადლობა გადაუხადა, როგორც პოლიცმეისტერს, ისე ამომრჩევლებსა და დამსწრე საზოგადოებას და გასწია პეტერბურგისაკენ". (15; 68-69).

მეორე მოგონება უფრო ზუსტია და არჩევნების ბოლო დღეს დაწვრილებით ეხება. სოციალ-დემოკრატ ვასო წულაძის თქმით, „ჩვენი პარტიის კანდიდატი იყო აკაკი ჩხენკელი; მის წინააღმდეგ ყუთს იდგამდა ალ. შერვაშიძე... ამრჩეველთა რიცხვი 27-მდე (25 - ბ. კ.) იყო, ყარსიდან, ართვინიდან, სოხუმიდან და სხვა... დადგა დღე დეპუტატის არჩევნებისა. ალ. შერვაშიძე დიდი რიხით მოვიდა ბათუმს, 30 შეიარაღებული თანმხლებელით.

ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში იყო დანიშნული არჩევნები, რომელიც სრულ თორმეტ საათზე უნდა დაწყებულიყო. მანამდე დერეფანში ვუცდიდით და მოლაპარაკებას ვეწეოდით ამრჩევლებთან.

აკაკი ჩხენკელი დიდ ამბავში იყო; ის ყარსიდან ჩამოსულ ამრჩევლებს – თათრებს უხსნიდა თავის საარჩევნო პროგრამას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ჩვენი თარჯიმანი უთარგმნიდა. დარბაზის გახსნის დრო იყო და თავმჯდომარე კი – დამოჟნის ჩინოვნიკი ზიკოვი – რატომღაც კრებას არ ხსნის. თურმე ნუ იტყვით! რაღაცას უცდიან: ნამესტნიკთან დეპეშა ჰქონიათ გაგზავნილი, რომ ჩხენკელი, როგორც როსტოვში ადმინისტრაციულად გადასახლებული, და ახლა აქ მყოფი, დაიჭირონ და ამით უზრუნველყონ შერვაშიძის არჩევა.

და აი, კიდევაც ბათუმის პოლიცმეისტერი რუჩი, გააფთრებული კიბეზე ამორბის, ხელში უკავია დეპეშა და ხმამაღლა ყვირის: „გასპადინ ჩხენკელი, გასპადინ ჩხენკელი!" დააპატიმრეს და წაიყვანეს.

მაგრამ მისმა დაჭერამ მისი საარჩევნო შანსები ასწია, სომხებმა გამოგვიცხადეს, რომ ახლა ჩვენ ჩხენკელს ვაძლევთ ხმასო!

საარჩევნო დარბაზი გახსნეს და არჩევნებს შეუდგნენ.

აკაკი ჩხენკელმა მიიღო 14 ხმა, ხოლო შერვაშიძემ – 12 არჩეულ იქნა ჩხენკელი. ამასობაში პოლიცმეისტერს ჩხენკელი გუბერნატორთან წაეყვანა; იქ ჩხენკელს ხელი მოაწერინეს, რომ იმ საღამოსვე დატოვებდა ბათუმს...

გამოვედით თუ არა თვითმმართველობის შენობიდან, ჩხენკელი საგუბერნატოროდან დაბრუნებული, ჩვენ ეტლით მოგვადგა; მაგრამ ის უკვე დეპუტატად იყო არჩეული და მეორე დღეს იმავე გუბერნატორმა დიდი პატივით მიიღო და კანონის თანახმად საგზაო ხარჯები და საჭირო საბუთები მისცა". (15; 69-70).

არჩევნების საბოლოო დღეს ბარათებით ხმები შემდეგნაირად განაწილდა: ი. ა. ლაშკევიჩი (10 თეთრი, 15 შავი), ა. გ. შერვაშიძე (12 თეთრი, 13 შავი), ა. ი. ჩხენკელი (12 თეთრი, 13 შავი). ვინაიდან გადამწყვეტი უპირატესობა არცერთ კანდიდატს არ ჰქონდა, ყუთი სამივემ დაიდგა. კენჭისყრის შედეგებით: ი. ა. ლაშკევიჩი (7 თეთრი, 18 შავი), ა. გ. შერვაშიძე (12 თეთრი, 13 შავი), ა. ი. ჩხენკელი (12 თეთრი, 11 შავი).

ამრიგად IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი გახდა აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი (1874-1959), რომელმაც სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ცენტრში დაიკავა ადგილი.(36; 243).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# IV თავი

## არჩევნები და ქართველი საზოგადო მოღვაწენი

რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული, განსაკუთრებით იგრძნობოდა საარჩევნო ვნებათაღელვა ქუთაისის გუბერნიაში, სადაც ჰაერიც კი ამ მოლოდინით იყო გაჟღენთილი (36, 722). ბუნებრივია ერის მოჭირნახულენი და სულიერი წინამძღოლნი ამ პროცესს გვერდს ვერ აუქცევდნენ და ბევრად თუ მცირედ ჩაერეოდნენ მასში.

ქუთაისის გუბერნიის არჩევნებში განსაკუთრებული რეზონანსი ჰქონდა აკაკი წერეთლის მონაწილეობას პირველ ეტაპზე და მოულოდნელ დამარცხებას. თვით ეს სავალალო ფაქტი ორივე პოლიტიკური ბანაკის მიერ თავისებურად იქნა გამოყენებული და „პოლიტიკური აბრაკადაბრის“ ნიმუშად იქცა, ამასთან სულმნათი მგოსნის სახელი ყველასგან ინტერპრეტაციის ობიექტი გახდა.

თვით აკაკის მონათხრობიდან (27; 105) ირკვევა, რომ პოეტს თავიდან არც ჰქონდა განზრახვა ამომრჩევლად ეყარა კენჭი და მხოლოდ მავანთა თხოვნით დათანხმდა, რაც მოგვიანებით არასწორი აღმოჩნდა. ამ თხოვნას გამიზნული ხასიათი ჰქონდა, მისმა ავტორებმა ძალიან კარგად იცოდნენ აკაკის რთული ხასიათი და დაძაბული ურთიერთობა აკაკისა კიტა აბაშიძესთან, რაც დაკავშირებული იყო ჭიათურის მანგანუმთან და შავი ქვის მრეწველთა კავშირთან, რომლის ხელმძღვანელი კატა აბაშიძე იყო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქუთაისის გუბერნიაში ნაციონალისტთა (სოციალისტ-ფედერალისტთა) წამყვანი კანდიდატი დეპუტატობაზე კატა აბაშიძე იყო და მას რეალური კონკურენტი არ ჰყავდა, გასაგები ხდება აკაკისთან სათხოვნელად მისულთა ვინაობა. სოციალ-დემოკრატები იმედოვნებდნენ, რომ აკაკის გამოყენებით (აკაკიც და კიტა აბაშიძეც კენჭს შორაპნის მაზრაში იყრიდნენ) კიტა აბაშიძეს პირველსავე ეტაპზე გამოთიშავდნენ საარჩევნო ბრძოლიდან და ამით თავიანთ კანდიდატს გაუიოლებდნენ გზას დეპუტატობისკენ.

მათი ანგარიშით პატრიოტულად განწყობილი ზემოიმერული საზოგადოება (სადაც განსაკუთრებით დიდი იყო სოციალისტ-ფედერალისტთა გავლენა და ეს არჩევნებმაც ნათლად აჩვენა) თავს არ შეირცხვენდა და თავისი კუთხის საამაყო შვილს - დიდ აკაკის არ „გააშავებდა“. გადამწყვეტ ეტაპზე კი სოციალ-დემოკრატები იმედოვნებდნენ ერთი მხრივ აკაკის ლოიალობას პოლიტიკურ ბრძოლაში და ასაკოვნებას, რაც სულმნათ მგოსანს არ მისცემდა

საშუალებას ეფიქრა აქტიურ პოლიტიკაზე და მით უმეტეს დეპუტატობაზე. უკიდურეს შემთხვევაში კი სოციალ-დემოკრატები თავის ელექტორატზე ამყარებდნენ იმედს.

აკაკის ხასიათის და რთული პიროვნული ფსიქოლოგიის ასახსნელად მოვიხმობთ ერთ საინტერესო მოგონებას, რომელიც ეკუთვნის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარეს გიორგი ყაზბეგს (1839-1921). მას გულში ხინჯად დარჩენია „საზოგადოებასთან“ აკაკის დამოკიდებულების ერთი ფაქტი.

„ქ. შ. წ-კ. გ. ს“-მ გამოსცა აკაკის მიერ თარგმნილ-გადმოქართულებული კრილოვის იგავ-არაკების კრებული, ჰონორარიც წესისამებრ გადაუცია პოეტისათვის, რომელიც მუდმივად ვალებში იყო და დიდ ფინანსურ შეჭირვებას განიცდიდა. აკაკის ფული სწრაფად დაუხარჯავს და ჭორი გაუვრცელებია „საზოგადოებამ“ ფული შემიჭამაო. (7; 261-262)

მიუხედავად იმისა, რომ აკაკის ქუთაისის საადგილმამულო ბანკიდან ყოველთვიური პენსია - 100 მანეთი ჰქონდა დანიშნული, ფული არასდროს არ ყოფნიდა, რადგან ბევრს მოგზაურობდა და საოცრად უყვარდა ბანქოს თამაში, რაშიც მთელი მისი დანაზოგი იხარჯებოდა. მიუხედავად ამისა აკაკი ყოველთვის ხელგაშლილი იყო ქველმოქმედებისას. სწორედ მან ასესხა „ქ. შ. წ-კ. გ. ს“-ს 20 თუმანი უვადოდ თავისი „ფონდიდან“ ა. ჯორჯაძის სამკურნალო აგარაკზე გასაგზავნად, რადგან არც მათ და არც „სახალხოელთა“ რედაქციას თანხა არ გააჩნდა. (7; 263)

აკაკი შემდგომშიც ზრუნავდა მძიმე მდგომარეობაში მყოფ არჩილზე, ფინანსურად ეხმარებოდა მას და მხოლოდ არჩევნებთან დაკავშირებულმა გაუგებრობამ და აკაკისთან გართულებულმა ურთიერთობებმა არჩილ ჯორჯაძეს პრინციპულად ათქმევინა უარი მისთვის ამ ფაქტიურად ერთადერთ მუდმივ შემოსავალზე, რამაც შესაძლოა დააჩქარა კიდეც მისი ნაადრევი გარდაცვალება.

გიორგი ლასხიშვილის თქმით, ხანდახან ჩამოვარდებოდა უსიამოვნება აკაკის და ქართველ ინტელიგენციას შორის, პოეტს ერთი უცნაურობა ჭირდა, ბრძოლით გატაცებული ხშირად თითქოს ინტელიგენციის ჯიბრით მხარს უჭერდა უფრო მავნეს და ცუდს, როგორც იყო გიორგი ზდანოვიჩის წინააღმდეგ. (7; 263).

აკაკის ეს თვისება და საერთოდ მისი დამოკიდებულება არჩევნებისადმი გამოვლინდა არჩილ ჯორჯაძესთან პოლემიკაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც გაზეთებში „თემსა“ და „სახალხო გაზეთში“ მიმდინარეობდა. გარდა სოციალ-დემოკრატებისა და ნაციონალისტებისა (მათი დაპირისპირება კიდევ უფრო გაამძაფრა „აკაკის საქმემ“), პოლემიკაში ჩაებნენ „ცენტრისტები“ („თემის“დაჯგუფება) და „რადიკალები“ („კლდეისტები“).

„თემის“ რედაქტორი გრიგოლ დიასამიძე უშუალოდ მეთაურობდა აკაკის „დასაცავად“ წამოწყებულ კამპანიას. შორაპნის „კაზუსზე“ „თემი“ წერდა: „ყოველი მოკენჭე ზნეობრივად ვალდებული იყო მისთვის თეთრი მიეცა, რაკი წარჩინებულმა ქართველმა მოისურვა კენჭი ეყარა რწმუნებულობაზე. მისი „გაშავება“ პოლიტიკური სიბეცის და მეწვრილმანეობის შედეგია, რაც შეძლებულ მემამულეთა ნაქნარია“, (27; 91).

მოვლენას ზუსტ შეფასებას აძლევს შალვა ამირეჯიბი („ფარსმან-ფარუხის“ ფსევდონიმით), რომელიც აკაკის „გაშავებას“ კურიოზად მიიჩნევს, მის „დასაცავ“ კამპანიას კი დემაგოგიად. იგი გრიგოლ დიასამიძეს „არარაობას“ უწოდებს, რადგან სწორედ მისი წაქეზებით არჩილ ჯორჯაძემ უარი თქვა „ქ. შ. წ-კ. გ. ს“-ის პენსიაზე (21; 8). ფაქტიურად „ბუზის სპილოდ ქცევაში“ გადამწყვეტი როლი შეასრულა გრიგოლ დიასამიძემ, იმდენად, რომ აკაკი წერეთელმა არჩილ ჯორჯაძე სამედიატორო სასამართლოშიც კი მიიწვია მტყუან-მართლის გამოსარკვევად. (22; 3).

ნაციონალისტთა ბანაკიდან განსაკუთრებული მძაფრი პოლემისტობით გამოირჩეოდა სილოვან ხუნდაძე. მისმა მოუზომავმა სიტყვამ კიდევ უფრო არასასიამოვნო ატმოსფერო შექმნა, მან პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე შეურაცხყოფაც კი მიაყენა მგოსანს.

შემდგომ გაკრიტიკებული სილოვანის დასაცავად ხმა აიმაღლა დონ-მა (ალბათ, დავით ნაზუცრიშვილი (8; 126)) და „თემთან“ პოლემიკაში ეცადა მის გამართლებას, სილოვანის გაწიწმატების მიზეზად მან შორაპანში ნათქვამი აკაკის საჯარო განცხადება მოიტანა, „კიტას თეთრს არ მივცემო“. (22; 21, 27). მაგრამ ს. ხუნდაძის „ეპითეტი“ აკაკის მიმართ („შინაური მტერი“...) აბსოლუტურად გაუმართლებელია. არანაკლებ გადაჭარბებულია „შინაურის“ რეაქცია, რომლის აზრითაც „აკაკის „გაშავება“ მაღალი პოლიტიკური შეგნების მაჩვენებელია“. (32; 722).

ყველაზე ზუსტი შეფასება ამ მოვლენას მისცა არჩილ ჯორჯაძემ სტატიაში „კერპთა აღდგენა“ (32; 731), სადაც გაანალიზა აკაკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედების ბუნება და ამომრჩევლის დამოკიდებულება მის მიმართ. ამასთან სტატია პოლემიკის ნორმების და წესიერების ნიმუშია. მაგრამ მან მაინც გაანაწყენა აკაკი, რომელმაც არ იკადრა გამოხმაურებოდა ს. ხუნდაძის პასკვილს და მხოლოდ „იმერეთის“ მიმართ სარკასტული შენიშვნით დაკმაყოფილდა (29; 6).

ამ შემთხვევაში აკაკი გამოეხმაურა არჩილ ჯორჯაძეს, მიუხედავად გარეგნული სიმწვავისა მიმართვაში მაინც ჩანს გულწრფელი პატივისცემა მის მიმართ და გულისტკივილიც არჩილის „სილოვანის ბანაკში დგომის გამო“. აკაკის თქმით „ყუთის დადგმის შემდეგ მოვიდნენ ვიღაც კაცები თვალების პრაწვით და მითხრეს ყუთი არ დაიდგა, თორემ შავს მოგცემთ, ვინაიდან შენ კიტას გაშავება გწადიაო. მე ჯიბრზე მაინც დავიდგი ყუთი და გავშავდი, მაგრამ არ მწყენია, ვინაიდან ეს არჩევნები საპირადო იყო და არა საზოგადო“. (27; 105).

ამ სიტყვებიდან ნათლად იკვეთება აკაკის მოქმედების მიზეზი, მისი თავდაპირველი პასიურობა და შემდეგ „ჯიბრზე“ მონაწილეობა არჩევნებში. როგორც ჩანს, ილიასაგან განსხვავებით, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა რუსეთის I სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოში, აკაკი არ თვლიდა სათათბიროს იმ ინსტანციად (ან ყოველ შემთხვევაში 1912 წლისთვის მაინც), რომელსაც შეეძლო რაიმე რეალური გაეკეთებინა ქართველი ერისათვის. სწორედ ეს განაპირობებდა აკაკის „აპოლიტიკურობას“ და მყარ საფუძველს აძლევდა სოციალ-დემოკრატთა იმედსაც, რომ აკაკი მაზრაში გამარჯვების შემთხვევაშიც კი დეპუტატობაზე პრეტენზიას არ განაცხადებდა.

საპასუხო წერილში არჩილ ჯორჯაძე უაღრესი პატივისცემით და მოკრძალებით აკაკის მიმართ, უარყოფს სილოვან ხუნდაძის თანაზიარობას, ყურადღებას კი თვით არჩევნებისადმი დამოკიდებულების პრობლემაზე ამახვილებს. აკაკის შეთავაზებას სამედიატორო სასამართლოში მსჯელობაზე (აკაკიმ თავის შუამავლებად დაასახელა იაკობ ფანცხავა და ივანე ელიაშვილი), არჩილ ჯორჯაძე მხოლოდ იმ შემთხვევაში ეთანხმება, თუ განხილვის საგანი იქნება არჩევნების ხასიათი: საზოგადო თუ პირადული მოვლენაა იგი, ხოლო „სხვა თქვენთან საკამათო არაფერი მაქვსო“ - დასძენს ა. ჯორჯაძე. (32; 796). იგი უკიდურესი მღელვარებით გამოწვეულ დიდ შეცდომას უწოდებს აკაკის სიტყვებს: „თუ მე გავმტყუნდე, მწერლობაზე ხელი ამიღია და თუ თქვენ - მე ისიც მეყოფა თქვენ რომ დაგარწმუნებთო“.

აკაკის სოციალისტ-ფედერალისტთა წინააღმდეგ გამოსვლა კიტა აბაშიძესთან პირადი დამოკიდებულების შედეგი რომ იყო და არა „კუდის ქნევა სოციალ-დემოკრატებისათვის“, როგორც სილოვან ხუნდაძე ამტკიცებდა (28; 21), ადასტურებს ერთი ლექსის ისტორიაც, რომლის გარშემო ატეხილმა აურზაურმა დამატებითი მუხტი მისცა „აკაკის საქმეს“.

ეს ლექსი - „ვაშა! დეპუტატს“ აკაკიმ დაწერა ევგენი გეგეჭკორის მიერ III სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმული სიტყვის პასუხად, სადაც გეგეჭკორმა პოლონეთის ავტონომიის წინააღმდეგ გაილაშქრა. თავის დროზე ლექსის დაბეჭდვაზე აკაკის უარი უთხრა სამსონ ფირცხალავამ, სოციალისტ- ფედერალისტთა ორგანოს „ფასკუნჯის“ რედაქტორმა, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ევგენი გეგეჭკორი შედარებით უფრო „ნაციონალისტობდა“ და ქართული ეკლესიის ინტერესების დასაცავადაც აუმაღლებია ხმა სახელმწიფო სათათბიროზე. მოგვიანებით აკაკისაც გადაუფიქრებია, როგორც ჩანს, ევგენის საქვეყნო გაპამპულება, თუმცა ლექსის გამოქვეყნება არ სურდაო - სოციალ-დემოკრატების ეს მტკიცება გადაჭარბებულია. (31; 7).

ლექსი სრულიად შემთხვევით ხელში ჩავარდნია ახალგაზრდა პოეტ იოსებ გრიშაშვილს, რომელსაც იგი თავისი მეგობრებისთვის „სახალხო გაზეთში“ მიუტანია, მათ კი „იმერეთის“ რედაქციას გადასცეს (27; 95). ლექსის ხელში ჩაგდებას ცდილობდა გრიგოლ დიასამიძეც, ვინაიდან აკაკის „დასაცავ კამპანიაში“ მისი ძირითადი არგუმენტი იყო აკაკის სიმპატიები სოციალ-დემოკრატებისადმი, რაც თითქოს განაპირობებდა სოციალისტ-ფედერალისტებთან, პირველ რიგში კი კიტა აბაშიძესთან აკაკის დაპირისპირებას. ამ ლექსის გამომზეურებით კი გაირკვეოდა სოციალ-დემოკრატებთან აკაკის ჭეშმარიტი დამოკიდებულება, ამდენად არჩევნებში აკაკის დამარცხების პირადული ხასიათი და გრიგოლ დიასამიძის მთელი თეორია ხუხულასავით დაინგრეოდა.

სწორედ ამიტომ, უარით განაწყენებულმა გრიგოლ დიასამიძემ დრამატულ საზოგადოებაში 24 ოქტომბერს ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის თანდასწრებით „სიშჩიკი“ და „დანოსჩიკი“ უწოდა იოსებ გრიშაშვილს, რაზეც ამ უკანასკნელმა საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოითხოვა. (32; 733). თვით გ. დიასამიძის განმარტებით, იგი მოერიდა ამ ლექსის გამოქვეყნებას, რადგან გაუფრთხილდა „აკაკის სიბერის სიმშვიდეს და ახალგაზრდა პოეტ ი. გრიშაშვილის სახელს“ (27; 95).

არჩევნებისადმი დამოკიდებულების საკითხმა ამ პოლემიკაში იჩინა თავი, არჩილ ჯორჯაძის რეპლიკას: „თემს“... პოლიტიკური არჩევნები ალბად რაჭა-ლეჩხუმში გამართული ნადიმების (იგულისხმება აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, რაც ჭეშმარიტად სახალხო ზეიმად იქცა) გაგრძელება ჰგონიაო“, გრიგოლ დიასამიძემ ლიბერალურ-ხალხოსნური განწყობილებით გაჟღენთილი პასუხი გასცა: „ეს მოგზაურობა შეიძლება უფრო სასარგებლო იყოს, ვიდრე პურიშკევიჩების წინაშე ძღურტული ქართულ ეროვნულ იდეალის შესახებ“.

ეს ლექსი გამოქვეყნდა გაზეთ „იმერეთის“ 26 ოქტომბრის ნომერში (28; 26).

### აკაკი წერეთელი
### „ვაშა“! დეპუტატს

ნეტავ დარჩა ჩვენში კიდევ იმისთანა ერთი - ორი,
როგორც არის დალოცვილი, დეპუტატი გეგეჭკორი?
ნამდვილ რუსი შოვინისტი, მტკიცე ისე ვით მარკოვი;
არა-რუსთა მოძულარი, სხვა ხალხების სისხლის მწოვი!
ტრაბახობს მით, ვითომც იყოს ის სოციალ-დემოკრატი,
და კუჭზე კი გასაძღომად მას კიდია რუსის ხატი!
ისე როგორც სირაქლემი თავს მალავს და იჩენს ბოლოს!
რომ აამოს პურიშკევიჩს, დაეტაკა რისხვით „კოლოს“
ეუბნება: რაღათ ეძებთ აწ უფლებას დაკარგულსო
მონას რასაც მოგაწვდენენ არ აჯერებთ მასზე გულსო?
მე და ჩემი ამხანაგი ვართ ორივე ქართველიო,
მაგრამ მისთვის არას ვითხოვ და არც არას მოველიო!
რას მიქვიან ეროვნება? სჯობს მოისპოს ნაციაო!
და დამყარდეს ქვეყნად მხოლოდ პროლეტარიზაციაო!
მემარჯვენებს გაეხარდათ, ეს სიტყვა რომ გაიგონეს!...
რომ სოციალ-დემოკრატი უმატებდა იმათ ღონეს!..
და გულში თქვეს: ჩვენც ის გვინდა ხმა გაკმიდოს ყველამაო,
რომ ჩვენ მოვმწყსოთ სხვა ერები ვით საქათმო მელამაო!
ქართველი კი ამბიონზე შემდგარიყო ვითომც გმირი
და სხვებისგან ჩანაბერსა გაკიოდა როგორც სტვირი!
პურიშკევიჩ და მარკოვის მოაზრე და თანასწორი,
ხომ ხედავთ თუ რა კაცია დეპუტატი გეგეჭკორი?...

არჩევნების შემდეგ აკაკი წერეთელი მოსკოვში ეწვია ქართულ სათვისტომოს, იქიდან კი პეტერბურგში სახელმწიფო სათათბიროს კავკასიელ დეპუტატებს შეხვდა, (22; 5) ოფიციალურმა „კავკაზმა“ დიდი ყურადღება დაუთმო ამ სტუმრობას (ისევე, როგორც არჩევნებში „ქართველთა ლევ ტოლსტოის“ დამარცხებას, რამაც რუსულ საზოგადოებაში გაკვირვება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, პრესა აშუქებდა აქტიურად), რომლის დროს პეტერბურგის ელიტამ თავადაზნაურთა სასახლეში საღამო და ბანკეტი გაუმართა აკაკი წერეთელს. (12; 220).

ბანკეტის დროს წარმოთქმულ სიტყვებში აკაკი ჩხენკელმა და ევგენი გეგეჭკორმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმეს ეროვნულ საკითხს. აკაკიმ კი IV სათათბიროში კავკასიის რუსი მოსახლეობის წარმომადგენლის მიმართ წარმოთქმულ სამადლობელ სიტყვაში აღნიშნა: „მე გულწრფელად ვისურვებ, რომ ამ ახალგაზრდა რუსეთიდან, ნაცვლად ტიმოშკინთა თაიგულისა, მომავალშიც სკობელევთა თაიგული მიგვეღოს“. (22; 6). ამით აკაკიმ ღიად გამოხატა დამოკიდებულება რეაქციონერი ტიმოშკინის მოღვაწეობისადმი III სახელმწიფო სათათბიროში.

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში ნაციონალისტთა „ახალი თაობის“ „თავდასხმების“ ობიექტად იქცა ნიკო ნიკოლაძე. მის წინააღმდეგ გამოდიოდა „იმერეთის“ პუბლიცისტი „ურო“ (ვასილ წერეთელი - 1862-1937 ნ. ნიკოლაძის თანამებრძოლის და უახლოესი მეგობრის გიორგი წერეთლის ვაჟი). „ურო“ ნ. ნიკოლაძეს ბრალს დებდა სოციალ-დემოკრატების მხარდაჭერაში სათათბიროს არჩევნების დროს. მან, როგორც ფოთის ქალაქისთავმა (ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1894-1913 წლებში) (2; 177-182) საქალაქო არჩევნებში უზრუნველყო მათი კანდიდატების გამარჯვება, „გააშავა“ ეპისკოპოსი ლეონიდე, ეწეოდა კიტა აბაშიძის საწინააღმდეგო აგიტაციას (32; 703). „უროს“ სიტყვებით რომ ვთქვათ „ბავშვური არგუმენტებით ილაშქრებდა ავტონომიის წინააღმდეგ“. (28; 27).

ავტონომიის თაობაზე პოლემიკამ განზოგადებული ხასიათი მიიღო და ფაქტიურად ნ. ნიკოლაძის და ვ. წერეთლის სახით ჩვენ წარმოგვიდგა 2 ძირითადი მიმართულება, პარტია: „სამოციანელთა“ და „ახალთაობის რადიკალთა“ (თვით ვასილ წერეთელმა რთული პოლიტიკური მეტამორფოზა განიცადა ხალხოსნობიდან ეროვნულ-დემოკრატობამდე, ფედერალისტთა პარტიის გავლით).

ვასილ წერეთელი ნიკო ნიკოლაძის რეფორმატულ მოღვაწეობას ფოთში პირადი მისწრაფებების გამოვლენად მიიჩნევს. მისი აზრით, ჯერ კიდევ „ნოვოე ობოზრენიეს“ გამოცემის პერიოდში იგი კარიერასა და გამდიდრებაზე ფიქრობდა, ულმობლად ებრძოდა რკინიგზის მთავრობას, ვიდრე თვით არ ჩაიგდო ხელში ადგილი, მერე როტშილდს მიექირავა და ფოთის ნავსადგური ააშენა.

ამ ბრალდებების პასუხად ნიკო ნიკოლაძემ გამოსცა ბროშურა „ჩემ პოლიტიკაზე“, სადაც დაწვრილებით გასცა პასუხი „იმერეთის“ პუბლიცისტებს. „მე ფულიან ადგილებს კი არ ვესწრაფვოდი, პრაქტიკული საქმის კეთება მიმაჩნდა საჭიროდ, ვერავინ მიზრახავს, რომ მოჯამაგირედ სხვას დავუდგე, სანამ არ დამიმტკიცებს ამ მოჯამაგირეობის ვნებას ჩემი ქვეყნისთვის. ჩემდა თავად კი დავრწმუნდი მწარე გამოცდილებით, მლიქვნელებთან თანამშრომლობას, ისევ როტშილდის მოჯამაგირეობა სჯობნებია, ჩემთვისაც და ჩემი ქვეყნისთვისაც“ - აცხადებს ნ. ნიკოლაძე (10; 28).

ნიკო ნიკოლაძის თქმით „სამოციანელთა“ კრედო კონკრეტული საქმის კეთება იყო ყოველთვის. „დროება“ და „ნოვოე ობოზრენიე“, საადგილმამულო ბანკი და ბრძოლა საქალაქო თვითმმართველობაში ქართული ინტერესებისთვის, აი მოკლე ნუსხა ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისა ქვეყნის საკეთილდღეოდ. რაც შეეხება არჩევნებში ეპისკოპოს ლეონიდეს დამარცხებას, ნ. ნიკოლაძის განმარტებით ეს თვით ეპისკოპოსის პოზიციამ და ფოთელთათვის არასასურველ წრეებთან (მიხა ესაკია და სხვები) გვერდში დგომამ გამოიწვია. დაახლოებით ანალოგიური ვითარება იყო იონა მეუნარგიას და იაკობ ფანცხავას შემთხვევაში (10; 16-18).

ნიკო ნიკოლაძე უარყოფს „ახალ თაობასთან“ ბრძოლის აუცილებლობას. მოქმედებს ლესინგის სიტყვებით, რომ „ოცნებით დამთვრალ ჭაბუკს ვერავითარი რჩევით, წყრომით, ძალით ვერ შეაგნებინებ მის იმედის სიფუჭეს, უნდა ნებაზე მიუშვა, დაე თვითონ დარწმუნდეს, რომ ხტომით და ბღავილით მთვარე ციდან არ ჩამოსვენდება“. რადიკალები დუმილსაც მსაყვედურობენ და თუ ხმას ამოვიღებ - რატომ ჩვენნაირად არ ლაპარაკობო - ჩივის „მეორე დასელთა“ აღიარებული იდეოლოგი. (10; 38-39).

ნიშანდობლივია, რომ „მამათა თაობა“ ფრთხილად უდგება „ახალ თაობასთან“ ურთიერთობის საკითხს. ამის მიზეზია ერთი მხრივ ამ

უკანასკნელთა გააქტიურება და ფაქტიური პირველობა საზოგადოებრივ ასპარეზზე, მეორე მხრივ კი მიმდინარეობათა მკვეთრი დიფერენცირება (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, ანარქისტები...) „ახალ თაობაში", რაც „მამათა თაობისაგან" ლავირებას და ხშირ შემთხვევაში დუმილსაც მოითხოვდა. ილიას ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ „მამათა თაობა" (ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ასაკობრივი, არამედ იდეური წინამორბედობა) ჩამოშორდა საზოგადოებრივ ასპარეზს და პირველობა „ახალ თაობას" დაუთმო. (ნიკო ნიკოლაძის აქტიური პოლიტიკიდან წასვლაც, ფაქტიურად „მესამე დასელთა" გამოსვლისთანავე, ამ კონტექსტში ზის).

ვასილ წერეთელი ნიკოლაძის მსოფლმხედველობას პირმოთნეს და ქედმოხრილს უწოდებს. „არსებობისთვის ბრძოლის" პრინციპის უარყოფა და მტერთან ჰარმონიული თანამშრომლობის ქადაგება, ზიზღი ამბოხებისადმი შავრაზმული სულისკვეთების მაჩვენებელია - წერს იგი. (29; 7) ნიკო ნიკოლაძე პასუხად აღნიშნავს, რომ სძულს ისეთი ამბოხება, რომელშიც მეთაურობა პროვოკატორების და „კინტოების" ხელთაა, რომლებიც ბრბოს იყოლიებენ და გასაჭირის დროს კი ქრებიან. „დიაღაც მეძულება ყველაფერი, რაც ჩემ ქვეყანას ვნებს" - დასძენს „ჩემი პოლიტიკის" ავტორი. (10; 53).

3 მტერი ჰყავს ქართულ განვითარებას, სამივე შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს და ეს სენი, როგორც ძველ, ისე ახალ თაობას ერთნაირად უხვად აბადია. ნიკო ნიკოლაძის აზრით პირველი მტერია აზრის სივიწროვე, ინერციულობა, ჩაკეტილობა (თითქოს დედა-ენის გარდა ერს არაფერი ჭირდებოდეს), როდესაც მოღვაწეს „ჩარჩოდან" გამოსვლა უჭირს. მეორე - სხვისი მდაბლის და ცუდის უკეთ შეთვისება, ვიდრე კარგის და მესამე – განათლებამიღებული ქართველი ქართულ საქმეს ძნელად თუ მიეკარება და ქვეყნის პატრონობა და საზოგადო ასპარეზზე პირველობა „პროვოკატორების" ხელთაა.

სწორედ ამ და სხვა გარეშე მიზეზებით არის გამოწვეული ნიკო ნიკოლაძის ფრთხილი დამოკიდებულება ავტონომიის საკითხისადმი. ვასილ წერეთლის აზრით ეს სიფრთხილე ნიკოლაძის ვიწრო ფინანსურ შეხედულებას და ბიუროკრატიულ განწყობილებას ემყარება. თავის პასუხში ნიკო ნიკოლაძემ ნათლად ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპები ავტონომიის საკითხთან დამოკიდებულებაში.

„გონიერი ერი თავისუფლებას, ავტონომიას მით იძენს, რომ ანგარიშიანი მართვით ჯერ თავის შინაურ, მერე სამრეწველო, შემდეგ საზოგადო, ბოლოს პოლიტიკურ საქმეებს საშუალებათ იგროვებს სახელმწიფო საკითხების გადასაწყვეტად“, (10; 60), თორემ თავისი „სუვერენიტეტის“ შენარჩუნებისთვის და გარეშე მტრებისგან თავის დასაცავად „რაპა-ნუის“ წელიწადში 3 მანეთი ჰყოფნის, დროშის და მისი ამწევი თოკის გამოსაცვლელად“ - ავლებს პარალელს ნ. ნიკოლაძე. მისი აზრით გათვლა და ანგარიშიანობაა წინსვლის საფუძველი და არა წინდაუხედავი მოთხოვნები, რაც წარსული წლების მსხვერპლმაც დაადასტურა. (10; 48 - 50). „არავინ დამიღუპავს უსწორ, უიმედო ბრძოლაში ჩათრევით, არავის დატანჯული სახე სინიდისს არ მიშფოთებს“ - აცხადებს იგი რადიკალების გასაგონად. (10; 64).

„ავტონომიის მომხრე (მე ფართო თვითმმართველობას ვუწოდებ, თქვენ სახელშიც მედავებით) ვიყავი ყოველთვის, ოღონდ ზომიერებით, უკიდურესობის მომხრე სოციალ-დემოკრატების იაკობინიზმს ვერ აცდება - მიმართავს იგი ვასილ წერეთელს - სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა გამწარებული კაცისთვისაა, ამისთანებს კი ერთი პარტიაც ჰყოფნის ჩვენში“. (10; 67) (შეიძლება აქ იგულისხმებოდნენ სოციალ-დემოკრატები. - ბ. კ.).

ნიკო ნიკოლაძემ თავისი ბროშურის დასასრულს თავისებური პოლიტიკური და დიპლომატიური დევიზი დატოვა, რომელიც ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს არა მარტო იმდროინდელ რადიკალთათვის: „სანამ შავი ზღვიდან გამავალი სრუტე ოსმალოს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით - რუსეთი, ბევრიც რომ ვიწრიალოთ იმ პოლიტიკას ვერ ავცილდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უადრეს გმირებს, ბევრი ცდის, მსხვერპლის და ძებნის შემდეგ. უკეთესი რომ შესაძლებელი ყოფილიყო განა მათ დაემალებოდათ. ჩვენზე ცოტა სწყუროდათ ვითომ დამოუკიდებლობა, საკუთარი გვირგვინი ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ?“ (10; 81).

საარჩევნო ბრძოლაში განსაკუთრებული ენერგიით იყო ჩაბმული ლამის სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აღიარებული ლიდერი და იდეოლოგი არჩილ ჯორჯაძე. გარდა ნაციონალური მისწრაფებებისა, რაც თვით არჩილის პირველსავე სტატიაში გაცხადდა (იგი წერდა: „ჩვენი დეპუტატების მთავარი მიზანი ეროვნული საკითხის ინტეგრალური დასმა და

სარუსეთო-საერთაშორისო ასპარეზზე გატანა უნდა იყოს“ (32, 692); ფედერალისტებს სერიოზული ზრახვები გააჩნდათ კონკრეტული პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

ის ფაქტი, რომ ტფილისის გუბერნიაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში სიმპატიების გამოვლენისას ფედერალისტებმა თავი შეიკავეს და მხოლოდ მოგვიანებით, თითქმის ბოლო ეტაპზე დაუჭირეს მხარი ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, მოწმობს, რომ მათ საკუთარი კანდიდატი ჰყავდათ (შეიძლება არა ისეთი „ფალავანი“, როგორიც ქუთაისის გუბერნიაში იყო კიტა აბაშიძე, მაგრამ იქ ფედერალისტებს მტკიცე პოზიციები ეჭირათ, ტფილისის გუბერნიაში კი მათი პოლიტიკური ლობი შედარებით არამყარი იყო), რომელიც შეიძლება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველსავე ეტაპზე გამოეთიშა არჩევნებს და ამდენად ფედერალისტები იძულებულნი გახდნენ მათთვის უფრო მისაღები კანდიდატურისთვის – ლუარსაბ ანდრონიკაშვილისთვის დაეჭირათ მხარი (რასაც, სხვათაშორის ორპირობასა და უპრინციპობაში უთვლიდნენ ფედერალისტებს ოპონენტები, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ ამ პოლიტიკური ნაბიჯის მიზეზს) ან შესაძლებელია მათი კანდიდატი ბოლომდე შემორჩა საარჩევნო ბრძოლას, მაგრამ ტაქტიკური მოსაზრებით პარტიამ (აარიდა რა თავი მოსალოდნელი მარცხის სირცხვილს და წინასწარგამიზნული უკანდახევა არჩია) არ გაამჟღავნა მისი არსებობა და „საუკეთესო უმრავლესობას“ შეუერთდა.

ამ უკანასკნელ შესაძლებლობაში ჩვენ ვვარაუდობთ ცნობილ პუბლიცისტს, ისტორიკოსს და ჟურნალისტს ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელს, რომელიც ბოლო ეტაპზე ამომრჩევლად მონაწილეობდა გორის მაზრის მემამულეთა კურიიდან (იხ. ზემოთ).

არჩილ ჯორჯაძისგან ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მხარდაჭერა (ანუ სფპ-გან მისაღები კანდიდატურის მოძებნის აუცილებლობა) განაპირობა „სომხურმა საკითხმაც“ ანუ იმისმა შიშმა, რომ ტფილისის გუბერნიაში სომეხი ეროვნების წარმომადგენელს არ გაემარჯვნა, ქართული ძალების დაქსაქსვის ხარჯზე, გადამწყვეტი კი, რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატებთან დაპირისპირება იყო. ა. ჯორჯაძემ უარყოფითი შეფასება მისცა კარლო ჩხეიძეს, რომელმაც სომეხი ბურჟუაზიის მხარდაჭერით გაიმარჯვა და „სუსტი მოაზროვნე“ უწოდა აკაკი ჩხენკელს, როგორც საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის უარმყოფელს და უსახო „კავკასიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო თვითმმართველობის“ მომხრეს. (9; 8-9)

არჩილ ჯორჯაძის აზრით ეროვნულ ძალთა მარცხი ტფილისის გუბერნიაში უპირველესად ტფილისის ინტელიგენციის გულგრილობამ და დაუდევრობამ გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებს საჯაროდ და არაორაზროვნად ჰქონდათ გაცხადებული: „საქართველომ რომ ავტონომია მოიპოვოს, სომხებსა და ებრაელებს დაჩაგრავსო“ (28; 11).

ამგვარი გულგრილობის შედეგი იყო, ჯორჯაძის აზრით, ისიც, რომ ჯერ კიდევ 1911 წლის საქალაქო არჩევნებში სენსაციის ელფერი მიეცა ქართველების ბუნებრივ მონაწილეობას, ხოლო ქართველობაში ეროვნული თვითმმართველობის აზრის გაჩენამ 5-6 წლით ადრე ნამდვილი სკანდალი გამოიწვია გაბატონებულ პოლიტიკურ წრეებში.

არჩილ ჯორჯაძე 1911 წლის საქალაქო არჩევნებში გადაჭრით იცავდა ეროვნულ – პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპს, იგივე პრობლემა დადგა 1912 წლის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისას. ეს საკითხი გადაჯაჭვული იყო „სომხურ საკითხთან“ და მითვე იყო გამოწვეული. მაინც რატომ გაჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ქართულ სინამდვილეში (ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა უახლესი ისტორიის მონაკვეთს) „სომხური საკითხი“?

საინტერესო თვალსაზრისი და სოციალ-დემოკრატების სომხურ ბურჟუაზიასთან დაკავშირების (ე. წ. „სომხურ-ესდეკური ალიანსი“) რეალურ მიზეზთა ახსნა აქვს მოცემული არჩილ ჯორჯაძეს.

იგი წერს: „როდესაც ეროვნული პრობლემა მომწიფდა კავკასიაში, როდესაც სხვა პოლიტიკურ საკითხთა შორის, ისიც გახდა ჩვენში სერიოზულ და რთულ პრობლემად; იმ დროიდან, როდესაც ქართველთა მიერ წამოყენებული ეროვნულ თვითმმართველობის პრინციპი არ ეჭაშნიკა სომხურ ბურჟუაზიას და როდესაც ამ საკითხში მან მოულოდნელად მხურვალე დახმარება ნახა სოციალ-დემოკრატების მხრივ; იმ დროიდან, როდესაც ქართველებს დაებადათ სურვილი ეროვნული ცხოვრება და ერთა შორის ურთიერთობა განსაზღვრულ დაწესებულებათა ფარგალში ჩაეყენებინათ, რათა ამ ურთიერთობებისთვის და ცხოვრებისათვის კანონიერი ელფერი მიეცათ და მოესპოთ მისი სტიქიური ხასიათი; იმ დროიდან, როდესაც ეს ორგანული მუშაობა ქართველი ინტელიგენციისა ჭკუაში არ დაუჯდა სომხის ბურჟუაზიას და მან თქვენის შეწევნით და კურთხევით შოვინისტებად და რეაქციონერებად დაგვსახა, – ამ დროიდან იყო,

რომ „ინტერნაციონალისტები“ სომხის ბურჟუაზიის სასარგებლოდ მოქმედებდნენ“. (18; 231). ამგვარად სცემს პასუხს სოციალ-დემოკრატ ოპონენტებს არჩილ ჯორჯაძე.

ამ, ერთი შეხედვით უცნაური ალიანსის ბუნება ჩვენ უკვე ავხსენით, საინტერესოა ამის თაობაზე არჩილ ჯორჯაძის აზრი.

სტატიაში „პოლიტიკა და ზნეობა“ მას მოცემული აქვს სომხური ბურჟუაზიის ფსიქოლოგიის და პოლიტიკური განწყობის სრული სურათი: „რა მოტივი ამოძრავებს მშვიდ, ანგარიშიან სომეხ ბურჟუას, როცა მხარს უჭერს მოუსვენარ, „კრამოლნიკ“, მთავრობის თვალში სახელგატეხილ ქართველ სოციალ-დემოკრატს. ხოლო სომხეთში კი ზომიერ ნაციონალისტს ამჯობინებს.

ბევრი დაიბეჭდა იმაზე, რომ სომეხთა კათალიკოსის და მთელი ინტელიგენციის ძირითადი საზრუნავი ისაა, როგორმე რუსის მთავრობის სიმპატია და ნდობა დაიმსახურონ, რათა ოსმალეთის სომხების საქმეში ჩაერიოს რუსის მთავრობა და მცირე აზიაში მცხოვრები სომხები თავის საზღვრებში მოაყოლოს, მაგრამ ანდრონიკაშვილის გაშავებას სხვა სარჩულიც უდევს, სომეხი მარტო თავის „ლოიალობაზე“ წარდგენაზე კი არ ფიქრობს (გავიხსენოთ ლ. ანდრონიკაშვილიც ავტონომიის წინააღმდეგია), მას ქართველების „კრამოლნიკობა“ უხარია და ხელს აძლევს. მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ სომეხი სანდოა, „ლოიალური“, ქართველი კი რევოლუციონერი. კავკასიაში მთავრობა მარტო სომხებს უნდა ენდოს. ეს არის სომეხთა ნაციონალური პოლიტიკა და ერთი მიზეზი მათი ესდეკის მხარდაჭერის“. (32; 736).

„სომხური ნაციონალური ინტერესების“ ასეთ თვალნათლივ გამომზეურებას ბუნებრივია აღშფოთების და უკმაყოფილების ტალღა მოჰყვა თვით სომეხი ნაციონალისტების მხრიდან.

განსაკუთრებით მკვახე პასუხი გასცა არჩილ ჯორჯაძეს გაზეთმა „ჰორიზონმა“, რომლის სარკასტული შენიშვნით, „ჩხეიძის გამარჯვებას ისე დაუჭრია ბატონ პუბლიცისტის გული, რომ ამ მოვლენის ასახსნელად „ევფრატის წყაროებამდე მისულა და ანდრონიკაშვილის გაშავებას მთელ სომეხ ერს აწერს“, იგი ველიჩკოს ღირსეული შეგირდია, მაგრამ ქართველ-სომეხთა გამუდმებულ მეგობრულ კავშირს ვერ დაარღვევს“.

სომეხმა ოპონენტებმა ვერცერთი კონკრეტული არგუმენტი ვერ მოიშველიეს ჯორჯაძის მტკიცებათა გასაბათილებლად, მხოლოდ

უადგილო სარკაზმი და ორი ერის მეგობრობის ლოზუნგი ააფარეს წინ, ამიტომ პასუხის პასუხსაც არ დაუყოვნებია ჯორჯაძის მხრიდან. მან ორი კონკრეტული შეკითხვა დაუსვა „ჰორიზონს“, რომელზეც ცხადია არავის გაუცია პასუხი.

– „მაშ აგვიხსნას „ჰორიზონმა“ - სვამდა კითხვას არჩილ ჯორჯაძე - 1) რატომ მისცა სომხურმა ბურჟუაზიამ ხმა სოციალ-დემოკრატებს? და 2) რატომ გამოვიდნენ „სოლოლაკელები“ ტფილისის მაზრის III უბანში ცალკე სიით (კადეტების პარტია), თუ საბოლოოდ მათი ხმა კადეტს (ანდრონიკოვს) არ მიემატებოდა?“.

სამწუხაროდ არჩილ ჯორჯაძის გულწრფელი მცდელობა გაერკვია ქართველი საზოგადოება საქმის არსში ზოგიერთი ქართული ძალისაგან „დათვურ“ სამსახურად შეფასდა. ეს პოლიტიკისგან შორს მდგომი ხალხი (როგორც თვითონ აცხადებდნენ) სინამდვილეში ყველაზე მეტადაც ერეოდა პოლიტიკურ საკითხებში და ყოველთვის უსიამოვნებას იწვევდა დაინტერესებულთა შორის.

მხედველობაში გვაქვს ე.წ. „ცენტრისტული“ მიმართულების გაზეთი „თემი“, რომელმაც თავისი ვიწრო შეხედულებით და მიკერძოების მავნე სენით საარჩევნო კამპანიის დროს განსაკუთრებით გაითქვა სახელი, კერძოდ აკაკისთან დაკავშირებული სკანდალით. „თემმა“ არჩილ ჯორჯაძეს „სომხოფობიაც“ კი დასწამა.

„ჩვენი მიზანი ქართული დემოკრატიის ერთიანობა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, როცა საქმე არჩევნებზე მიდგა, განზე გავდექით, რადგან ხეირიანს არაფერს გამოველოდით სათათბიროსგან. სამწუხაროდ ეროვნული იდეალების მქადაგებელმა ჯგუფმა აკაკი გააშავა და ამით ესდეკებზე დაბლა დააყენა თავი. - წერდა „თემი“ - ბატონი ა. ჯორჯაძე აპოლიტიკოსობას გვწამებს, თითქოს აქაურ რუსულ გაზეთებთან ვიყოთ შეკრული. (სხვათაშორის ჯორჯაძემ ერთადერთხელ, სათავადაზნაურო არჩევნებისას განსაზღვრა „თემის“ ადგილი პოლიტიკურ სპექტრში და თუ „ზაკავკაზიეს“ ორგანოს დაჯგუფებას კონსერვატული უწოდა, „თემის“ ბანაკი გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩთან“ ერთად პროგრესულ-დემოკრატიულ ჯგუფად გამოაცხადა. (18; 269). ამდენად საფუძველს მოკლებული ჩანს „თემის“ ეს ბრალდება - ბ. კ.) არჩილ ჯორჯაძემ შეცდომა დაუშვა, როდესაც ლუარსაბ ანდრონიკაშვილს (ავტონომიას არ ემხრობაო) ლანძღავდა, მერე კი მხარი დაუჭირა, ვინაიდან სომხები - ესდეკები შეეკვრნენ და უარესი „დათვური“ სამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუწია ლ. ა.-ს, როდესაც ავტონომიის მომხრედ და სომხეთის დამაფრთხობელად გამოაცხადა". (27; 93).

სრულებით მოკლებულია ლოგიკას უკანასკნელი ბრალდება, რომ თითქოს ლუარსაბ ანდრონიკაშვილის დამარცხებაში „ლომის წილი" არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტურ წერილებს მიუძღვოდეს.

სომეხ-ქართველთა ურთიერთობებზე აქტიურად მუშაობდა და მასალებს აქვეყნებდა სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ლასხიშვილი („გან"-ის ფსევდონიმით). იგი თანამშრომლობდა ბაქოს რუსულენოვან გაზეთში (ბაქოში იძულებით იყო გადასახლებული, საქართველოში ცხოვრების ნებართვის გარეშე), სადაც პოპულარიზაციას უწევდა სომხურ მოსახლეობაში ლუარსაბ ანდრონიკაშვილს და ფაქტიურად საარჩევნო აგიტაციას ეწეოდა. მას პოლემიკა ჰქონდა ბაქოშივე გამომავალ სოციალ-დემოკრატიულ ორგანო „წყაროსთან" (ქართულ ენაზე), რომელსაც ფილიპე მახარაძე რედაქტორობდა.

შესაძლებელია „გან"-ის დამსახურება იყოს ის ფაქტი, რომ სომხური ბურჟუაზიის სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობა გაკიცხეს გ. მ. თუმანიშვილმა, ა. ევანგულოვმა და განსაკუთრებით „ბაკუს" რედაქტორმა ქრისტეფორე ვერმიშევმა (ტფილისის ქალაქის თავი იყო რევოლუციის პერიოდში). (7; 280).

აი რას წერს IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე, მოვლენათა ეპიცენტრიდან შორს მყოფი, მაგრამ აქტიური დამკვირვებელი და შემფასებელი გიორგი ლასხიშვილი: „მიუხედავად 3 ივნისის კანონისა, ქვეყანამ ოპოზიციური სულისკვეთება გამოიჩინა - ადგილებიც მეტი მიიღო, გაიზარდა მემარჯვენეთა ოდენობაც, პარლამენტის ცენტრმა - ოქტიაბრისტებმა სასტიკი მარცხი განიცადეს, მიზეზი მათი 5-წლიანი უმსგავსო პოლიტიკა იყო. თვითმპყრობელობამ მემარჯვენე დეპუტატების შემწეობით კვლავ მორჩილი ცენტრისტული პარლამენტი მიიღო.

საქართველოში ისევე როგორც წინა არჩევნებში ბრძოლა მიმდინარეობდა არა რეაქციასა და ოპოზიციას შორის, არამედ ოპოზიციურ ჯგუფებს შუა. ამჯერადაც უმეტესობა ს.-დ.-ს ხვდა. მხოლოდ ქუთაისში გაიმარჯვა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ, რაც გარკვეულად შემთხვევითი იყო, ვინაიდან კ. აბაშიძის კანდიდატურა იყო წამოყენებული, მაგრამ მთავრობამ გააბათილა იმ ამომრჩეველთა ჯგუფის არჩევნები, სადაც კიტა იყო ამომრჩევლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიამ მის ნაცვლად გელოვანი წამოაყენა. (ლასხიშვილი [illegible] აღნიშნავს,რომ კიტამ ისედაც მარცხი განიცადა ლეო ნათაძესთან - ბ. კ.). „სახალხოელები“ უსაყვედურებდნენ სომეხ ამომრჩეველს, რომ თავისი რწმენის წინააღმდეგ მოიქცნენ. შეიქმნა უცნაური სიტუაცია: .სომხები თავის ქვეყანაში დეპუტატად ირჩევენ პროგრესულ მოღვაწეს, დაინტერესებულს ეროვნული საკითხით, ხოლო საქართველოში სოციალ-დემოკრატს“. (7; 279).

დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის გუბერნია) არჩევნების შედეგები ივარაუდა ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ სიმონ ქვარიანმა. „იმერეთის“ რედაქციისადმი გაგზავნილ განმარტებაში იგი აღნიშნავდა: „მე მივრცელებენ ხმებს, თითქოს ვლადიმერ მიქელაძის მომხრე ვიყო, განსაკუთრებით სოფლად, რაც არ არის მართალი. მე უპარტიო ვარ და მიმაჩნია, რომ ვლადიმერ მიქელაძის პროგრესულ პარტიის სახელით მოქმედება – ამასთან ის რუსულ ბანკისგან კრედიტს იღებს, არაგულწრფელია. იგი არ გამოდის არცერთი პარტიის სახელით და სამშობლოს ინტერესების დაცვაზე დემაგოგიურად ლაყბობს, მისი მოქმედება და სოციალ-დემოკრატების გაკოტრება მიანიშნებს ახალი, ნამდვილად ეროვნული პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობაზე“. (28; 4).

ეს ვარაუდი ალბათ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეხება და ამას ისიც ადასტურებს, რომ წერილის ადრესატი გაზეთი „იმერეთია“, მაგრამ მთავარია, რომ მწერალმა ზუსტად დააფიქსირა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება და ვითარება.

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებული ყველა თაობის საზოგადო მოღვაწის პოლიტიკური სახე, მონაწილეობის ხარისხი, კრედო და პიროვნული თუ საზოგადოებრივი ურთიერთდამოკიდებულება ფაქტებთან, ოპონენტებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და მოძრაობებთან. მათ ნააზრევსა და მოქმედებაში ყველაზე ნათლად გამოჩნდა თვით საარჩევნო კამპანიის ფსიქოლოგია და ელექტორატის ბუნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# V თავი

## რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო და საქართველოს ავტონომიის საკითხი.

1912 წლის 15 ნოემბერს მუშაობას შეუდგა რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო . III სათათბიროსგან განსხვავებით IV სათათბიროში დაირღვა საპარლამენტო წონასწორობა. ცენტრმა, რომელიც ძირითადად ოქტიაბრისტებით იყო წარმოდგენილი მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა და უმრავლესობის სასწორი მემარჯვენეებისკენ გადაიხარა,

ოპოზიციური ძალები არჩევნების წინ წინასწარმეტყველებდნენ სათათბიროს გავსებას „ანაფორიანებით", მართალია სასულიერო პირთა რაოდენობას IV სათათბიროში III სათათბიროსთან შედარებით არ მოუმატია, მაგრამ მემარჯვენეთა „ტრიუმფი" თვალნათლივი აღმოჩნდა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა რუსეთში რეფორმების და კონსტიტუციური ცვლილებების პროცესი. წვრილმა პარტიებმა მეტნაკლებად შეინარჩუნეს ადგილები პარლამენტში, ზომიერ ოპოზიციას (კადეტები...) უმნიშვნელო წარმატება ჰქონდა.

საბოლოო სურათი კი, მითუმეტეს წინა სათათბიროს მესამედი კვლავ მოხვდა დეპუტატთა რიცხვში, (36; 252). იძლეოდა ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას, რომ მემარჯვენეთა სიძლიერე და ცენტრის უნებლობა, ფაქტიურად კი არარსებობა, გამორიცხავდა ნებისმიერი პროგრესული კანონპროექტის გატანას და საბოლოო გამარჯვებას სათათბიროზე. ამასთან IV სახელმწიფო სათათბირო იქნებოდა დაპირისპირების, შეხლა-შემოხლის წყაროც, რადგან 30%-იანი გაერთიანებული ოპოზიცია მას მშვიდ ცხოვრებას ვერ დაპირდებოდა.

ამიერკავკასიელთა დეპუტაცია სათათბიროს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოპოზიციური იყო. სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის 14 წევრიდან IV სათათბიროში 4 ამიერკავკასიელი იყო.

ნიშანდობლივია, რომ ისეთმა ანტირუსულმა და ამავე დროს განსხვავებული შეხედულებების, პოლიტიკური, რელიგიური თუ სოციალური მრწამსის მქონე რეგიონმა, როგორიც კავკასიაა გამოიჩინა ოპოზიციური სულისკვეთება, ხოლო ამ სულისკვეთების თავისებურ სიმბოლურ გამოხატულებად იქცა ერთიანი ოპოზიციური დასაყრდენის – სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა არჩევა დეპუტატებად. მხოლოდ უფრო ნაციონალისტურად განწყობილმა სომეხმა და საქართველოს მოსახლეობის ნაწილმა (ქუთაისის გუბერნია) ამომრჩეველმა უპირატესობა თავისი ეროვნული ინტერესების უკეთ

დამცველთ მიანიჭა. დაახლოებით ასეთი ვარაუდი და შეფასება მისცა არჩევნების შედეგებს მაშინდელმა ანალიტიკურმა პრესამ. (36; 241).

საკუთარი ინდიფერენტიზმი და ურწმუნობა სათათბიროს მიმართ „თემმა“ არც არჩევნების შედეგების შეფასებისას დამალა. „გათავდა ყეენობა, დიდი ამბავი იყო, ისეთი ქარბუქი დავაყენეთ, რომ ყველას თვალები დაგვევსო მტვრით და ჩალაბულითა. ღმერთო ჩემო! რამოდენა მელანი დაიხარჯა, რამდენი კალამი გაცვდა წერით, რამდენი ენა ასისინდა სალაპარაკოდ“ (27; 96). მაგრამ პოლიტიკური დაპირისპირება არათუ ჩაცხრა არჩევნების დასრულებით, არამედ პირიქით – გამწვავდა კიდეც.

სოციალ-დემოკრატთა ბანაკიდან ვარლამ გელოვანს არჩევისთანავე დაუწყეს სასტიკი ბრძოლა, რომელიც მოგვიანებით სათათბიროს ტრიბუნიდანაც გაგრძელდა. მას ქუთაისელი ამომრჩევლების სახელით მოუწოდებდნენ უარი ეთქვა დეპუტატის მანდატზე, ვინაიდან ნდობას არ იმსახურებდა და დემონსტრაციულად აცხადებდნენ, რომ თავის ბედ-იღბალს ჩხეიძეს და ჩხენკელს აბარებდნენ (36; 241).

ამგვარი დემაგოგიური გამოსვლები მრავლად იყო, მათ ავტორებს არგუმენტად მოჰყავდათ ადმინისტრაციის თვითნებობის ფაქტი, როდესაც ფოთსა და ქუთაისში არჩევნების შედეგები გაუქმდა სოციალ-დემოკრატების საზიანოდ და თითქოს განგებ, როგორც ევგენი გეგეჭკორი აცხადებდა პეტერბურგის პრესაში „მთავრობამ ფედერალისტებს გაამარჯვებინა“ (32; 749).

ვარლამ გელოვანმა ამ დაუსაბუთებელ ბრალდებას პასუხი გასცა, როგორც ქართველი საზოგადოების წინაშე, ისე პეტერბურგში. (32; 757). იგი აღნიშნავდა, რომ ანალოგიური უსამართლობა ჩადენილი იყო ფედერალისტების მიმართაც (მაგ: სენაკში ჩიჩუას არჩევნების გაუქმება), რაც არ შეიძლება დაბრალდეს სოციალ-დემოკრატებს, ისევე, როგორც ფედერალისტებს ვერ დაბრალდებათ არჩევნების ორგანიზატორთა სხვა ცოდვები.

ბრალდებებზე: „1) რომ ქუთაისის და ფოთის არჩევნების ს. ფ-ებისგან გასაჩივრებით თითქოს 5 ხმა დავუკარგეთ სოციალ-დემოკრატებს, რამაც საბოლოო შედეგებზე გავლენა მოახდინა. 2) ადმინისტრაცია სოც-ფედ-ებს უჭერდა მხარს, როდესაც განზრახ ასაჩივრებდა არჩევნებს. 3) ქუთაისის გუბერნიის გლეხობა არ მთვლის წარმომადგენლად და რწმუნებულობას ს. დ.-ებს აძლევს“ – ვარლამ გელოვანი შემდეგ პასუხს აძლევს. – „ქუთაისის არჩევნები პირველად კადეტმა ჩ-ძემ გაასაჩივრა, გავიხსენოთ, რომ სენაკის მაზრაში

მემამულეებმა გააშავეს გეგეჭკორი და გავიდა სოციალ-ფედერალისტმა თავადი ჩიჩუა. საჩივრის გამო არჩევნები მეორედ დანიშნეს და ჩიჩუას არ მისცეს მონაწილეობის საშუალება. მეც ლეჩხუმის მაზრაში მეორედ მომიწია კენჭისყრამ. გავიხსენოთ ისიც, რომ ქუთაისის არჩევნების გაუქმებას წინ უძღოდა ადმინისტრაციის თვითნებობა კ. აბაშიძის საწინააღმდეგოდ (იგი I და II სათათბიროს ამომრჩეველი იყო).

საგუბერნიო არჩევნებში ს. ფ.-ებს ჰქონდათ 18 ხმა, ს. დ-ებს 12 (ასე რომ 5-იც რომ მიმატებოდათ არაფერი შეიცვლებოდა), 3 კენჭი კი საერთო მოწინააღმდეგის იყო და ანგარიშში ჩასაგდები არ არის. 8 გლეხი ამომრჩევლიდან 7 ჩემი წინააღმდეგი იმიტომ იყო, ისინი ს. დ.-ებისგან იყვნენ არჩეულნი და პარტიის დირექტივებს უნდა დამორჩილებოდნენ“. (35; 53).

ევგენი გეგეჭკორის „უფლებების“ დასაცავად პეტერბურგში თავგამოდებით იბრძოდნენ მისი პარტიული მეგობრები აკაკი ჩხენკელი და კარლო ჩხეიძე. პირველმა სათათბიროს სხდომაზე ხელაღებით განაცხადა, რომ „გელოვანი გლეხკაცობის დეპუტატი არ არის“ (21; 15) და „ქუთაისის გუბერნიის დემოკრატიამ თავისი ინტერესების დაცვა დაავალა მას და ჩხეიძეს და არა გელოვანს“, რაზეც ცნობილი პუბლიცისტი ა-ი. (ალბათ შალვა ამირეჯიბი. იხ. 15; 145). წერდა: „2 ასეთი დეპუტატის ყოლა სათათბიროში, რომლებიც მუდამ წინააღმდეგნი იქნებიან და მუდამ ასე სკანდალურად განმარტავენ დეპუტატ გელოვანის ყოველ გამოსვლას (ლაპარაკია 1912 წლის 13 დეკემბრის სიტყვაზე, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი – ბ. კ.), საკუთარ გულზე 2 შხამიანი გველის ყოლას ნიშნავს, ისინი კბენას არასოდეს მოიშლიან“ (22; 5).

ჩხენკელის უსაგნო რეპლიკას ვარლამ გელოვანმა სათათბიროზე განმარტებით უპასუხა (ვიწროპარტიული დავის აქ გამოტანას ურიგობად ვთვლიო) და სამედიატორო სასამართლოში უჩივლა. გელოვანის სიტყვებს მთელი სათათბირო ტაშით შეხვედრია. (21; 15). მას კიტა აბაშიძის წინააღმდეგ მიმართული ბრალდებებისგან დაცვაც მოუხდა: „პარტიამ მე აბაშიძის შემდეგ მეორე კანდიდატად დამასახელა და მას შემდეგ, რაც ამომრჩევლად გასვლა შეუკრეს აბაშიძეს. მე დავრჩი ბუნებრივ კანდიდატად. (ეს რომ თავისთავადი, ავტომატური ადგილმონაცვლეობა იყო და არა ნაძალადევი ჩარევა, ისიც ადასტურებს, რომ 1915 წლიდან, გელოვანის I მსოფლიო ომში, კავკასიის ფრონტზე, დაღუპვის შემდეგ მისი ადგილი სათათბიროში კიტა აბაშიძემ დაიკავა – ბ. კ.). ჭიათურის ბანკის დირექტორი აბაშიძე ავადმყოფობის გამო

ზაფხულში საზღვარგარეთ წავიდა (სხვათა შორის იქიდანაც აქტიურად თანამშრომლობდა „სახალხო გაზეთში“ – ბ. კ.), ს. დ.-ებმა კი გაუვრცელეს ბინძურად ბანკი ათიათას მანეთობით გაქურდა და საზღვარგარეთ გაიქცაო“. (29; 58).

IV სახელმწიფო. სათათბიროს არჩევნებში პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება საქართველოსთვის ავტონომიურ უფლებათა მინიჭების საკითხის გარშემო კონცენტრირდებოდა. სათათბიროში წარგზავნილი დეპუტატიც ამ ნიშნით განიზომებოდა.

სოციალ-დემოკრატები, განთქმულნი ნიჰილიზმით ყოველივე ეროვნულის, განსაკუთრებით კი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მიმართ პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ იძულებულნი ხდებიან შეცვალონ დამოკიდებულება ტაქტიკური მოსაზრებით (28; 14).

ქართველ სოციალ-დემოკრატებში (მხედველობაში გვაქვს მენშევიკთა ფრაქცია, რადგან ბოლშევიკები ლეგალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში საერთოდ არ მონაწილეობდნენ) თავი იჩინა სამმა მიმართულებამ:

1) პარტიას გამოეყო ავტონომისტთა ფრაქცია ვლადიმერ დარჩიაშვილის მეთაურობით, რომელმაც გაზეთ „ალიონის“ საშუალებით დაიწყო თავისი იდეების პროპაგანდა.

2) პარტიის შიგნით ავტორიტეტული ლიდერის აკაკი ჩხენკელის პირით წამოყენებულ იქნა ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობის იდეა, თუმცა მას გაურკვეველი და პოლინაციონალისტური სახე ჰქონდა, ფაქტიურად შიდა ადმინისტრაციულ ავტონომიას წააგავდა.

3) ტრადიციული, ორთოდოქსული პოზიცია, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა „კლასობრივ ბრძოლაში პროლეტარიატის ძმური ერთიანობის გამთიშველ ყოველგვარ ავტონომიას“, როგორც კარლო ჩხეიძე აცხადებდა სახელმწიფო სათათბიროზე: „რუსეთის ყველა ერებს უნდა მიენიჭოთ თავისუფლება. ამ თავისუფლებას კი ანიჭებს თავის თავს და სხვებსაც ის, ვინც მას თავისი მახვილის წვერზე ატარებს. მხოლოდ მაშინ, როცა რუსის ხალხი თავს გაინთავისუფლებს შეიძლება შეუდგეს თავის ტანჯულ ძმების განთავისუფლებას. არც IV დუმას და არც მთავრობას არ შეუძლია თავისუფლების მიცემა“. (31; 7).

ავტონომიის საკითხზე სოციალ-დემოკრატებთან მძაფრი დაპირისპირება და პოლემიკა ჰქონდა ვასილ წერეთელს, ნაციონალისტთა „ძველი“ და „ახალი“ თაობის თავისებურ მეკავშირეს, ეროვნულ-დემოკრატთა იდეურ წინამძღოლს.

ეროვნული

„ურო“ სოციალ-დემოკრატების პარტიას ნახევრადხუმრობით „ყარგვინდა ავტონომიას“ პარტიას უწოდებს (28; 50). მათ იეზუიტური პრინციპით გამოიყენეს ავტონომიის იდეის პოპულარობა რევოლუციის პერიოდში, შემდეგ კი ხელი აიღეს და კატეგორიულად უარყვეს, თუმცა თვით მათი პარტიის რიგებში ფრაქციების გაჩენა და ეროვნული საკითხის სერიოზული გადასინჯვა მოწმობს, უროს აზრით, სოციალ-დემოკრატიის იდეურ კრიზისზე (22; 8) და ეროვნულ-დემოკრატიული იდეების გამარჯვებაზე (28; 27). ამ აზრს ემხრობა გიორგი ლასხიშვილიც, ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი და საბუთად სათათბიროს არჩევნების შედეგები მოაქვს.

ორივე გუბერნიაში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან 38 კაცი ეკუთვნოდა ან მხარს უჭერდა სოციალ-დემოკრატებს, ხოლო 36 კაცი სოციალისტ-ფედერალისტებს (7; 281). ეს მონაცემები უდაოდ მეტყველებს ფედერალისტთა პოპულარობის გაზრდაზე, ისევე როგორც ეროვნულ საკითხში სოციალ-დემოკრატების მარჯვნივ გადახრაზე.

ვასილ წერეთელი ავტონომიის საკითხზე მსჯელობისას ხშირად მიმართავს პოლიტიკურ პარალელიზმებს, რაც მის ნააზრევს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. იგი სოციალ-დემოკრატებს დემოკრატიის ნაკლებობას საყვედურობს, რადგან „ იყო დემოკრატი მუშათა საკითხში და ამავე დროს გეჯავრებოდეს ავტონომიის ხსენებაც კი, დემოკრატია არ არის“.

„ურო“ დემოკრატიის ნიმუშად მიიჩნევს აშშ და სხვა ფედერალისტურ სახელმწიფოებს (შვეიცარია, ავსტრალია, კანადა), სადაც თითოეულ შტატს თავისი პარლამენტი და მთავრობა გააჩნია, რაც ბიუროკრატიზმს მაქსიმალურად ზღუდავს. (28; 15).

ვინაიდან დემოკრატია წარმოუდგენელია ცენტრალისტურ, თანაც მონარქიულ სახელმწიფოში, ავტონომიაზე „გამწყრალი“ სოციალ-დემოკრატები მათდა უნებლიედ გამოდიან ცარიზმის დამცველებად. სოციალ-დემოკრატთა ძირითადი დებულების, რომ ჯერ სოციალური თავისუფლების მოპოვებაა საჭირო მთელ იმპერიაში და შემდეგ ცალ-ცალკე ნაციონალურის, საპასუხოდ ვ. წერეთელი იშველიებს ოსმალეთის იმპერიის მაგალითს, როდესაც სულთნებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო წინდახედულება, არ მიანიჭეს ავტონომია არაბებს, მაკედონელებს, ალბანელებს, რითაც ხელი შეუწყვეს იმპერიის რღვევას. (28; 28).

ამდენად ნებისმიერი იმპერიისათვის უპირველესი პრობლემა სწორედ ნაციონალური საკითხია, რომლის მოუგვარებლობაც ამ იმპერიას

დაშლამდე მიიყვანს და ყოველგვარ ერთიან „სარუსეთო“ რევოლუციის ფიქრს არარეალურს გახდის. (როგორც აცხადებდა კ. ჩხეიძე სათათბიროზე, იხ: ზევით).

1912 წლის 15 ნოემბერს პეტერბურგში გაიხსნა IV სახელმწიფო სათათბიროს I სესია (12; 250). პირველი სხდომა მიეძღვნა საორგანიზაციო საკითხებს. სათათბიროს თავმჯდომარის პოსტზე ასარჩევად კენჭი იყარა სამმა დეპუტატმა. პირველ ტურში როძიანკომ მიიღო 234 ხმა, ბალაშოვმა 147, ვოლკონსკიმ – 10 ხმა. მეორე ტურში ორმა უკანასკნელმა ყუთი აღარ დაიდგა და ოქტიაბრისტთა პარტიის ლიდერმა მიხეილ ვასილის ძე როძიანკომ 251 ხმით 150 ხმის წინააღმდეგ დაიკავა სათათბიროს თავმჯდომარის ადგილი.

მოგვიანებით მოეწყო თავმჯდომარის მოადგილის არჩევნებიც. იაროსლაველმა დეპუტატმა დიმიტრი დიმიტრის ძე ურუსოვმა (პროგრესისტი) პირველ ტურში მიიღო 197 ხმა, ვლადიმერ მიხეილის ძე ვოლკონსკიმ 173. მეორე ტურში მხოლოდ ურუსოვმა იყარა კენჭი და 217 ხმით 178-ის წინააღმდეგ გახდა კიდეც სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილე.

იმ საპარლამენტო ფრაქციებს (კერძოდ, სოციალ-დემოკრატთა და შრომის ჯგუფი), რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ქართველი დეპუტატები, არ მიუღიათ მონაწილეობა არცერთ კენჭისყრაში.(28; 45,49).

როძიანკოს კვლავ არჩევას (იგი III სათათბიროს თავმჯდომარეც იყო) რუსეთის ლიბერალური პრესა სიხარულით შეხვდა, რადგან იგი მიიჩნიეს სტაბილურობის და კონსტიტუციონალიზმის გარანტად, რასაც „უროს“ აზრით სერიოზული საფუძველი ვერ ექნებოდა, ვინაიდან კანონპროექტებს ზედა პალატაში – სახელმწიფო საბჭოში უნდა გაევლოთ აპრობაცია, ეს უკანასკნელი კი სანახევროდ თვით მეფის მიერ იყო დაკომპლექტებული და მემარჯვენეთა დასაყრდენს წარმოადგენდა (28; 52).

სათათბიროს ლიბერალური ხელმძღვანელობა რომ მხოლოდ შირმა იყო სათათბიროს რეალური მემარჯვენეობის შესანიღბად, დაადასტურა ე. წ. „ცენტრის“ (ანუ ოქტიაბრისტთა პარტიის) ჩქარა დაშლამ. ფრაქციას ჯერ 25-კაციანი უმცირესობა გამოეყო და ზომიერ მემარჯვენეებს (ნაციონალისტებს) მიემხრო, შემდეგ უმრავლესობაც გამოეთიშა და მემარცხენე ოპოზიციის ბანაკში ჩადგა (28; 54).

სათათბიროს მუშაობის დაწყების წინ ვარლამ გელოვანს ინტერვიუ ჩამოართვა ბაქოში გადასახლებულმა ჟურნალისტმა განმა (ცნობილი ქართველი ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი. (8; 70)). დეპუტატმა ისაუბრა თავის სამომავლო გეგმებზე, ხაზი გაუსვა, რომ აღიარებს რუსეთის ერთიანობას, მაგრამ აუცილებლად თვლის ამ ფარგლებში ერთა თვითგამორკვევას და ავტონომიას, როგორც ქართველებისთვის, ისე იმპერიის სხვა ერებისთვის, რაც გამორიცხავს ეროვნულ უმცირესობათა შეზღუდვას.

ვ. გელოვანი ავტონომიას თვლის თავის სადეპუტატო მოღვაწეობის პროგრამა — მაქსიმუმად, დაუყოვნებლივ განსახორციელებლად კი მიიჩნევს ეკლესიის, ერობის, უმაღლესი სკოლის, ქართული ენის უფლებისათვის მუშაობას. (34).

გელოვანი თავის შესაძლებლობებს რეალურად აფასებდა და აცხადებდა, რომ მისი ფუნქცია ამოიწურებოდა რუსი ხალხისათვის ქართველობის სურვილის და მისწრაფებების გაცნობით, მაგრამ იმ დროისათვის ესეც წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან ქართველი ერის ინტერესების და მოთხოვნილებების შესახებ რუსეთის საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცოდა.

ვ. გელოვანის პასუხისმგებლობაზე და მუშაობის სურვილზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან შრომის ჯგუფს მიაშურა, რითაც თავი აარიდა მარტოხელა დეპუტატის უმწეო მდგომარეობას და იმთავითვე განაცხადა, რომ მჭიდროდ ითანამშრომლებდა კავკასიის სხვა დეპუტატებთან, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა სოციალ-დემოკრატი იყო. (27; 99).

ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკის შერბილება და სიფრთხილე დაადასტურა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ კოკოვცევის საანგარიშო მოხსენებამ სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე. მოხსენებაში მან გვერდი აუარა ეროვნულ პრობლემას, გაკვრით ისაუბრა ერობის თაობაზე, მხოლოდ არა კავკასიაში.

კოკოვცევის დეკლარაციაში კავკასია მიჩნეული იყო თვითმმართველობისთვის უუნარო, არაპრაქტიკულ რეგიონად. არარუსები პრემიერმა „ნაცმენთა" (ეროვნული უმცირესობა) ერთიან, დამამცირებელ კატეგორიაში მოაქცია, მისი თქმით „რუსეთის ორთავიანი არწივის ფრთებქვეშ ყველა ეროვნება იპოვის ადგილს მშვიდობიანი ცხოვრებისათვის" (6; 56).

მოგვიანებით კოკოვცევი კიდევ უფრო მეტ სიფხიზლეს და სიფრთხილეს მოითხოვს, სტოლიპინის მეთოდებით გამოწვეული

რეაქციის გასანეიტრალებლად. შინაგან საქმეთა მინისტრ მაკლაკოვთან შეხვედრისას პრემიერმა მოითხოვა ეროვნული საკითხის გაუმწვავებლობა იმპერიის მასშტაბით, რადგან ეროვნული შუღლი ხელს უშლის ჯანსაღ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რუსეთის იმპერიას კი დიდმნიშვნელოვანი საქმეები აქვს გადასაწყვეტი. „საგარეო ვითარებაც დაძაბულია, ამ პირობებში ღია რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე ხელის აღებაა საჭიროო“ — ასკვნიდა მთავრობის თავმჯდომარე (32; 4).

საქართველოს მიმართ რუსეთის იმპერიის დამოკიდებულების შეფასებაში (ნიკოლოზ II-ის მმართველობის პერიოდი) არსებობს ალტერნატიული მოსაზრებებიც, რომ იმპერატორი ქართველი ერისადმი კეთილად იყო განწყობილი და არაერთხელ გაუკეთებია სასარგებლო საქმე, მაგრამ თავი რომ დავანებოთ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე „სისხლიან“ ოცწლეულს (ნიკოლოზ II-ის ეპოქა), რუსეთის იმპერიის ინტერესებში ქართული საქმის კეთება ვერაფრით ვერ მოთავსდებოდა. უბრალოდ ნიკოლოზ II-ის დროს უკვე დამდგარი იყო იმპერიის დაისი და ტრადიციული პოლიტიკა „მახვილი და თაფლაკვერი“ უფრო მკვეთრი და სწრაფად შენაცვლებადი გახდა.

რუსეთის პირველი რევოლუციის მიწურულს თავისუფლების შეგრძნებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ რუსეთის საერობო და საქალაქო მოღვაწეთა კრებაზე (მოსკოვი, 1905 წლის სექტემბერი) მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა: „როცა დამყარდება სამოქალაქო თავისუფლება და განხორციელდება წესიერი სახალხო წარმომადგენლობა საკონსტიტუციო უფლებით (ე. ი. სახელმწიფო სათათბირო — ბ. კ.), მთელი იმპერიისთვის გაიხსნება გზა ადგილობრივ ავტონომიათა დასამყარებლად“. (11; 53). მაგრამ ამ დადგენილების გამომწვევი სულისკვეთება ჩქარა „სტოლიპინის ჰალსტუხებით“ გაიფანტა, რამაც 5-6 წლის მანძილზე განსაზღვრა რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ნიკოლოზ II-ის თავისებურ დამოკიდებულებას ქართველებისადმი (ისიც ფაქტია, რომ სასახლის კამარილიაში მრავლად იყვნენ ქართველები), რაც იმპერატორის სენტიმენტალური ბუნებითაც შეიძლება აიხსნას, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამას არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა პოლიტიკის რანგში აყვანილი ხასიათი („ქართველთა მფარველობა“ აბსოლუტურად დისონანსურია რუსეთის საიმპერიო პოლიტიკასთან მიმართებაში), ვინაიდან ყველა იმ

მმართველმა, რომელმაც დაუშვა გადახვევა სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან სიცოცხლით ზღო საკუთარი სისუსტისათვის (რომანოვთა დინასტიიდან პეტრე III-ის და პავლე I-ის გახსენებაც საკმაოა ამის ნათელსაყოფად).

ნიკოლოზ II-ის „თბილი“ დამოკიდებულება ქართველებისადმი შემოიფარგლებოდა ვიწრო-ნათესაური წრით, რომელიც ბაგრატიონთა გვართან იყო დაკავშირებული.

საქმე ეხება ერთი რომანტიკულ-ტრაგიკული სიყვარულის ისტორიას, რომელმაც ერთმანეთს დააკავშირა ბაგრატიონთა და რომანოვთა სამეფო გვარები. ერეკლე II-ის ქალიშვილის და სიძის იოანე ბაგრატიონ-მუხრანბატონის ჩამომავალმა, მუხრანბატონთა უმცროსი შტოს წარმომადგენელმა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონმა (1889-1915), რომელიც სამეფო დაცვაში მსახურობდა ფლიგელ-ადიუტანტად, გაიცნო და თავდავიწყებით შეიყვარა ნიკოლოზ II-ის ძმისწული ტატიანა კონსტანტინეს ასული რომანოვა. ქალიშვილმაც გრძნობას გრძნობით უპასუხა და ახალგაზრდებმა ოჯახის შექმნა გადაწყვიტეს. ამ ამბავს უარყოფითად შეხვდა სასიმამრო, დიდი მთავარი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, რომლის ერთ-ერთ არგუმენტს ისიც წარმოადგენდა, რომ სასიძო მათ საიმპერატორო ღირსებას არ შეეფერებოდა. ამბავი შეიძლება ტრაგიკულად დასრულებულიყო, რომ თვით ნიკოლოზ II არ ჩარეულიყო საქმეში, მას როგორც ჩანს მოეწონა ტატიანას რჩეული, ამიტომ თვითონვე დალოცა ახალგაზრდა წყვილი და თავისი ძმაც დააწყნარა, განუმარტა ბაგრატიონთა უძველესი ისტორია და სამეფო ღირსება. ისიც აღნიშნა, რომ დამოყვრება ასეთ ძველ და საპატიო გვართან რომანოვებისთვის სასიხარულო უნდა ყოფილიყო.

მოგვიანებით კონსტანტინე მუხრანბატონმა მოხალისედ მიაშურა პირველი მსოფლიო ომის ფრონტს (როგორც სამეფო ოჯახის წევრი იგი არასამხედროვალდებული იყო) და რუსული მონარქიისადმი უსაზღვრო რწმენით აღსავსე ტრაგიკულად დაიღუპა ომში. (სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს გიორგის ჯვრით). ამ უკანასკნელ დასკვნას ის ამბავიც ადასტურებს, რომ მან კატეგორიული უარი უთხრა ანტირუსულ შეთქმულებაში თანამონაწილეობაზე ქართველ თავადიშვილებს – რუსული არმიის ოფიცრებს. (17; 109-121).

ალბათ სწორედ ამ ნათესაური გრძნობების გამოხატულება იყო ნიკოლოზ II-ის მხრიდან მცდელობა ქართული მონარქიის აღდგენისა,

რასაც ბუნებრივია ფორმალური ხასიათი ექნებოდა ისევე, როგორც ფინეთსა და პოლონეთში, მაგრამ ოდნავ მაინც დააკმაყოფილებდა ქართველთა ეროვნულ თავმოყვარეობას, რაც ნაწილობრივ უპასუხებდა რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს — ზემოდან შეკვეთილი ავტონომიით გაენეიტრალებინათ საქართველოში ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის გავლენა.

სწორედ ამ პრინციპით იქნა შერჩეული მონარქის კანდიდატურა — იგი არაქართველი და რომანოვების ყურმოჭრილი მონა უნდა ყოფილიყო, გეორგიევსკის ტრაქტატის ფიქტიური აღდგენის გამოხატულება. საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილთაშვილს ილია გრიგოლის ძე ბაგრატიონს, გარდაცვლილს 1899 წელს, დარჩა ქვრივი ელისაბედ ბეზობრაზოვა. სწორედ ეს საიმედო და უწყინარი ქალი შეარჩიეს საქართველოს მომავალ დედოფლად.

1907 წლის დეკემბერში რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ელისაბედ ბეზობრაზოვა-ბაგრატიონისა აღიარა საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ. მაგრამ ელისაბედი არ დაკმაყოფილდა ფიქტიური ტიტულით და შეეცადა რეალური ძალაუფლების მოპოვებასაც. მან „საქართველოს საკითხი" განსახილველად შეიტანა სენატში, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მინისტრთა საბჭოში. 1910 წელს ჩამოვიდა ტფილისში და დაიწყო პროკლამაციების გავრცელება „მონარქიის აღდგენის" მოწოდებებით. ჟანდარმერიამ ელისაბედ ბაგრატიონს თვალყურის დევნება დაუწყო.

1912 წლის ზაფხულში ქართველი თავადაზნაურობის მაღალ ჩინებში გავრცელდა მისი ბროშურა „შეკითხვა სახელმწიფო სათათბიროს კავკასიის ადმინისტრაციის უკანონო საქმიანობის შესახებ", რამაც განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია. ჩქარა მეფისნაცვლის მოადგილეს სენატორ ვატაცის შეატყობინეს, რომ პოლიციას ხელთ ჩაუვარდა ბროშურა „სრულიად რუსეთის ისტორია — ქართული საკითხი", რომლის ავტორის — ელისაბედ ბაგრატიონის აზრით საქართველოს საკითხი „საერთაშორისო ტრაქტატს" (გეორგიევსკის) ეყრდნობა, რუსეთის იმპერია კი მხოლოდ მოსკოვის სახელმწიფოსგან როდი შედგება, არამედ სხვა განაპირა ქვეყნიებსგანაც. (16, 13).

ამდენად ელისაბედ ბაგრატიონი გეორგიევსკის ტრაქტატის ფარგლებში საქართველოს ავტონომიურ მონარქიას მოითხოვდა. არ არის შემთხვევითი, რომ პეტერბურგში მის წარმომადგენლად და ადვოკატად დანიშნული იყო ვარლამ გელოვანი, რომელიც შესაძლებელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელისაბედის ფართო პოლიტიკურ განზრახვშიც — პოლიტიკური პარტიის შექმნაშიც იღებდა მონაწილეობას. ამ ორგანიზაციას უნდა დარქმეოდა „სრულიად რუსეთის სახალხო კავშირი" და უნდა გამოერკვია იმპერიის მეტროპოლიას და კოლონიურ ხალხებს შორის არსებული წინააღმდეგობის საფუძვლები, რომლის მიზეზი „წმინდა ხასიათის ფაქტების უცოდინრობით აიხსნება".

ბუნებრივია ასეთ სერიოზულ პოლიტიკურ მოღვაწეობას იმპერიის უშიშროების სამსახურები გულგრილად ვერ შეხედავდნენ. ელისაბედ ბაგრატიონი ჯერ ძალის გამოყენებით გაიწვიეს პეტერბურგს, იქ კი ყოველმხრივ შეზღუდეს და მის აურაცხელ საჩივრებს და პრეტენზიებს 1913 წლის 30 იანვარს უზენაესი სენატის საბოლოო განაჩენით უარით უპასუხეს. (16; 13).

მართალია ელისაბედ ბეზობრაზოვას ტახტ-გვირგვინი არ ღირსებია, მაგრამ ნიკოლოზ II-საც თავისი 1907 წლის გადაწყვეტილება არ შეუცვლია, რაც იურიდიულ იარაღად იქცა საქართველოს ავტონომიისათვის მებრძოლთათვის.

ცარისტული კოლონიალიზმის პირობებში არსებულ ფაქტიურად ერთადერთ ოფიციალურ ეროვნულ დაწესებულებას — თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე გაუჩნდა სურვილი ხელმწიფე-იმპერატორისთვის შეეხსენებინა საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიული საფუძვლები და ის უფლებებიც, რაც ქვეყანას გეორგიევსკის ტრაქტატმა დაუტოვა.

1905 წლის 1 აპრილის უქვეშევრდომილესი ადრესიც იურიდიულად სწორედ ტრაქტატს ეფუძნება და საქართველოსთვის ავტონომიის მოთხოვნას წარმოადგენს. მთავრობამ ეს თხოვნა უყურადღებოდ დატოვა, ამიტომ უკვე 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობა, ალბათ მეტი იმედებით აღსავსე, იკრიბება ავტონომიის საკითხზე სამსჯელოდ. 19 ნოემბერს სხდომამ საბოლოო დადგენილება ვერ გამოიტანა მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლების დაუსწრებლობის გამო (41; 2).

მიუხედავად ამისა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 1905 წლის 1 აპრილს საიმპერატორო კარის წინაშე პირველად დადგა ღიად საქართველოსთვის ავტონომიურ უფლებათა მინიჭების საკითხი. შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ უკვე რევოლუციის ქარიშხლების გადავლის შემდეგ ნიკოლოზ II-მ და უმაღლესმა ხელისუფლებამ ზემოთაღწერილი მანევრი — საქართველოს მონარქიის ფიქტიური აღდგენის მცდელობა სწორედ ქართველი თავადაზნაურობის ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნის საფუძველზე, ე. ი. ქართული საზოგადოებრიობის თვალსაზრისზე დაყრდნობით გააკეთა.

საქართველოს ავტონომიის მეორედ მოთხოვნა, ოღონდ ამჯერად საჯაროდ, მთელი ქვეყნის გასაგონად განახორციელა ვარლამ გელოვანმა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან. მიუხედავად სოციალ-დემოკრატების მტკიცებისა ვარლამ გელოვანი სრულებითაც არ იყო შემთხვევითი და საქმეში ჩაუხედავი პიროვნება, რაზეც მისი სიტყვის გაწონასწორებულობა და დიპლომატიური ხასიათიც მეტყველებს.

ვარლამ გელოვანი ჯერ კიდევ 1906 წელს I სახელმწიფო სათათბიროსთან შექმნილ ,,ავტონომისტთა კავშირში" მუშაობდა მდივნად (თავმჯდომარე იყო ა. ი. ლედნიცკი) (1; 13). რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. კოკოვცევის გამოსვლის პასუხად ვ. გელოვანს თავისთავზე აუღია კავკასიაში საერობო რეფორმის პროექტის სათათბიროზე გატანის მოთხოვნა-შეკითხვის ინიციატივა და სხვა დეპუტატებისგან ხელმოწერებიც შეუგროვებია სათანადო კვოტის დასაგროვებლად (21; 14). მას ეს იმდენად აუცილებელ საქმედ მიაჩნდა, რომ ბაქოში სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული შვილიც კი დატოვა, რომელიც მამის უნახავად გარდაიცვალა. ვ. გელოვანის დიდ სულიერ სიმხნევეს და ვაჟკაცობას საგანგებოდ აღნიშნავს თავის სამძიმრის ღია წერილში არჩილ ჯორჯაძე (32; 779).

1912 წლის 13 დეკემბერს ვარლამ გელოვანი ავიდა სათათბიროს ტრიბუნაზე. მის წინ გამოსულმა აკაკი ჩხენკელმა კრიტიკული შეფასება მისცა კოკოვცევის დეკლარაციას, ყურადღება გაამახვილა ერობის, უნივერსიტეტის არარსებობაზე, მთავრობის ტრადიციულად აგდებულ დამოკიდებულებაზე მცირერიცხოვანი ერების მიმართ და 5 წლის მანძილზე კავკასიის საკითხის მიფუჩეჩებაზე სახელმწიფო სათათბიროში. (31; 3).

კიდევ უფრო ზოგადკავკასიური იყო კარლო ჩხეიძის გამოსვლა. (31; 7). რაც მნიშვნელოვანია ორივემ კატეგორიულად უარყო კავკასიაში სეპარატიზმის ყოველგვარი არსებობა. (21; 14).

ჩხენკელის ,,ერთა თვითგამორკვევის და თანასწორობის იდეას" ,,ურომ" ბუნდოვანი უწოდა, მთლიანად გამოსვლას კი პატივმოყვარეობის ზეიმი, პარტიული დემონსტრაცია (6; 70). ,,უროს" თქმით კოკოვცევის დეკლარაციის პათოსს, რომ ამიერკავკასია მზად არ არის ავტონომიისთვის აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა დეპუტატთა უკმაყოფილება, ბოლოსდაბოლოს თვით ,,ანბანის უქონელი ალბანეთის დამოუკიდებლობა ცნო მთელმა ევროპამ" — დასძენს პუბლიცისტი. (28; 65).

ვარლამ გელოვანის გამოსვლა ფრთხილად და აწონილი სიტყვით იწყება, იგი დაწვრილებით ახასიათებს საქართველოში შექმნილ ვითარებას და მართალია რეალობისადმი ხარკის გადახდით, მაგრამ მაინც კატეგორიულად აყენებს საქართველოს ავტონომიის საკითხს. ეს იმგვარი პოლიტიკური გამჭრიახობით და მოწიფულობით გააკეთა ვ. გელოვანმა, რომ მემარცხენეთა ტაშიც კი დაიმსახურა. მისი სიტყვა გლობალურად შეეხო ყველა ქართულ სატკივარს (ენის, სკოლის, ეკლესიის, სოციალური პრობლემები) და შემაჯამებლად პოლიტიკური მოთხოვნა წამოაყენა (იხ: ტექსტი).

ვარლამ გელოვანის სიტყვას არაერთგვაროვნად შეხვდნენ საქართველოში. თვით მისი კოლეგების რეაქციაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებს, ისინი გელოვანის სიტყვას სუსტად თვლიდნენ, მათი აზრით ა. ჩხენკელის სიტყვამ სავსებით გაარკვია ეროვნული საკითხი. (31; 8). მოგვიანებით სოციალ-დემოკრატთა აღიარებული ორატორი ირაკლი (კაკი) წერეთელი იმასაც კი აცხადებდა: „1917 წლამდე და რევოლუციამდე საქართველოს ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა საერთოდ არ წამოუყენებიათო“ (14; 216-217).

„კლდეისტების“ აზრით გელოვანის გამოსვლამ ვერ გამოიწვია სათანადო რეზონანსი, რაც ავტონომიის საკითხის მკრთალად დასმით კი არ იყო გამოწვეული, როგორც სოციალ-დემოკრატებს ჰგონიათ, არამედ თვით რუსული პარლამენტარიზმის სისუსტით, რომელსაც „ყური გაჩვეული აქვს ფინლანდიის „დიდ სამთავროზე“, პოლონეთის „სამეფოზე“ (22; 5). ამდენად ეს სიახლე ვერ აღიქვა და ვერ მიიღო სათანადოდ. ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამს „ურიც“, იგი აღფრთოვანებულია და „მართალია — წერს იგი, — ეს არ იყო ყუმბარის გასკდომა, მაგრამ, როგორც ცნობილია ჭეშმარიტება ძნელად მიიკვლევს გზას“. (28; 69).

გელოვანის გამოსვლას მადლობის გრძნობით შეხვდა ვარშავის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო. სათვისტომოს თავმჯდომარის, შემდგომში დიდი ქართველი მეცნიერის აკაკი შანიძის ინიციატივით სტუდენტები მიესალმებიან ვ. გელოვანის არჩევას დეპუტატად და მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას (სტუდენტ-ხელისმომწერთა შორის არის შემდგომში ცნობილი ქართველი ისტორიკოსი მაქსიმე ბერძნიშვილი). (29; 8).

ჩვენმა დეპუტატებმა ჩქარა გაიკვლიეს გზა სახელმწიფო სათათბიროს მაღალი ეშელონებისკენ. კარლო ჩხეიძე, ისევე როგორც

III სათათბიროში, ამჯერადაც სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარედ აირჩიეს (სხვათაშორის იგი ერთადერთი სოციალ-დემოკრატი დეპუტატი იყო, რომელიც ორივე სათათბიროს წევრად ითვლებოდა).

ვარლამ გელოვანი კი ჯერ ტრუდოვიკთა (შრომის ჯგუფი) . ფრაქციის თავმჯდომარის დრუზბინსკის მეორე მოადგილეა (32; 767). 1913 წლის აპრილიდან კი ფრაქციის თავმჯდომარეც (29; 60). მაისსა და ივნისში იგი სამჯერ გამოდის სათათბიროს სხდომაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო უკანასკნელი გამოსვლები, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა კავკასიაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების აუცილებლობას (29; 72) და კავკასიის ყველა ისტორიული ერისთვის ფართო კულტურული ავტონომიის მინიჭების მოთხოვნას (11; 98). რომ არა 1915 წელს ახალგაზრდა პოლიტიკოსის მოულოდნელი აღსასრული კავკასიის ფრონტზე (1; 14). მისი ურთიერთობები ა. ფ. კერენსკისთან და ორატორული ნიჭი უდაოდ დიდ მიღწევებს აღუთქვამდა და საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში ღირსეულ ადგილს დაიჭერდა ქართველ მოღვაწეთა პლეადაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასკვნა

ჩვენი ნარკვევის მიზანი იყო შეგვესწავლა 1912 წელს გამართული IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები საქართველოში. ვინაიდან ეს წელი გარდამტეხი მოვლენებით იყო დატვირთული ქართულ პოლიტიკაში, ერთი შეხედვით ჩვეულებრივმა არჩევნებმა ძალზე დრამატული სახე მიიღო.

1912 წელს ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის მოღვაწეებმა შექმნეს „ქართული ეროვნული პარტია"(14; 206). პარალელურად კი დააარსეს ყოველკვირეული ჟურნალი „კლდე", რომლის რედაქტორი იყო რეზო გაბაშვილი, ხოლო აქტიური თანამშრომლები: დავით ვაჩნაძე, („დ. კახელი", „ეკალი"), შალვა ამირეჯიბი („ფარსმან-ფარუხი"), ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), დავით კასრაძე, შალვა ქარუმიძე, იროდიონ სონღულაშვილი და სხვები (5; 126). ამ ფაქტს ასეთ შეფასებას აძლევდა თვით რეზო გაბაშვილი: „ერთი მხრით ეს იყო ყუმბარა, გამსკდარი სოციალისტურ ჭაობში; მეორე მხრით, – ახდილად წამოყენება ჩვენი ეროვნულ, პოლიტიკურ, ეკონომიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მისწრაფებათა ფრიად მოღუნებულ ატმოსფეროში, „როცა არსით ხმა, არსით ძახილი" – საერთო გულგრილობის და პესიმიზმის სულისკვეთება იყო" (3; 111).

ეროვნული ძალების წინა პლანზე გამოსვლა, მათი გამრავალფეროვნება ცხადად დაეტყო სათათბიროს არჩევნების შედეგსაც. მიუხედავად 1907 წლის 3 ივნისის საარჩევნო კანონისა, რაც ართულებდა და ანტიდემოკრატიულს ხდიდა საარჩევნო პროცესს. საქართველომ შეძლო ოპოზიციური სულისკვეთების გამოჩენა. თუ რუსეთის ცენტრალურმა რეგიონებმა სათათბიროში შოვინისტი და მემარჯვენე კონსერვატორები გააგზავნეს, საქართველოდან სათათბიროში მემარცხენეთა დეპუტაცია მოხვდა.

საქართველოში წინა არჩევნების მსგავსად ბრძოლა მიმდინარეობდა არა რეაქციასა და ოპოზიციას, არამედ შიდაოპოზიციურ ჯგუფებს შორის. ტფილისის, ქუთაისის გუბერნიაში, ბათუმის, სოხუმის ოკრუგებსა და ყარსის ოლქში მოსახლეობა ირჩევდა 3 დეპუტატს. პოლიტიკური სპექტრი არჩევნებში 3 ძირითად ბანაკად იყო წარმოდგენილი: 1) ნაციონალისტები, ძირითადად სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრები შემოკრებილნი „კოლხიდა"-„იმერეთის" და „სახალხო გაზეთის" გარშემო. მათ უთანაგრძნობდნენ ჟურნალ „კლდის" ეროვნულ-დემოკრატები. 2) პროგრესისტები,

რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლები, რომელთა საავიტაციო საშუალებებს გაზეთი „ზაკავკაზიე" და ერთჯერადი ალმანახები წარმოადგენდნენ. 3)სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც საარჩევნო კამპანიას ერთჯერადი ალმანახებით და ნაწილობრივ სომხური ბურჟუაზიული პრესით აწარმოებდა. იყო აგრეთვე მეოთხე მიმართულება, რომელიც ძირითადად ნეიტრალიტეტს იცავდა (გაზ: „თემი", „ზაკავკაზსკაია რეჩ") და არჩევნების შემფასებელ-დამკვირვებლის ფუნქციით კმაყოფილდებოდა. ისინი თავიანთ თავს „ცენტრისტებს" უწოდებდნენ.

